


ლიტერატურული გაზეთი

№88 14 - 27 დეკემბერი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ტარიელ ჭანტურია

ვიკილეჰსი

მკითხველს მივსალამო: ვიკილეჰსი ჩემს ჩანაწერებს ჰმოკლავს ვიკილეჰსის მიზანმიმართულ და აზრს მათი მათ არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.

უპირფასისი მკვლელები (პარიანტი)

არის თუ არა მკვლელი ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა ილია ჭავჭავაძეს!

პირველი, რასაც ამ ფრაზის წამკითხველი იფიქრებს, ისაა, რომ იგი ამ შეკითხვას აბსურდად გამოაცხადებს!

ახლა სხვა შეკითხვა: არის თუ არა მკვლელი ადამიანი, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა გალაკტიონ ტაბიძეს!

ან ის, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა მაიაკოვსკის!

ან ის, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა ჰემინგუეის!

ან ის, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა...

დასკვნა მარტივია: გალაკტიონ ტაბიძის მკვლელი, რა თქმა უნდა, მკვლელია! მისი სახელი და გვარია გალაკტიონ ტაბიძე!

მაიაკოვსკის მკვლელი, რა თქმა უნდა, მკვლელია! მისი სახელი და გვარია ვლადიმირ მაიაკოვსკი!

ჰემინგუეის მკვლელი, რა თქმა უნდა, მკვლელია! მისი სახელი და გვარია ერნესტ ჰემინგუეი...

მოკლედ, ასე: ჩვენ ვისაუბრეთ უძვირფასეს მკვლელებზე — გალაკტიონზე, მაიაკოვსკიზე, ჰემინგუეიზე...

რამდენი შედეგია შეინიერეს უძვირფასესმა მკვლელებმა იმით, რომ სიცოცხლე მოუსწრაფეს გალაკტიონ ტაბიძეს, ვლადიმირ მაიაკოვსკის, ერნესტ ჰემინგუეის...

მეორე ტაბიძეც გავიხსენოთ: „მტკვარი აქვია, მინდა მტკვარში თავი დავიხრჩო!“

მან ვერ მოასწრო დაგეგმილი მკვლელობის შესრულება! სხვები უფრო ყოჩაღები აღმოჩნდნენ! ეს რომ არა, იქნებ ტიცციანსაც ჩაედინა მკვლელობა — მოეკლა ტიცციან ტაბიძე!

ფსიქოანალიტიკოსის, ფსიქიატრის, ფიზიკოსის, ბიოლოგის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის აზრი იქნებოდა საინტერესო ამ თემაზე!

მე ნუ დამტუქსავენ — ჩემმა შვილიშვილმა ანა ჭანტურიამ უნდა პირველად მკვლელი თვითმკვლელს და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმათ, ვინც სიკვდილისთვის გაიმეტა გენიალური პიროვნება, ოღონდ ანამ ნათქვამს ღიმილიც დააყოლა, მე კი სულაც არ მეღიმიება!

რა დიდუკ უნდა იყოს ჩვენი სიყვარული მათადმი — იმავე გალაკტიონისადმი, იმავე მაიაკოვსკისადმი, იმავე ჰემინგუეისადმი — ჩვენ მათ მადლობას ვერ ვეტყვიან ჩადენილი მკვლელობისათვის...

გადავიტანე ქალაქზე ეს ყველაფერი, და ახლა ისლა დამრჩენია, გადავწყვიტო — დავბეჭდავ თუ არა...

ისე, ალბათ შესანიშნავი სატოპკეა მდარე პასკვილანტებისათვის.

ოპუსს ჩემი ერთი ლექსიც მინდა დავურთო (ლექსი — სინანული? ლექსი — ბრალდება?) — უკვდავი თვითმკვლელების (მკვლელების?) პატარა სია...

ნიმნი გვირდზე გადადო და ჩაჟიჟდა დავით მჭედლურის ხსოვნას

უკვდავ თვითმკვლელებს ჩამოთვლის პაუზი (მტერი ჩავარდა მწერლების ყბაში).

კარგად მახსოვდა, სოკრატემ რომ დალია შხამი ადრე დილით, უფრო სწორად — გვიანი ღამით... ახლა სენეკა.

ახლა ვულფი.

ჰემინგუეი.

სილვია პლათი. გი დებორი.

ლაფარგი. კატონი. კლეოპატრა. დემოსთენე.

მისიმა. ემპედოკლე,

ყერარ დე ნერვალი, მერილინ მონრო.

ჟილ დელეზი.

ანრი როორდა. სტეფან ცვაიგი.

იენ კერტესი, რომენ გარი, დალიდა...

პაოლო ჩვენი? გალაკტიონი?

მაიაკოვსკი. ესენინი... —

რით არიან მათზე ნაკლები,

ვინც მარტინ პაუმა ჩამოთვალა — ვითომ ესენი!

როგორ მოვიქცეთ, ჩვენ რა ვქნათ ახლა —


იქნებ ჩვენც უნდა მოვიკლათ თავი?

— რავი...

რაკი თვითმკვლელობა მკვლელობად ჩაუთვალა, ანამ განაჩენზეც იფიქრა: მიესაჯოს მკვლელს სამუდამო სიცოცხლე...

თუმცა რა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ამას — გალაკტიონსაც, მაიაკოვსკისაც, ჰემინგუეისაც რახანია მისჯილი აქვთ მარადიული სიცოცხლე...

თქვენ სიზმარი გებონებათ ეს უბრალო მოგონება



უხსოვარ დროს უნივერსიტეტის წინ გაჩერებაზე ვიდექი. საიდანღაც ერლომი გამოჩნდა. მისი გამოჩენა ყოველთვის ძალიან მიხაროდა. ლამის მომვარდა: იცი, შენი მოთხრობები ვის მოეწონა (ჩემი პირველი და უკანასკნელი მოთხრობები რეზო ინანიშვილის წინასიტყვებით დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“) – შევარდნაძეს!

იდგა სამოცდაათიანი წლები. ცეკას პირველი მდივანი მაშინ ადამიანი არ მეგონა და არა მარტო მე — თავისუფლების სული ფრინველივით უმისამართოდ დაჰქროდა. ერთი მუჭა დასჯილი ცეკას ნომენკლატურა რას ფიქრობდა არავის აინტერესებდა, მაგრამ ერლომი ერლომი იყო. ლოგიკას ყოველთვის იქ პოულობდა, სადაც სხვა ვერავინ მიაგნებდა. ამიტომაც მომწონდა მისი შემოქმედება და მასთან ურთიერთობაც. სანამ, სანამ გარდატეხის ასაკს თავს დავაღწევდი.

წუთში სამი ნაცნობის წინაშე იდრეკდა ქედს, ესალმებოდა და ემშვიდობებოდა...

ერთმა დარბაისელმა მანდილოსანმა ჰკითხა:

— თქვენი მეუღლეა?

— არა, ნათლული!

ნათლობაში ჯვარი და იები მაჩუქა. ნეტავ სად იშოვა ამდენი ფული? ისე არაფერი უხდებოდა, როგორც კაპიკების თვლა და მერე ხელიდან ხელში გადატანა (მკითხველს ცნობილ ამბავს შევახსენებ: ერლომს და დათო ჯავახიშვილს დალევა უნდოდათ, მაგრამ ფული არა ჰქონდათ. მოულოდნელად ერლომმა საათი იშოვა. ძალიან გაიხარეს, მაგრამ ასევე მოულოდნელად ერლომმა საათი იქვე დადო, საიდანაც აიღო — ახლა სხვამ გაიხაროსო).

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი სახსოვარია ის ჯვარი.

მტარვალი იყო. ნათლობაზე მითხრა, დარწმუნებული ვარ, ხვალიდან ყველაფერს სხვა თვალთ შეხედავო. იმდენად მჯეროდა მისი, რომ მეორე დღიდანვე ვცდილობდი, ყველაფრისთვის სხვა თვალთ შემეხედა. არაფერი რომ არ გამომდიოდა, სასწრაფო კვებითაში ჩავარდნილმა აღარ ვიცოდი, რა მექნა.

ერთ დღესაც კარადიდან მტვრიანი საქალაქად გადმოვიღო — წაიღე, წაიკითხე, ყველა ლექსი აქ არის, რაც დამინერიაო.

ტაბიძის ქუჩიდან ჩამოვედი და ჭავჭავაძის პროსპექტზე წიგნების მაღაზიაში შევედი. ბევრი ვიბორიალე, წიგნები ვფურცლე

და გამოვედი. უნივერსიტეტის წინ გამახსენდა, რომ საქალაქად წიგნის თაროზე დამრჩა.

ვინც იმ დღეს დამინახა, ჭავჭავაძის პროსპექტზე როგორ გავრბოდი, დღესაც ვემახსოვრები.

ამჯერად ბედმა გამიღიმა. საქალაქად ადგილზე დამხვდა. შეშინებულმა ყველაზე უკეთესი ლექსები სასწრაფოდ ბლოკნოტში გადმოვიწერე და საქალაქად ერლომს მივაშავე. ბოლოს დაბადების დღის მეორე დღეს ავედი. ისე შემხვდა, როგორც ციდან ჩამოვარდნილს. ერთადერთ სკამზე, რომელზედაც დაჯდომა შეიძლებოდა, დიდი შავი კატა მოკალათებულიყო.

თვით რუსთხელმწიფე რომ შემოსულიყო, იმ კატას არ აავდებდა.

სკამისმაგვარ რაღაცებზე ვისხედით მე, ერლომი და ლევან მაღაზია. ვიგრძენი ის, რასაც აღტაცებაში მოვყავდი (მაგალითად, უსკამობას). ახლა აღარ მალეღვებდა. რამდენჯერმე ბრაზით გავხედე კატას. ერლომმა თავზე მაკოცა (ეს იყო მისი მოფერება), რაც იმას ნიშნავდა, რომ კატაზე ნაწყენი არ უნდა ვყოფილიყავი. აღარ მაინტერესებდა იმის მოსმენაც, რაც ჩემთვის გაუგებარი იყო (მაგ. ცნობილი პოლიტიკოსის მონამეობრივ ღვაწლზე ერისა და კაცობრიობის წინაშე).

ერლომს, როგორც მასწავლებელსა და სულიერ მოძღვარს ყველა წესით ეს უნდა მოსწონებოდა. „ერთადერთი და განუმეორებელი“ – ხშირად ისმოდა მისი მისამართით. მას არ უყვარდა ეს ფრაზა. ყოველთვის ჩვეულებრივს ელტვოდა, მაგრამ განა ასე ადვილია, იყო ჩვეულებრივი, როცა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ხელი არაფრით გენყობა.

რაც შეეხება ლექსებს, იმ წლებისა და ერლომისადმი დამოკიდებულების გამო, შეიძლება სუბიექტური ვიყო, „ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველმა თავად უკეთ იცის.

ლეილა ბეროშვილი

ერლომ ახვლედიანი

ყოველ საღამოს მოდის საღამო
ხან წვიმის საფარით,
ხან ერთგულ ძაღლივით,
ხან ვეფხვის ფერებით,
ხან შავი გემივით,
ხან კოცნად მოვიდა,
ხან გულისტკივილად...

კველი სურათი

შენ ჩემი გზები ხარ,
შენ ჩემი გზნება ხარ,
შენ ჩემი მზერა ხარ,
მე – ძველი სურათი...

მე შენით ვინყვები,
მე შენში ვმთავრდები,
მე შენში ვინთები,
შენ ჩემში ქრები...

შენ დიდი ველი ხარ,
წვიმისგან შექმნილი,
შენ მწვანე ველი ხარ,
მე – თეთრი ცხენი.

მე თეთრი ცხენი ვარ,
შენ მწვანე ველი ხარ,
შენ ჩემი მზერა ხარ,
მე – ძველი სურათი.

დგახარ, როგორც სხივი,
უკვე გამომშრალი,
უკვე არეკლილი
ათასი სარკმლიდან.
დგახარ, როგორც მზე,
უკვე ჩაფერფლილი,
უკვე მოთიბული,
უკვე მოწეული...
დგახარ ბედისწერა,
რომელიც არ ეკუთვნის
უკვე აღარავის...

ვინყვებ ნადირობას...
ვიყიდე თოფი და
გამოველ გარეთ.
დავსდევი და ვუმიზნებ
საკუთარ სურვილებს,
ჩემს დარდს და დროს,
უზრუნველ ფრინველებს,
უზრუნველ დღეებს,
ფერებს და სიცოცხლეს.

დავსდევი მოსაკლავად
დაკარგულ ბედს,
დავკარგე რომელიც
ოთახში, საღამოს...

მოვკლავ ჯერ სიბრაღულს
(შტოზე დამჯდარ ფრინველს)
და დავკრეფ ყვავილებს.

ნავილა გავხვობა

ო, რა შორეული სხივთა თამაშია,
ნავილა ბავშვობა,
არაფერი მახსოვს,
ყველა სათამაშო
გზაში დამეკარგა...

ეს უბრალო მოგონება

მაღალ ჭადრებს არხევს ქარი
და ანათებს დიდი მთვარე,
თქვენ სიზმარი გეგონებათ
ეს უბრალო მოგონება.
რომ არ წვიმდეს,
რომ არ თოვდეს,
რომ ცრემლი არ მომდიოდეს,
რომ არ ვიყო ასე მშვიდი
და ასეთი მგრძობიარე,
მეც სიზმარი მეგონება...
დიდზე დიდი იყვენენ ცაში
მოთამაშე ვარსკვლავები.

იყო ქარში
ძალზე ნაზი
მზე-ყვავილი
მოფარფატე...
მე ვიყავი — სულ სხვა მაშინ,
ზღვა ვიყავი მაშინ მლაშე,
ზღვა კი არა, თევზი ვიყავ,
ოჰ, ლამაზი ვიყავ ქალზე...
თქვენ სიზმარი გეგონებათ
ეს უბრალო მოგონება.
ვიყავ ერთხელ ვრცელი ველი,
ნავარდობდა ჩემზე დღე და
ერთი ცხენი დღეზე თეთრი...
მე ვიყავი მაშინ მზე და...
მთვარე, მთვარე შემდეგ გავხდი...
ვიყავ მუხა, შემდეგ ცაცხვი,
შემდეგ სულ სხვა, მგონი ფეტვი,
შემდეგ გავხდი დიდი სახლი,
შემდეგ წვიმა, შემდეგ ქარი.
გადავიქეცე შემდეგ სეტყვად.
თქვენ სიზმარი გეგონებათ
ეს უბრალო მოგონება.
ახლა ვინ ვარ?
არც კი ვიცი,
ავიარე, დავიარე,
რაღაც სახელს მეძახიან
და ვკრეფ ჩემს თავს – ნაზ-ნაზ იებს...
სიზმარივით მაგონდება
ეს უბრალო მოგონება.

დასასრული მე-6 გვერდზე



ვიღრე ბორის პასტერნაკის „ექიმ ფივაგო“ ნაწილობრივად, მის მიხედვით სამოციან წლებში ამერიკაში გადაღებული ფილმი ვნახე, რომელშიც მთავარ როლს იმარ შარიფი ასრულებდა. ეს ჯერ კიდევ „პერესტროიკამდე“ მოხდა. მე ანტისაბჭოთა ნაწარმოებს ველოდი და რუსული ეგზოტიკით შეზავებული ჩვეულებრივი ჰოლივუდური კინო შემჩრა ხელში. არადა, „ექიმი ფივაგო“ სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგთან“ ერთად ყველაზე ცნობილი დიდიწიგნის ნიგნად ითვლება. მისი გამოქვეყნების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ პასტერნაკი აიძულა, უარი ეთქვა ნობელის პრემიაზე. მალე ეს უდიდესი პოეტი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და თარგმანების გამოქვეყნებაც კი აუკრძალეს. ცნობილია, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკას მაშინდელმა მდივანმა (რომელიც შემდგომ „კაგებეს“ ხემძღვანელობდა), ის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში „ლორზე უარეს არსებად“ მოიხსენია. საჯარო ლანძღვა-გინებასა და აღვირახსნილ დევნას პასტერნაკმა ორი წელიც ვერ გაუძლო, კიბოთი დაავადდა და გარდაიცვალა.

ფილმის ნახვის შემდეგ, უკვე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ლიტერატურული პირველწყაროც ნაწილობრივ და ბოლომდე მანაც ვერ მივხვდი, რამ გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების ასეთი უზომო აგრესია ავტორის მიმართ. მით უმეტეს, რომ ეს ხრუშჩოვის ე.წ. „დათბობის“ პერიოდში მოხდა, როცა დაუნდობელი ტერორის ყველაზე მძიმე წლები ჩავლილი იყო. ბაბელის „ცხენოსანი არმიის“ და შოლოხოვის „წყნარი დონის“ შემდეგ, სადაც ნატურალისტურად აღწერილი ბოლშევიკების მიერ ჩადენილი სამხედრო რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს, „ფივაგო“ არ მომეჩვენა მათზე უფრო მამხილებელ ნიგნად. თუკი ბაბელი ოფიციალურად აღიარებული საბჭოთა მწერალი იყო (თუმცა დახვრეტილი, მაგრამ შემდეგ რეაბილიტირებული სწორედ მაშინ, როცა პასტერნაკი მინასთან გაასწორეს) და შოლოხოვი — დიდებით შემოსილი უპირველესი კომუნისტი-კლასიკოსი, გაუგებარია, რატომ დაესხნენ თავს პასტერნაკს ასე შეუბრალებლად. მხოლოდ რომანის საზღვარგარეთ, იტალიაში დაბეჭდვა არ შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების უსაზღვრო გაშმაგების მიზეზი.

ერთი შეხედვით, „ექიმი ფივაგო“ დიდი და ტრაგიკული სიყვარულის ამბავია, რომელიც უკიდევანო რუსეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომის ფონზე ვითარდება. რა თქმა უნდა, ომის ტრაგიზმი და სისასტიკე ნაჩვენებია რომანში, მაგრამ იმაზე მძიმედ არც, როგორც თუნდაც ფადეევის სრულიად ოფიციალურ ნიგნში — „განადგურება“. იური ფივაგოც, მართალია ძალდატანებით, მაგრამ მანაც ბოლშევიკურ პარტიზანულ რაზმში მსახურობს ექიმად და არა კოლჩაკის არმიამ და თუ გარბის იქიდან, მხოლოდ იმისათვის, რომ სატრფო ნახოს და არა თეთრგვარდიელების მხარეზე გადასასვლელად. ბოლოს და ბოლოს, იგი მეტ-ნაკლებად ლოიალურ საბჭოთა მოქალაქედ იქცევა, არავალ მილიონთა მსგავსად ცდილობს, არსებულ რეალობას მოერგოს და მოსკოვში დაბრუნების შემდეგ წმინდა პროლეტარული წარმოშობის ქალსაც კი ირთავს ცოლად. ამ კუთხით რომანი მთავარი გმირის ბოლშევიკურ „ახალ ცხოვრებასთან“ შეგუების ისტორიადაც კი შეიძლება აღვიქვათ. ალბათ, ამიტომაც წერდა წლების შემდეგ პენსიაზე მყოფი ხრუშჩოვი თავის მემუარებში: „როცა ეს წიგნი, როგორც იქნა, ნაწილობრივ, მასში ანტისაბჭოთა ვერაფერი აღმოვაჩინე“. თუკი ეს ასეა, მაშინ რაღას ერიოდა საბჭოთა ხელისუფლება და თვითონ ხრუშჩოვი ავტორს? შეცდნენ? თავი დაიზღვიეს? წარსულის ინერციით მოქმედებდნენ? აბა, რატომ ამბობდა პასტერნაკი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში: „მთელი მსოფლიო ვაიძულე, ეტირა ჩემი ქვეყნის ბედზე“? ამან შეიძლება, ჩადავების ცნობილი გამოხატულებაც მოგვაგონოს, რომელიც „ფივაგოში“ აღწერილ ამბებამდე ასე წლით ადრე აღნიშნავდა — „რუსეთი, შესაძლოა, სამყაროსათვის რაღაც საშინელი მაგალითის საჩვენებლად არის შექმნილი“.

ცოტა ხნის წინ ხელახლა გადავიკითხე „ექიმი ფივაგო“. ახლა არავითარ ანტისაბჭოურობას აღარ ვეძებდი მასში და ალბათ ამიტომ მოვახერხე მისი სხვაგვარად აღქმა.

არის ერთი რამ, რაც პირველად პასტერნაკმა დაინახა და საკუთარი გენია-

ლობის წყალობით, მართლაც მოახერხა, მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა. ყველასათვის ცნობილია და თვითონ კომუნისტებიც არ მალავდნენ, რომ მათი მიზანი სამყაროს ძირფესვიანად გარდაქმნა იყო. ამისათვის ანადგურებდნენ მთელ საზოგადოებრივ კლასებს, ხალხს მამა-პაპათა მიწიდან ყრიდნენ და ასახლებდნენ, დაუნდობლად ხოცავდნენ, ვისაც ბოლშევიკურ იდეოლოგიაში ოდნავი ეჭვი შეჰქონდა, ცვლიდნენ ათადან-ბაბადან დადგენილ საზოგადოებრივ ცხოვრების წესებს, რომლებსაც ისტორიასთან ერთად ჩაეყარათ საფუძველი: აუქმებდნენ კერძო საკუთრებას, კრძალავდნენ ჩვეულებრივ ალბ-მიცემობასაც კი, ებრძოდნენ უძველეს ეროვნულ თუ რელიგიურ ტრადიციებს. მაგრამ ყველა ამ ფუნდამენტურ ცვლილებას ისინი ახდენდნენ საზოგადოებრივი პროგრესისა და კაცობრიობის წინსვლის დროში. მათი (და მათი მხარდამჭერების) პოზიცია ყოველთვის, ჩვიდმეტი წლის ოქტომბრიდან ოთხმოცდათერთმეტი წლის აგვისტომდე ამგვარი იყო: ჰო, ჩვენ გვინევს მძიმე და ხშირად სასტიკი ზომების მიღება, ამკარა თუ ფარული მტრების განადგურება, პიროვნული ინიციატივის ჩახშობა, შრომის იარაღების განსაზოგადოება, მინის სახელმწიფოსათვის გადაცემა და ერთი პარტიის დიქტატურის დამყარება, მაგრამ ამას მშრომელი ხალხის, მომავალი თაობების ბედნიერებისთვის, სოციალიზმისა და კომუნისმის

ირაკლი ქასრაშვილი

ექიმი ფივაგო

ასაშენებლად ვაკეთებთ, კომუნისმი კი კაცობრიობის განვითარების უმაღლესი საფეხურია, აბსოლუტური სოციალური სამართლიანობისა და სამყაროს გონიერი მოწყობის ზეიმი, რომელზეც ათასწლეულებიც განმავლობაში ოცნებობდა ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა. ის ჩაგრული უმრავლესობა, რომელიც საკუთარი შრომითა და ოფლით ქმნიდა მატერიალურ დოვლათს, რომელსაც შემდეგ მათ პარაზიტი უმცირესობა ართმევდა. ქვედა ფენები სისხლს ღვრიდნენ ბრძოლებში, რომელთა შედეგებიც მხოლოდ უმაქნისი ზედა ფენები სარგებლობდნენ. ჩვენ, კომუნისტები, მოვახერხებთ, გავანადგუროთ ყველა ნაციონალური და რელიგიური ცრურწმენა, რომელიც მშრომელთა მოტყუებისა და დამონებისათვის არის შექმნილი, სამუდამოდ მოვსპოთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ერთ დიდ სამოქალაქო ბრძოლაში დავამარცხოთ, გავანადგუროთ ყველა მჩაგვრელი და ამით დავამინახო საბოლოოდ შევწყვიტოთ ომები, შევქმნათ საყოველთაო თანასწორობის საზოგადოება, სადაც ადამიანს შესაძლებლობის მიხედვით მოეთხოვება და საჭიროების მიხედვით მიეცემა. ჩვენ მონერვივებულ დალაგებულ, გონიერებაზე აგებულ ცხოვრების წესს დავამყარებთ სამარადჟამოდ და ამ ბედნიერებას მოვუტანთ არა ერთ ან ორ ქვეყანას, არამედ კაცობრიობის თითოეულ ერს, ყველა სახელმწიფოს. თუმცა, საბოლოოდ სახელმწიფოც, ეს საუკუნეების სიღრმეში შექმნილი ჩაგვრის იარაღიც გაქრება, ქვეყნები გაერთიანდებიან და იქნება მხოლოდ ყოვლისმომცველი, მტკიცე, ჭკვიანი და ენერგიული ლიდერების მიერ მართული გაუმჯობესებული მსოფლიო კომუნა — ოდესღაც, კაცობრიობის „ოქროს ხანაში“ არსებული პირველყოფილი თემური წყობილების იდეალური ვარიანტი. ასეთი იყო დიადი კომუნისტური იდეა, ბოლშევიკების „გზავნილი“ კაცობრიობისადმი. იყო დრო, როცა ამ დაპირებებს ყურს უგდებდა, სამყაროს გარდაქმნის ნითელფეროვან (და სისხლიან) გეგმებს იმედითა და გულისფანცქალით შესცქეროდა უტოპიური იდეების მოტრფილელ საზოგადოება დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში. ამ არნახული ექსპერიმენტისგან ელოდნენ ხსნას როგორც კაპიტალიზმზე გულაცრუებული ინტელექტუალები, ასევე უკეთესი ცხოვრების მოსურნე მუშები და გლეხები.

პასტერნაკმა კი თავის რომანში თვალნათლივ აჩვენა, რომ კომუნისტური პარტიის მმართველობა, ეგრეთ წოდებული „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ (და სხვა მსგავსი რევოლუციები) სინამდვილეში კაცობრიობის წინსვლა კი არა, უზარმაზარი ნაბიჯია უკან — ცივი-

ლიზაციიდან ბარბაროსობისაკენ, განვითარებიდან პრიმიტიულობისაკენ. ეს პირველყოფილ ველურობასთან დაბრუნება და პროგრესის უმთავრესი მონაკოვრების სრული უარყოფაა. ჭკმარიტი პოეტის ინტუიციით ის მიხვდა, რომ კომუნისმი გამო-



ქვაბულისაკენ სვლას ნიშნავდა და არა თვისობრივ ნახტომს ნათელი მომავლისაკენ, როგორც ამას ბოლშევიკები ამტკიცებდნენ. რომ იგი უძველესი, ბნელი, უდაბური, სასტიკი, დაუნდობელი ინსტიტუტების გაღვივება ადამიანსა და საზოგადოებაში და უფრო მეტიც, ამ ინსტიტუტების მიხედვით ცხოვრება. ნიგნში შესანიშნავადაა ნაჩვენები, რომ ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდარი ცვლილება აბსოლუტური ბოროტებაა, მარტივი და ყოვლისმომცველი, როგორც ღამის წყვილია დადგომა. ტყუილად კი არ უნდა ჰერბერტ უელსმა საბჭოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს „რუსეთი წყვილია“ ამ განადიოზული უკანსვლის პირველი გამოხატულება რევოლუციის შემდეგში მოსკოვის გადაქცევა უოლიტიკური და კრიმინალური ტერორით მოცულ ჩაბნელებულ, გაყინულ და დამძულ უზარმაზარ სოფლად. ამის გამო გარბის ფივაგოების ინტელიგენტური ოჯახი თავის გადასარჩენად შორს, ურალში მდებარე მიყრუებულ სოფელ ვარიკინოში, რათა გაერიდოს უფსკრულიდან წამომდგარი ძველთაძველი ბარბაროსობის პირველყოფილ ძალას, რომელიც ქვეყანას და ხალხს წარმართული რუსეთის უღრანი ტყის ბნელეთისკენ მიათრევს. ყველაზე კარგად ამაზე სტუმარი ქალი, სიმა ტუნცევა საუბრობს, როცა იურიანტინში ფივაგოსა და ლარასთან მივა მათი სოფელში ნასვლის წინ. ეს ქალი რომანში ყველაზე მნიშვნელოვანი რამის სათქმელადაა მოსული: ბოლშევიკებს პროგრესის ნაცვლად სინამდვილეში ისტორიის რამდენიმე ათასწლეულით უკან გადასროლა სურთ, პატრიარქებისა და მეჯვრე ტომების ეპოქაში, როდესაც ცხოვრების უმთავრესი ნესი ძალადობა იყო, ხოლო ადამიანის თვითნებობას კანონი არ ზღუდავდა. მასობრივი გადაგვარება, ადამიანების დევრადაცია, ცივილიზაციის რღვევა მშვენივრად ჩანს იმ ტანჯვის გზაში, რომლის უდიდეს ნაწილსაც ფივაგო ფეხით გამოივლის ურალიდან მოსკოვში დასაბრუნებლად. ის გადამწვარ სოფლებს, მიტოვებულ სახლებს, აყრილ რკინიგზას, გავერანებულ მინდვრებს, დამძულ ცხოველებსა და პრიმიტიულ დონეზე დატყვევულ ადამიანებს აწყდება. მისი მოგზაურობა თითქმის არაფრით განსხვავდება რომელიმე ველური ტომის წევრის თავგადასავლისაგან, რომელიც დიდი გამყინვარებისა თუ ხალხთა დიადი გადასახლების ეპოქაში უფრო ნოყიერი საკვებისა და საძოვრების საძიებლად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიიწევდა. ეს დაბრუნება იმ შორეულ წარსულში, როცა ამ უკიდევანოდ, ქაბრეულ ტრამალებში გაზარეულ ადამიანთა ჯგუფები დაბოროტდნენ, რომელთა ერთადერთი საქმე ყოველდღი-

ურად თავის გადარჩენაზე ზრუნვა იყო, როცა ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა, ძლიერი სუსტს იოლად იმონებდა და ხელოვნების მწვერვალს გამოქვაბულის კედელზე მიხატული ირემი წარმოადგენდა.

კარლ იასპერსი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში წერდა, რომ კულტურა მხოლოდ თხელი ფენაა, რომელიც ცივილიზაციას ველურობისაგან ყოფს. მისი დარღვევა და წარსულში დაბრუნება მეტად იოლია. იასპერსმა თავისი თვალთი ნახა ეს ფაქტორი გერმანიაში. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ბერტრან რასელიც წერდა ცივილიზებულობის გაქრობის საშიშროებაზე ბოლშევიკური მმართველობის პირობებში, ხოლო პასტერნაკმა არა მარტო გამოსცადა, არამედ მხატვრულად აღწერა კიდევ მთელი ქვეყნის მიერ ცივილიზებულობის დაკარგვის პროცესი. ყბადაღებული კომუნისტური „ახალი ადამიანი“ სინამდვილეში სწორედ პიროვნულობისგან, თავისუფლებისგან დაცლილი, უხსოვარი დროის კოლექტიურ ყოფასთან დაბრუნებული არსებაა — ზამიატინის „ჩვენ“, რომელიც გამოქვაბულის ნაცვლად კომუნალურ ბინაში ცხოვრობს. შემთხვევითი არაა, რომ კომუნისტურ ტერმინოლოგიაში ფართოდ გამოიყენებოდა სიტყვები, რომლებიც პირველყოფილ ცხოვრებას შეესაბამებოდა. მათგან ალბათ ყველაზე ცნობილია „ბელადი“, როგორც პარტიის ხელმძღვანელს (ცოცხალს ან გარდაცვლილს) მოიხსენიებდნენ. ასევე ახალი ფორმით აღადგინეს ზოგიერთი უძველესი რიტუალიც, როგორცაა, მაგალითად, მტრების საჯაროდ შეჩვენება და თემიდან (საზოგადოებრივ) განკვეთა. ის, რასაც ათეიზმად ასაღებდნენ, სინამდვილეში წარმართობასთან უკანმოუხედავი დაბრუნება იყო, როცა კერპებად გარდაცვლილი თუ ცოცხალი ბელადები და გმირები იქცნენ. მათი სურათები გამოფენილი იყო ყოველ ქუჩაზე, ყველა დაწესებულებაში, მათ საჯაროდ თაყვანს სცემდნენ ალუმებისა თუ შეკრებების დროს, „უკვდავებად“ კი მოიხსენიებდნენ. ერთ-ერთი პირველი, რაც ბოლშევიკებმა გააკეთეს, იმ ფორმალური იურიდიული პროცედურების გაუქმება იყო, რომლებიც თავის დროზე რომაულმა სამართალმა დაამკვიდრა და ცივილიზაციის ქვაკუთხედს წარმოადგენდა უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში. ეს წესები მათ, როგორც ჭკმარიტიმ საწინააღმდეგობა, კლასობრივი შეგნებით და ჩეკას ტერორით შეცვალეს, რომელიც არასასურველ ადამიანებს ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე ისტუმრებდა იმ ქვეყნად. ბოლშევიკების პრიმიტიულ, სისხლისმოყვარე წარმართულ ღვთაებებს მართლაც სწყუროდათ.

ზოგადად, წმინდა სახით კომუნისტური მმართველობა, სწორედ ისეთი, როგორც მარქსმა და ენგელსმა აღწერეს, მხოლოდ ერთ ქვეყანაში განხორციელდა — კამბოჯაში, პოლ პოტას დროს და სამოთხის ნაცვლად ეს წმინდა წყლის ჯოჯოხეთი აღმოჩნდა დედამიწაზე. კამბოჯელმა კომუნისტებმა გააუქმეს ყველა ის ინსტიტუტი — ოჯახი, ფული, კერძო საკუთრება, ქალაქები, ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება — რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ შექმნა კაცობრიობამ განვითარების ათეული საუკუნეების განმავლობაში. მათ ამის მისაღწევად მილიონობით ადამიანი გაუღივსეს, ქვეყანა ერთ დიდ სასოფლო კომუნად აქციეს და რეალობაში განახორციელეს ის დაბრუნება უკან, ბუნებასთან, რომელზეც ვერ კიდევ ჟან-ჟაკ რუსო ოცნებობდა. ეს იყო არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ, რაც მთავარია, ზნეობრივი დაბრუნებაც, ცხოვრება „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“. შენეველ ფილოსოფოსს ეს დაბრუნება აშკარად სხვაგვარად წარმოედგინა და მაშინდელი კამბოჯა რომ ენახა, ალბათ გული შეუნუხებოდა. თუმცა მკაცრი რეალობა ყოველთვის განსხვავდება ქალაქად აღწერილი იდეებისგან და განსხვავება მით უფრო დიდია, რაც უფრო უტოპიურად მიმზიდველი და ერთი შეხედვით თითქოს კაცობრიობის იოლად გამაბედნიერებელი ჩანს ეს იდეა.

მისი გარკვევას, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენდა კომუნისტური მოძღვრება, მისი „პრაქტიკა და თეორია“, კაცობრიობამ რამდენიმე ათეული წელი, ცხელი თუ ცივი ომი მონაწილეა. ეს, შეიძლება, მცირე დროა ისტორიისთვის, მაგრამ ისეთი კაცისთვის, როგორც პასტერნაკი იყო, მან



სოსო მეშველიანი

უსმოდ

„დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“
გალაკტიონი

ჩემთვის ცხადია ყველაფერი, იმ დაუღვეველ ზაფხულის დღეებს, სიზმრად ვხედავ, გამეორებით ჩიჩახვს იესებენ კალიებით ინდაურები, ორლობებში თბილ გუბეში წვანან ღორები, მნიფე ტყემლებქვეშ დედა ნამდვილ სიზმარს მიყვება, წყალს ვერ გაატან, ისეთია — არც ცეცხლზე იწვის, უკვე მამლებმა დაიყვილეს, ძალღმაც იყვია, ღია სარკმლიდან, ქარს სურნელი შემოაქვს მინის. სველ სიმინდებში მელანდება მამის თითები, ნისლში ყანას რომ ბუნდოვანი სიმწვანე დაკრავს, ლურჯი პეპელა ამოფრინდა კვახის ყვითელი ყვავილის ვიწრო ყელიდან და უმაღლე გაქრა.

ღამე მოჰიპოვლავს მთავა

„წმინდა შიში იშვიათი მოვლენა“
სიორენ კირკეგორი

იდეალური ლოთის პორტრეტი, რეპინის — მუსორგსკი. ვისთვისაც უკვე ყველაფერი არის სულერთი. თივის ქოხები, ერთჯერადი, ზოგს სძინავს, ზოგს კი მთის სათიბებში მოჩურჩულე ღამის სულები

ისე აშინებს, მგონი ძველ კელტ ქურუმებს უხმეს, რიტუალის დროს არაერთხელ ახსენეს ფითრი. ინილებიან, არ მეცნობა მათგან არცერთი. ვწევარ გულაღმა, ოდნავ მომსხო ვარსკვლავებს ვითვლი, ისეთ გულზე ვარ, სათანადო პასუხს გავცემდი,

რომ დამენახონ. ხმალა ისმის კლანჭების ლესვის, დამფრთხალი ძალიც წკმუტუნებს და კუდს აქიცინებს, მეც გადმომედო, ახლა უკვე სხვაგვარად მესმის ხმა ჭრიჭინების, სადაც ცივი წყარო ციმციმებს მთვარის შუქზე და ა.შ. დიდ გულზე მოსულს, როგორც ყოველთვის გამხნელება მაინც დამჭირდა, აალებული თვალებით რომ შუალამის მშრალ და თივის სუნიან ჰაერს კვსავს მდებრი ქაჯი და ბაძვის ბურქებთან პირუტყვივით ხმაურით შარდავს. ფიქრს შევყვი და ცხადში ვნახე, ნეტავ რა მრჯიდა, ვიყავი ჩემთვის, ასე რომ ვთქვათ, არამიშავდა.

შავი

წარმართი მამა ლოცვის შემდეგ როცა იძინებს, დაზეპირებულ სიზმარს ხედავს — ტყისპირას შავი ხორციჭამია ფრინველები სხედან ძახვლზე. კენკავენ, არამოჩვენებით სხეულს იმძიმებს ხე, რომლიდანაც ნითლად წვეთავს ნაყოფი მჟავე და მის მახლობლად ჭრაქიანი ლანდი ციმციმებს, ხოლო მირონის რეცეპტებით ბალღამს ხარშავენ მათივე ჩრდილთან მოკუნტული, შავი ბერები. შენ კი, ოცნებად წოდებულ, ფრთები გაშალე, უკან გამომყე, უკუსვლით და უკუფერებით.

მიჟღავნა

ჩემი სრულყოფა, გარდასახვა, ლოდინად არც ღირს, ჩვენს უკითხავად, ღმერთმა თავად დაგვახარისხა. უთრთის, რატომღაც, ეკლიანი ფოთლები ბარცხილს, მთიდან ნისლიან ტევრებამდე აღწევს ხარის ხმა.

პატარა, მწვანე, ეკლის ბურთებს ისხამს ლენცოფა, ნანვიმარ ღრუბლებს ქარი ახლა ჩემკენ მოდენის, ქოხის წინ მორზე ჩამომჯდარი ღმერთი მეცნობა, ერთ კაცს მაგონებს, ეჭვიცა მაქვს მცირეოდენი,

რომ მამაჩემის თვალები აქვს...(მაღავს ნაქურდალს) თვალდახუჭული ბენეს უვარცხნის ფოცხვერს, ბენვიდან რაღაც ანათებს. ეს ხილვაა?! იქნებ, აქ უნდა ბაძვის ფოთლებით თვალის ფსკერი ამომენმინდა.

ძუაზე აცმულ ეშვებს ვიხვევ მაჯაზე. წყევლის რიტუალიდან განდევნილი ვხედავ წარმართებს შავ-შავი ცხვრებით, ცხადი არის ეს მოსანყენი... არსებობაც კი ტყის სულებმა თითქმის წამართვეს.

ძვლებში მამტვრევდა თვითსიყალბე, ვგრძნობდი, რაკი ცხვრის ქურქს ვერ მოვერგე. რაც ვიყავი, ვჩანდი ნახევრად. ვარ კი საერთოდ ღირსი ქების ანდა გაკიცხვის, ღმერთი დუმს, მაგრამ არც ეგ მიღირს უკანდახვევად.

ღამის ხელები

ნაჯაფარ ხელებს წვიმას უშვერს, არსებობს, არის. ტანჯვით ცხოვრება ღმერთისაგან აქვს ნაბრძანები, სად დედაჩემის ხელის გული, სანყალი ქალის, სად დავგალული მინის ბზარები.

მიჟღავნა (სვანურად) — მზის ჩასვლის ადგილი

გადავეჩვიე თმების ვარცხნას, წვერის გაპარსვას, ნანვიმარ ნაძვექემ სოკოს სუნი და ნედლი ყავრის აქ ყოველდღიურ ამბებისგან თხზავენ ზღაპარსაც, საბოლოოდ რომ ალბათ მასაც გაუვა ყველი.

ზის ახლა ლოყებჩაცვენილი გლეხი, მიყვება ამბავს, ძველ ქოხში, ლამის შუქზე, ძილი წამართვა, ჭოტმა იკივლა, სადღაც ძალიც წამოიყვია ამ ყრუ ხმებს მიღმა ოდითგანვე ვგრძნობდი წარმართ და

იდუმალ ღმერთებს, მკვდარ პლანეტებს, უცხო არსებებს, ფისის სუნიან, შესქელებულ ჰაერის ღეჭვით, სულის უფსკრულებს ექოებით ამოავსებენ ღამეები და ელვასავით გაკრთება ეჭვიც.

და წამიერად ზეარსებაც შეიცვლის იერს, ვინც სული ხორცის ბნელ დილეგში გამოამწყვდია, წევს ნაძვის ტოტზე ფოცხვერი და ყველაზე ცბიერ თვალებით კვსავს პირველყოფილ, უმანკო წყვდიადს.

სავსე ღამე

ძვირფასო! იქ ცივი მდინარე დის, გესმის ბუ ცხელ ღამეში როგორ კივის?! ნაძვები — სიმაღლე მინარეთის, შამბებში ბილიკი ლოკოკინის.

იმ ტყეში მალალი ხეები და ქოხი დგას, დიდპაპამ რომ დამიტოვა. ისედაც ერთმანეთი ხელებიდან გვეცლება, არ გირჩევ ამიტომაც...

იმ მთაზეც საშიშია, დამიჯერე! ასე ამჩატებას მეხუმრები. ჩვენ სულებს პეპლებივით დაიჭერენ ქარებით აბურღული ბელურები.

ქონი

თბილისელ მეგობრებს

ელვა შენივთავს ცას და მინას, ხევშიც იჭექებს, ცაზე ცახცახით მიეკრობა ვარსკვლავი ვარსკვლავს. პირქუმ უღრანში, უკვე კარგად ნაცნობ ფიჭვებქვეშ დააღამდება გზაბნეულ გიშერა ხარს კვლავ.

ცივი ქარი ქრის, ალბათ მთებზე მალე ჩამოთოვს, აქეთ გადმოგვწვდა, ვერ იოკებს ზამთარი ბოღმას. ჩვენ ხარს ვეძებდით, ავივაკეთ, მითხრა ვჭამოთო მეგობარმა და, მივაშურეთ ძველისძველ ქოხმასხს.

შევრჩით უკარო პირლია ქოხს, ეგრე მოჟამულს, რომლის ხახაშიც ყველა ხილვა უმაღლე გაქრა, ირგვლივ ყველაფერს ძვლებიანად დახრავს დრო-ჟამი, ხელუხლებელი ერთადერთი დარჩება „დაგრა“*.

აქ მუხა იდგა, ქერქქვეშ წყალიც სისხლად უჩქეფდა, აქ წარმართობდნენ პაპაჩემის თანატოლები. ქრებთან საპნის ბუმტებავით, თხილის ბურქებთან, ღამის სულები და იდუმალ ნიშანს ტოვებენ.

წერილი ღამისგან

მწერს წვიმსო, ისე მწერს ისე წვიმსო, წმინდა წყლის მუსიკა იგულისხმა, როგორც კი გადაიღებს, სველ ტყეებში აქა-იქ ისმისო გუგულის ხმა.

მწერს — სარზე ხვიარა ლობოსი ნემსიყლაპია ზის, გამჭვირვალე ფრთებს აფართხუნებს და მზის ჩასვლისას ბზინავენ ფოთლები ნანვიმარი.

დარბიან ყვითელი წინილები ეზოში, ნითელ კრუხს დაყვებიან, ზოგჯერ შენი ლექსიც მესიზმრება, ქოხმახი, ნისლები, არყებიან —

ფიჭვიან-თხმელიანი ტევრები და ანკარა ქაფიანი ნაკადული. ნუ დარდობ, ჯერ ისევე შემიძლია სახლსაც და ეზოსაც კარგად ვუვლი.

დაგრა (სვანურად) — სიკვდილი

ვაჟა ხორნაული

წყაროს წყალი და სანთელი ვარ
განა ღვინო მე
და დავინწყებულ სამარეში
მზე და ძვლებია...

ხედავ და გტკივა
(მათთვის გული არ გენანება)
მიწას სიკეთეს უწუნებენ
თუ მზეს გალობას

სიმწვანე თოვლი
სიმწვანე ისევ
დასალიერზე
შუქი ბიბინა.

საოცრებაზე
მეტია სივრცე
როცა დაჭრილი
ფრთებით მიფრინავ.

მზის სიახლოვეს
გხედავ და გისმენ
გაბრწყინებულ
სიტყვის გვირგვინად.

ღმერთის გულივით
თბილია სივრცე
როცა დაჭრილი
ფრთებით მიფრინავ.

აკვანი ბაღში

სიცოცხლეცა და სიკვდილიც
ამბობენ ასეთ რამესა:
„თუ არ ვახარებთ ერთურთის
წყაროებსა და ყანებსა
ცას თუ არ გავუღამაზებთ
ოთხივე მხარის ქარებსა
სიყვარულს თუ არ ვუმრავლებთ
ფირუზებსა და ლალებსა —
მშვენიერებას ღმერთისას
ვერ გავუსწორებთ თვალებსა.“

კაცსა და ფრინველს კი არა
ქვასაც უცინის სახეო.

ქარი ქარს გაეთამაშა
სახრეს აუკრა სახრეო.

შევდექი ნისლის ხიდზედა
მეორე მხარეს გავხეო.

ნაწვიმარ სივრცეს გავხედე
შენი ხმა დავინახეო.

შვილმა დედას უყვირა
და ბზარმა გაირბინა
კედლიდან კედელში.



ზვარაკად თუ არ მიუხვალ

თუ არ ამშვენებ აღმართებს
ლამისასა და დლისასა
გულს თუ არ მოეწონებ
ძმობილისას თუ მტრისასა
თუ დავიწყებ ჯილაგსა
ალგეთის ლეკვებისასა
ფიქრს თუ აწყვეტი მდარესა
და არ გაუღებ კარებსა
ხმას და სიჩუმეს ღვთისასა —
ნათებას როგორ იხილავ
ახალი ვარსკვლავისასა.

ათიდან შვიდჯერ მაინცა
თუ არ გაარტყამ მიზანსა
ზვარაკად თუ არ მიუხვალ
ცასა და დედამიწასა
გავკარი ეგეთ სიცოცხლეს —
არაფერს არაფრისასა.

ცის ბილიკზე რომ ნაბორძიკდები
ღრუბელი შეგაშველებს ხელს
და მიხვალ ვარსკვლავებთან.

ნისლიდან გამოვიდა
და ჩიტი გამოჰყვა
მხარზე ჩამომჯდარი.

ქალი
სასწაულზე მეტია
მაგრამ ქალებისა რა გითხრა.

ქალს
მრავალწერტილი უხდება
და არა —
კითხვისა თუ
ძახილის ნიშნები.

მდინარის გაღმა სახლი აღარაა
გამოღმა მე და ჩემი ეზო
ვეღარ ვცნობთ ერთმანეთს.

აღამიანი და მისი ჩრდილი
დაობლებული ტყულებივით
შევიდნენ ტაძარში...

ისე უნდა დაიპყრო ქალი
რომ ეგონოს მე დავიპყარიო.

საიქიოში იგრძნო დედამ
შემოსვლა შვილისა
და ჩრდილი გაეზზარა.

როდესაც პირველი ქალი
გამოჩნდა ქვეყანაზე —
ვარსკვლავებმა მიიწინიეს
და მას შემდეგ
სულ ასე არიან.

შურმა დაანგრია
ღვთისაგან ნაბოძები
ტაძარი „ჩვენ“
და დარჩა ნაფოტები
„მე“ „შენ“ და „ის.“

და ღმერთმა ადამიანს
ჩაუტარა სიყვარულის
პირველი გაკვეთილი —
წყაროსთან მიიყვანა
ყვავილი და ფუტკარი გააცნო.

ღმერთო
რა ლამაზები არიან
გული და გონება
სიყვარულის საქანელაზე.



გტკიოდეს მეზობელი
რომელმაც არ იცის
რომ შენი იატაკი ჭერია მისთვის.

ქალის მხრების
ათრთოლებას
მინისძვრა გერჩივნოს.

სახლს დაუბრუნდები
ქალაქი
დარჩება გარეთ
სანერ-კალამს მიუხვალ
და სადღაც დარჩება სახლი.

ქალი
მანამდეა სულელი
სანამ დედა გახდება.

ცისა და მინის სიჩუმეში
დედამ იგრძნო
რომ ქარი იბადება სადღაც
და ყვავილოვანი საბანი
გაუსწორა მძინარე შვილს.

თოკის დანახვაზე
ზოგს ზარი ახსენდება
და ზოგს — სახრჩობელა.

ღმერთო
დიდხანს აცოცხლე მეეზოვე
რომელმაც ტროტუარზე დახატულ
მზეს ცოცხი მოარიდა.

ქალი გულით
მოვიდა პაემანზე
კაცი — ყვავილებით.

თითქოს სითბო მოაკლდა დღეს
როდესაც ჰორიზონტთან
აღარ მომეგება
ხელისგულისოდენა თოვლი —
გუშინ გაცნობილი.

მეუღლეები აღარ არსებობენ
ქმრებითა და ცოლებით
აჭრელდა ქვეყანა.

გული უნდა გტკიოდეს
თვითონ რომ დარში ხარ
და ფრინველი
წვიმაში გემალება.

ქალსა და მდინარეს
ნუ დააკვირდები ძალიან —
მინაზე აღმოჩნდება.

მგზავრი
ისე მოუხდა ჰორიზონტს
რომ ღრუბლიდან
ღრუბელი გამოვიდა.

აკლიანი მცენარე ჩემი ზანჯრის რაზმაზე

ჩემი ოთახის კუთხე ავსებულია ფიქრით, ჩემი ოთახის კუთხე ავსებულია ღამით... და მოგონებით სავსეს ჩემი ოთახის კუთხეს უნდა ვაუწყო ერთი ამ ისტორიის ბოლო: სარკმელი, ფარდა, რაფაზე ყვავილი, გარედან სიმწვანე, შიგნით კი შავია, მცენარე მაღალი და ეკლიანია... ეს მისი ფიქრია, ეს მისი ველია, ეს მისი გზაა და ეს მისი ღამეა.

ასანთი ქველი

ამოვისუნთქო მინდა ეს ლექსიც... ასანთი ძველი და მასზე წერო ფრთაანული მენამულ ფონზე... ალბად მზე ჩადის ახლა ასანთში.

მე ვცდილობ გადმოვცე განწყობა ჩემი, ოთახი, ნათურა, მაგიდა ძველი. ვწერ, ნაწერს მიჩრდილავს აჩრდილი ხელის, გარეთ ღამეა და ქარი ქრის... ნახევარმთვარე ჰკიდია ცაზე, ხან ღრუბლებს იფარებს, იბნელებს თვალებს, ხან კვლავ გაანათებს ამ გულცივ ღამეს. ნახევრად ანათებს მთვარე, ხმაური ამოდის ქუჩიდან ქუჩის, შრიალებს ფოთლები – შემორჩათ ხეებს, სცივით გამვლელებს, ღამესაც სცივა. დაკარგა სიჩუმემ თავისი თავი.

ერლომ ახვლედიანი

ფიქრებით მივყვები მე ძველ ღამეებს (ეს უცხო ღამეა, უცხოა მხარეც). მივყვები ჩემს სიტოს, რომელიც ახლა სხვას უთბობს სულსა და სხეულს... გამვლელებს სცივით, სცივით მათ ჩრდილებსაც. სინაზემ თავის დაკარგა სუნთქვა... მარტო ვარ... ქუჩას ზემოდან დავცქერ, ქუჩაში ქარი ქრის და სულს მივსებს მტვრით.

ერთი ბნელი ჯურღმულია ჩემში, ვიღებ სანთელს, გავინათო გზები, ჩავალ, ვნახო, იმ ჯურღმულში იქნებ ძვირფასი რამ დამიტოვა ღმერთმა...

ვიღებ სანთელს და ჩავდივარ დაბლა, უფრო დაბლა მეხუთება სული, ეს სანთელიც პანანინა დღეა მომწყვედიული მოცახცახე ხელში.

უფრო დაბლა, კიდევ უფრო დაბლა... თბილი წვეთი, როგორც დედის ცრემლი, მეღვენილება და ცივდება იქვე. მე კვლავ დაბლა, მე სულ დაბლა ჩავალ, იქნებ ვნახო იმ ჯურღმულში ჩემი გაზაფხული, ან შეგრძნება ძველი, ან ოცნება, ანდა მთვარის სხივი გადამტყდარი შუაზე...

ერთი ბნელი ჯურღმულია ჩემში.

სურათი

ფიქვებს შორის რომ საფლავი არის, ეს საფლავია უცნობი მხატვრის. ფიქვები დგანან, როგორც სანთლები, და როს სინათლე შემოადნებათ, საფლავთან მოდის უცნობი ქალი, შემდეგ ამოდის ფერმკრთალი მთვარე... მხატვარს ეს ღამე სადღაც უნახავს.

საღამო

როგორ დამღალა ხეტიალმა, ფიქრმა, წუხილმა. როგორ დამღალა ყველა სურვილმა. ვდგავარ და ვხედავ. როგორ მიდის ნისლში წარსული ეს დღეც მას გაჰყვა (რა უბრალოდ მიდიან დღენი...). ნავიროქები მე ჩემს წინაშე: რას მოველოდი ამა სოფლად, რას მოველოდი?! ნუთუ ეს იყო ყველაფერი, ნუთუ ეს იყო?! ნუთუ ამისთვის დავიბადე, ნუთუ ამისთვის?! ვიდგე და ვჭვრეტდე, როგორ მიდის ნისლში წარსული? ეს დღეც გავიდა...

23 აპრილი

გ. რჩეულიშვილისადმი

შენი სულია... რა სიღრმეა, რა სიშორეა... თევზის მოქნილი გაოცება, როდესაც ახლო რაღაც საოცარ და თბილ სუნთქვას შეასწრო თვალი – შენი სუნთქვაა... მას მოეჩვენა, რომ ეს არის მისი წარსული, ან მოლოდინივე წყალმცენარეში მიმალული მოალერსება, ან ეს დღე არის ჩაძირული, როგორც ხომალდი... შენი სულია, შენი სულია, სუნთქვაა შენი...

დასასრული

ღამის მთელი ცხოვრება დაიგია. თავიდანვე კარგად ხვდებოდა, რა ფენომ-ენტთან ჰქონდა საქმე და მისთვის ნამდ-ვილად არ იყო იოლი საბჭოთა კავშირში ცხოვრება. ისაია ბერლინი წერს, რომ სტალინურ ეპოქაშიც კი პასტერნაკი ძალზე მტკივნეულად აღიქვამდა ნებისმი-ერ ეჭვს, რომ თუნდაც მცირე კომპრო-მისზე წავიდა საბჭოთა ხელისუფლე-ბასთან. „ექიმ ჟივაგოში“ მან შესანიშნავად აღწერა ის უსაშველო უფსკრული, რომელ-შიც ბოლშევიკებმა გადაჩეხეს ჯერ რუსე-თი, შემდეგ კი უამრავი მეზობელი ქვეყა-ნა, მათ შორის საქართველოც. ამის საილუსტრაციოდ ის ეპიზოდის კმარა, როდესაც ჟივაგო სამოქალაქო ომით გა-პარტახებულ პროვინციულ ქალაქში ჩა-დის ბოლშევიკების მიერ მისი ალბი-სთანავე და კედელზე გაკრულ ახალი ხე-ლისუფლების ბრძანებულებებს კითხუ-ლობს, რომლებიც გატანჯული და დამშეუ-ლი ხალხისათვის შეღავათის მიცემის ნაცვ-ლად კიდევ უფრო ამკაცრებენ კანონებს და გადარჩენილთათვის ცხოვრების უკა-ნასკნელი სახსარის წართმევის, მათი საბ-ოლოოდ გაღატაკებისა და დამორჩილე-ბისკენაა მიმართული. ეს თითქოს დანტეს ჯოჯოხეთის კარიბჭეა, სადაც წერია: „და-ტოვე იმედი, ყოველმა აქ შემომსვლელმა“.

და ადამიანებიც ამ „ახალი ცხოვრე-ბის“ კართან ტოვებენ არა მარტო იმედს, არამედ უფრო მნიშვნელოვანს — საკუ-თარ ადამიანობას. ისე, როგორც უეცრად სასტიკ მოსამართლეებად ქცეული გუშინ-დელი მუშები და დაუნდობელ ჯალათებად გარდაქმნილი მორცხვი გიმნაზისტები. ისინი საკუთარ ცოლ-შვილის ბედითაც კი არ ინტერესდებიან, არათუ ვიღაც კლასო-ბრივი მტრებისა, რომლებსაც დაუფიქრე-ბლად, ხელის ერთი მოძრაობით ანად-გურებენ. დიადი კომუნისტური იდეის ამ ფუნქციონერებმა დაკარგეს ყველაზე მთავარი, რამაც ორფეხა არსება ისტორი-ის გარიჟრაჟზე ადამიანად აქცია — საკუ-თარი სული და ინდივიდუალობა. ისინი მომავალი ბედნიერების სასტიკ და მაც-დურ კერპს ემსახურებიან, მსხვერპლად ცოცხალ არსებებს სწირავენ გაუთავე-ბლად. თვითონ ჟივაგოც კი, კარგი ექიმი და ბრწყინვალე პოეტი, საბოლოოდ კიდევ ერთ „ყოფილ ადამიანად“ იქცევა უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის გავე-ლურებულ და მსოფლიოს გაბედნიერების ამბიციებით შეპყრობილ დედაქალაქში, სადაც ონკანში წყალიც კი არ მოდის წესი-ერად. პასტერნაკი თითქოს ერთბაშად აგ-

ირაკლი ქასრაშვილი

ექიმი ჟივაგო



ვიხელს თვალს. საყოველთაო ბედნიერე-ბის მიმზიდველი დაპირებების მიღმა ის მიწისქვეშეთიდან ამოსული სისხლიანი მხ-ეცის წყეულ სახეს გვიჩვენებს. სწორედ ამ სიმართლემ გაამწარა და გააბოროტა სა-ბჭოეთის მმართველები, ამიტომ გადან-ყვიტეს ავტორის მიხანსთან გასწორება. ეს სიმართლე იმდენად არ შეესაბამება რუსე-ბის დიდ ნაწილში გამჯდარ ილუზორულ რწმენას მათი ქვეყნის სულიერებისა და განსაკუთრებული მისიის შესახებ, რომ უბრალო ადამიანები, რომლებიც ადრე გაზუთ „პრავდაში“ ღანძლავდნენ ამ რო-მანს, ახლა დროდადრო „ინტერნეტის“ ფორუმებზე აბაიბურებენ მას.

რასაკვირველია, კანონზომიერია, რომ კომუნისტური უტოპიის განხორციელება მაინცდამაინც რუსეთიდან დაიწყოს. ამ უზარმაზარი ევრაზიული ქვეყნის მოსახ-ლეობა პეტრე პირველიდან მოყოლებული პრაქტიკულად ორ განსხვავებულ ერად იყო გაყოფილი, რომელთაგან ერთი ევრო-პულ განათლებას და ცივილიზაციას ეზი-არა, ხოლო მეორე — საუკუნეების განმავ-ლობაში უუფლებო და დამონებული იყო. უბრალო ხალხის ცხოვრება თაობების გან-

კალური სოციალური უტოპიის იდეების ტყვეობაში მოექცნენ და მანამდე არნახუ-ლი სისასტიკით დაიწყეს მისი განხორ-ციელება. ეს მართლაც ექვსიათასწლო-ვანი ჩაგვრისაგან გათავისუფლებული კანის შურისძიება იყო, რომელმაც საკუ-თარი მარქსისტულ-მესიანისტური მისია ირწმუნა. ის თავს მტრებისაგან ალ-ყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში აღიქვამ-და, ვერ ეგუებოდა განხვავებულ აზრს და არავის სჯეროდა, გარდა ერთი, უმაღლე-სი მმართველისა, რომელსაც ადრე ფარა-ონი, მეფე ან იმპერატორი ერქვა, ახლა კი „ხალხის ბელადი“ ეწოდებოდა.

როცა ჩეკას, „პროლეტარიატის დიქტატურის“ ამ ყველაზე საშინელი ინ-სტრუმენტის, სისასტიკეზე ვკითხულობთ, გვახსენდება, რომ რომში საკუთარ მონ-ებს ყველაზე დაუნდობლად სწორედ ყო-ფილი მონები ექცეოდნენ. ეს იმიტომ, რომ მათთვის ძალაუფლების ძირითადი (და ხშირად, ერთადერთი) ატრიბუტი სწორედ დაუსჯელი სისასტიკე იყო.

პასტერნაკის რომანის მთავარი გმირი იური ჟივაგო კი არა, ის ეპოქაა, რომელიც მასშია აღწერილი — რევოლუციური გავე-ლურების, ცივილიზებული იერის დაკარგვის დრო, „შამი ქვათა მიმო-ფანტვისა“. ექიმი ჟივაგო ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია, ხოლო დანარჩენებს ავტორი თითქოს დროებით გამოსტაცებს სიბნელეს, გაანათებს მკვეთრი შუქით და შემდეგ ისინი უეცრად ქრებიან — სტიქ-ისის ტალღებით ბნელხმიან დროის ნა-კადს მიჰყვებიან. სწორედ ამიტომ განსხ-ვავდება ერთმანეთისაგან ასე ძლიერ რეე-ოლუციამდელი მოსკოვი, მეტ-ნაკლებად ნორმალური ყოფით მცხოვრები ქალაქი რევოლუციის შემდგომი ფანტასმაგორი-ული და შიშით მოცული ქალაქისაგან, სა-დაც ადამიანები ყოველდღე თავის გადა-სარჩენად იბრძვიან, უაზროდ არსებობენ და ისე უგზო-უკვლოდ იკარგებიან, როგორც ერთ დღეს დაიკარგა ლარა.

მე მგონია, რომ იური ჟივაგოს გე-ნიალური ლექსები იმიტომ ერთვის რო-მანს, რომ კიდევ უფრო მძაფრად გვიჩვენოს განსხვავება რევოლუციის დროინდელ ბარბაროსობასა და იმ დიდ პოეზიას შორის, რომელიც მხოლოდ ცივ-ილიზებულმა ადამიანმა შეიძლება შევას. ეს პოეზია სწორედ ის, რაც ქმნის კაცობრი-ობის ჭეშმარიტ კულტურას, იმას, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია ნებისმიერ უტოპიაზე.

ზაურ კალანდია

ციკლიდან: „სსკიზაზი სახეობადგომო განყოფილებისათვის — 3“

სტუმრად ნოდართან

ბაღდაძე, სააღდგომოდ უფროს ძმასთან, ნოდართან მივიღებარ საპურზა-ყანოში.

სამურზაყანო ენგურსგაღმა მხარეა. ჩვენმა უფროსმა ძმამ ცოლი ცხრამეტი წლისამ ითხოვა და ზუგდიდს დედულეთი არჩია, გალში დასახლდა.

მამა თვიდან გაბრაზდა, გვერდით მინდა მყავდეთ, მინა მოუზომა, სახლის აშენებასაც შეპირდა, მაგრამ ნოდარმა არ ქნა, თავისი გაიტანა.

მესამე წელია ცხოვრობს გაღმა, უკვე ორი შვილიც ჰყავს — გოგო და ბიჭი.

ჩვენ, უმცროსმა ძმებმა — გიგამ და მე ნითელ პარასკევს უნდა მოვიკითხოთ უფროსი ძმა. კიდევ გვყავს უფროსი ძმა. ის სოხუმში სწავლობს, გალში ჩამოვა სააღდგომოდ თუ ზუგდიდში, ჯერ არ ვიცით. დედას სჯერა, ნოდართან მივა და მერე ოთხივე აქეთ ჩამოდითო, მერამდენედ გვაბარებს.

დილით ავტოსადგურში მამამ გაგვიყვანა.

გიგას ორი მოზრდილი, მძიმე ჩანთა უჭირავს, მე — ცოცხალი გოჭი, უკანა ფეხებში თეთრი ლენტით შეკრული.

ჯერ კიდევ ცივა დილაობით და კარგად ჩაფუთვულები ვართ. გიგა თოთხმეტი წლისაა, მე — მესამეკლასელი და ცხრის მარტში ვავხდი.

ახლა მაისის პირველი კვირაა. მამამ ნაცნობი მძღოლი ნახა. ავტობუსს „ორამრიგ“ აწერია.

გალში, ცენტრში, „კულტსახლთან“ გაუჩერებ, იქვეაო, უთხრა მძღოლს და ჩავსხედით.

გიგა რამდენჯერმე ნამყოფია ნოდართან, ჩემი — პირველი სტუმრობაა.

გოჭით მგზავრობა არ მესალისება, მე უხერხულეა, თან თვისუფალი ადგილებიც არ არის. უკანა კარებთან მოვთავსდი, მეტი სიხალგაეთა, მგზავრებს ვერიდები ჩემი ქუთით, მაგრამ არაფერი შევლის გოჭს, არ მოსწონს გასაურობა, ჭყიპინებს და ჭყიპინებს, აქაქცევად მიიწევს, ნერვებს მიშლის... უნდა შევეგუო, მამისგან მკაცრად ვარ გაფრთხილებული — ხელი არაფრით გაუშვაო!.. ვილაცქავს კიდევ ჰყავს გოჭი, პერანგამოჩაწული, ღიპიანი, დიდპირა, თმაგაქუცული, ჩაფსკენილი კაცია, მთელი ავტობუსის გასაგონად ხუმრობს — „პობედის“ ორი საბურავის ფასი მაქვს მიცემული, როგორ დავკლაო. ხელებში აუტაცებია ჩვილივით, თან მე, როგორც ახლობელს თვალს მიკრავს და ეს ცოტათი მამშვიდებს. აქეთ კიდევ, ჭრეღჩინახვიანი, ხბოსხელა ინდაური ყიპყიპებს ჩემს უკან... ქათმების კაკანიც მესმის აქა-იქ...

ჩავიხრჩვი, ავტობუსია თუ საკოლმეურნე ბაზარი?! ვილაც განაწყენებული ქალი ჩივის, თუმცა არავის ესმის მისი.

ზუგდიდიდან გალამდე ნახევარი საათის გზაა.

მძღოლმა პირობისამებრ „კულტსახლთან“ გაგვიჩერა. გაგნებთო, გვეკითხება. გიგა თავს უქნევს. აქედან სამასი ნაბიჯიც არ არისო, მეუბნება და წინ მიდის. მივყევი. აი, თითქმის მივდივით, ის არისო, ძმამ შეისვენა. სტანდარტულად დახერხილი ფიცრის მალალი, მწვანედ შეღებილ გაყოლებზე იშვერს თითს...

სახლი არა ჩანს, თუმცა თხუთმეტი ნაბიჯიც არ იქნება იქამდე.

დავიძარბო.

ქუჩის მეორე მხარეს, ხის ორსართულიანი ძველი სახლი დგას. ჭიშკართან, ელექტრო ბოძქვემ, გიგას ტოლი გოგობიჭები დგანან. ხუთნი არიან და ხმამალლა, გამომწვევად იცინიან. ჩვენს დანახვაზე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, მაღლა, მავთულბუზე ნიავის სუსტი ნივილის ხმაც ვიგრძენი და რაღაც არ მესიამოვნა, დავიძახე, ცოტა შევმინდი კიდევ. ამ სამგლესაც ჩემს ჯინაზე აწყვეტა მოუხდა ახლა, წინ მექაჩება, გაორმაგებით ჭყივის...

გოჭი არ გაგექცეს, ბიჭო, არ დაგვლუპოო, მესმის, რასაც გოგონების კისკისი მოჰყვა.

სად უნდა გამექცეს, მიჭირავს მტკიცედ. ახლა ყველაზე მაღალი, აყლ-აყულა ბიჭი გადამელობა: მომყიდე რა, სააღდგომო გოჭს ვეძებ, რა ხანიაო, მე-ჯღანება. გიგამ გასცა პასუხი — ნადი, გაიარეო!..

— მე მეუბნები? — გაუკვირდა იმას. — ჰო, შენ... კოჭი გააგორე...

ვა, ეს რა მკადრად და უცებ სახეში ლენა გიგას. გიგამ ჩანთები დაყარა და ეკვეთა, წელში შეუვარდა, გაგორდნენ... ატყდა საშინელი ჩხუბი. ბიჭები გამოე-სარჩლნენ მეგობარს, მიესივნენ გიგას.

გოგონებს ერთი ნივილ-კივილი აქვთ. მე ვდგავარ გაშუშებული, დაბნეული...

ჩხუბში ჩარევა კი მინდა... ქვები საესეა ირგვლივ, ქვას მაინც გავუნუილებ ერთ-ერთს და გავთიშავ, მაგრამ გოჭს რა ვუყო, მკაცრი გაფრთხილება მაქვს მამისგან, რაც უნდა მოხდეს, ხელი არ გაუშვაო!

არადა, აშკარად მეჩაგრება ძმა, სამთან რას გახდება.

ამ ჩხუბ-ყვირილ-ხმაურში დახშული ეზოს ღობის ზემოთ ჩვენი უფროსი ძმის თავი გამოჩნდა, რა ხდებაო, აქეთ-იქით გაკვირებული იყურება...

— ნოდარ!..

ვიბლაველე, თან აჭყივლებული გოჭს იქით ვექაჩები, მისკენ მივიწევ...

ნოდარის გაკვირებული, გადმოცვე-ნამდე მისული თვალები მახსოვს და... ეს რა ვნახე; ამოიზარდა ღობიდან, ლამის გადმოფრინდა, ჰაერშივე დასჭექა — რას შევბით, თქვე მამაძაღლებო. ძმებს მიცემთ ჩემ ჭიშკართანო?!

ისე უცებ გაქრნენ, გაძვრნენ სადღაც ბიჭები ვირთხებივით, თვალიც ვერ მივაღვევე.

— კარგი. შევიდეთ შინ, მაგათ მე მოვუვლი. — ამბობს ნოდარი, ხელები გადაგვხვია, გვკოცნის და ჭიშკარს ალებს. შევიდით.

წინ დიდი ეზოა. სიღრმეში ერთსართულიანი სახლი დგას, ბლოკითნაშენი, სამთვლიანი, კოხტა, ახალჩასმული კარფანჯრებით, ლამაზი ფარდებით. მამის ნათქვამი გამახსენდა, მეორე სართულს მოგვიანებით დააშენებს, ორი სართულის ფუნდამენტი. ახალჩაყრილი ვაზია ღობის გასწვრივ (მაისია, კარგად გაყლორტილა, გაშლილა...). აქა-იქ ვაშლის, მსხლის, ატმის ნორჩი ხეებია, ეზო — გაკრი-ალებული, მოვლილი...

ჩემი პანია ძმისშვილების დანახვაზე ვუშვი გოჭს ხელი... რომც მონიდომოს, მაინც ვერსად გაიქცევა, უკანა ფეხები აქვს შეკრული, თან ჭიშკარიც ჩაკეტილია. გიგა წარბს არ ხსნის, ცალი თვალიც ანითლებული აქვს.

იმ ბიჭების კი გაკვირვებია, რას გვერჩოდნენ, თუმცა არც მახსოვს ის ჩხუბი უკვე. ბავშვებმა გამახალისეს, მათთან ვკოტრილობ... კაცმა რომ თქვას, გიგას უხასიათობა თავს მახსენებს, მაგრამ ვერ-ვეი... ერთი ძველი, შარშანდელი ამბავი ამომიტივტივდა გონებაში. არ ვიცი, რა კავშირი აქვს ამ ამბავს დღევანდელთან, ალბათ ის, ეგვეც მაისის თვეში რომ იყო...

გიგამ არ იცის. მოუყუყუბოდი, მაგრამ გაბუსხულია, არ მომისმენს, ნოდარისთვის კი მერიდება.

რაც არის არის...

ბაღის მოსაპარად წავედი. ბევრნი ვართ, მე ვარ ყველაზე პატარა, მეორეკლასელი, პირველად გავყავართ უფროსებს საქმეში. ბალი გინდაო, მეკითხება ერთი, მინდა-მეთქი და ხტუნვა-ხტუნვით წავედი.

უზარმაზარი ხე იყო, იმხელა ბალი არავის ედგა ახლო-მახლო. შვიდივე ერთად ავბობდით... მაისისაა, კარგად დამნიფებული, გემრიელი, ყველა ფოთლისქვემ ბლუჯა-ბლუჯა ღვივის გაგარდისფერებული ნაყოფი... ვჭამთ, ვაოხრებთ იქაურობას... პატრონმა მოგვისწრო. ვიცნობთ, ერთი გულწრფელი ღიპიანი კაცია, თხილის უშველებელი წიკება უჭირავს და რა გადაურჩება...

ვილაცამ იყვირა — ატანდაო!.. ჩემს გარდა, ყველა ერთბაშად, ციყვებით ჩახტნენ, ჩასრიალდნენ... სანამ ის კაცი გონს მოვიდოდა, გაშპნენ, გაქრნენ ჭინკებით, ლამის ხირხლის ღობეც გაიტანეს... მე ხეს ვარ შერჩენილი. რამდენ ხანს უნდა ვყოფილიყავი, ჩამოვბობდდი მშვიდად. პატრონი დაიბნა, არ ეგონა, თუ ვინმე იყო



ზევით, უცებ გაგიჟდა: შე ვირთხა, შენ რა, ნითელი კოჭი ხარ, გაქცევასაც არ კადრულობო, დამცხო და დამცხო, ამიჭრელა ზურგი და წვივები... კი მტკივა, სიმწრის-გან ვიკლაკნები, ვტირი... სირბილიც კარგი ვიცი, მაგრამ არ გავრბივარ, ფეხს ძალით ვითრევ თითქოს... ეტყობა, ის უფრო აცოფებდა იმას, გამწარებით მირტყამდა, წკეპლა შემოაღდა ხელში... არ ვიცი, დამნაშავე რომ ვიყავი, ვგრძნობდი და არ მწყენია, ახლაც ვერ გავრკვეულ-ვარ. უბრალოდ, იმ გზით დღესაც არ მიყვარს გავლა, თვალს ვარიდებ იმ კაცს და მის ბალსაც.

ბიჭები გამინანყენდნენ — როგორ ვერ დაუძვრი იმ ლოქოსო?

— სამაგიეროდ იმდენი ბალი ვჭამე, მომავალ მაისამდე არ მომინდება.

— ეს ვინ ყოფილა, — გაიკვირვა ვილა-ცამ.

— ა, ბოთე! — დაასკვნა მეორემ.

— დაიცა, დაიცა ხომ არ ჩავვიშვი?

— არა... არც უკითხავს...

— რომ ეკითხა?

არ მეშვება.

— შეიძლება ჩამეშვი კიდევ.

გავბრაზდი.

— დაანებე თავი, სულელია. ვერ იკადრა ბიჭმა გაქცევა ეტყობა, ამას ქურ-დული უჭირავს, — დაასკვნა ბოლოს.

კარგა ხანს არ მრევდნენ მსგავს საქმეებში.

მინდა ისევ დაბლვერილია.

ის მოჩხუბარი სამი ყმანვილი კარს მოგ-ვადგა.

ნოდარი გასული იყო სადღაც და ისევ საჩხუბრად ხომ არ მოვიდნენ-მეთქი, თავიდან დავიბენი. შიშით კი არ შემ-შინებია, უფროსი ძმის სახლში ვარ და არც ხელები მაქვს ამჯერად დაკავებული.

მოვტყუვდი.

დამორცხვებულები არიან.

ბოდიშს გიხდით, გვაპატიეთ, არ ვი-ცოდით, ვინ იყავითო, ნუხს ჩხუბისთავი აყლაყულა.

ახლა ხომ იცით-მეთქი, გავიფიქრე, მა-გრამ არაფერი მითქვამს.

გიგა კარგა ხანს იყო გაბუსხული: სამი ერთზე რა ქაჯობაა, გალელების წესიაო, ზუგდიდური დაიჭირა.

— მაინც რას გვერჩოდით?

ამოვიღე ხმა.

— ვიხუმრე... რა მეგონა...

დახარა თავი.

შევრიგდით.

ხელი ჩამოვართვით სათითაოდ ერთ-მანეთს.

კიდევ ერთხელ მოგვიბოდიშეს და წა-ვიდნენ.

მოგვიანებით ნოდარი მოვიდა. რძალმა უთხრა — ბიჭები მოვიდნენ,

ბოდიში მოიხადეს და წავიდნენო.

— კარგია, რომ შერიგდნენ... ხომ არ გტკიცა, — გიგას შენითლებულ თვალზე მიანიშნა.

— გამიარა...

გახსნა წარბი გიგამ.

— ბრაზმაც და ტკივილმაც?... ისე, ყო-ჩაღ, შენც კარგად შეგისურვებია ისინი!

გაიცინა ნოდარმა.

— შამოლდით, სუფრა გაშლილია, ღომს ვიღებ...

რძალი გამოვიდა.

ვანშმის დრო დამდგარიყო.

— კვანწის ველოდები და შემოვალთ.

დაველოდეთ კვანწის.

გვერდითა მეზობელი აღმოჩნდა, ნო-დარის ტოლი და მეგობარი.

ხელები გადავიბანეთ, დავსხედით.

კვანწი თამადად დადგა.

ნოდარი ვერ ჩერდებოდა მაგიდასთან, როგორ გამახარეთ თვენი სტუმრობითო,

გარს გვივლიდა, გვეფერებოდა — გუდაუ-თური ადესა მაქვს, აფხაზმა მეგობარმა მომაკითხა... ცოტაა, სამი ლიტრი, მაგრამ მირონიო. გამჭვირვალე, ალისფერი ღვი-ნო სათითაოდ ჩამოგვისხა.

კვანწიმ დაიწყო, პირველი ჭიქა, ახალ-სახლობის, მეც დამალევიანა. განსაკუთრე-ბით გიგას აძალეებდა, შენ უკვე დიდი ხარო და მასაც მალე ვარდისფრად აეფარპლა ლოყები.

დღეს ნითელი პარასკევია, ცოტა ღვი-ნო უნდა ვიკმაროთ... ხვალ-ხვდ აქ არა ვართ, სერიოზული ქეიფები წინა გვაქე-სო, კვანწიმ და ძინას სიკეთეო, ფეხზე წა-მოდგა.

ნოდარმა გააცინა. რომ მოზრუნდა, ჩემს გვერდით დაჯდა, თავზე გადამისვა ხელი — ნაწყენი ვარ შენზე, იცოდეთ, გამიღიმა.

ვერ მივხვდი, რა დავაშავე, სად შევც-დი... თან ნაწყენი თუ იყო, ასე თბილად რატომ მიღიმოდა, ეს მიკვირდა.

დავიბენი.

— რა უნდა ექნა, ბავშვია.

რძალმა დამიცვა.

— რა, ძმას უცემდნენ და გოჭი რატომ ეჭირა...

— იმიტომ რომ ბავშვია.

ისევ გამომესარჩლა რძალი.

— რა... გამეშვა?... — აბა!..

უკვირს, თან იცინის.

— მამამ რომ გამაფრთხილა...

ამოვილულულე, თავი ჩავლუნე.

— ის ჩემი გოჭი იყო უკვე, ჩემი საჩუ-ქარი, მე გამიხარდებოდა, რომ გაგეშვა...

როცა ძმას უჭირს, საკუთარი სიცოცხლეც არ უნდა დაიშურო... — ღვინო დაისხა, ჭიქა

მწერალი - პიარლამენტარი

პიარლამენტარი - პარლამენტის წევრი, რომელსაც თავის ერთადერთ ფუნქციად მიაჩნია პიარადი კეთილდღეობის მოწყობა, საკუთარი თავის პიარი - რეკლამირება! საეჭვო პიაროვნება, რომელიც ამოფარებულია მწერლის სახელს, პიარლამენტარობის დროს იშოვა დიდი ფული, ბოლოს, როგორც პიარლამენტარმა, დაირტყა დიდი პენსია, გაიჩაღიჩა საკუთარი გაზეთი, რომელიც, თუ არ ცვლდება, გამოდის კვირაში ერთხელ პიარასკეობით! მოკლედ, პიარპაშებს, როგორც უნდა! ეს კია - ლუსტრაციის კანონის ამოქმედების შიში პიანიკაში აგდებს!

ნაიკითხეთ კიდევ ერთხელ: პიარლამენტარი!

კარგი სიტყვაა, არა?! ბატონი პიარლამენტარი თავს ნებას აძლევს, დროდადრო ჭკუაც დაგვარიგოს. ამიტომ ეს სიტყვა ასეც შეგვიძლია გამოვთქვათ: პიარლამენტარი!

ღმერთმა ამნაირი მენტორები აშოროს ქვეყანას!

(ავტორი ბოდიშს უხდის საქართველოს პარლამენტის ღირსეულ წევრებს, ღირსეულ მამულიშვილებს - მათ ჩემზე უკეთ იციან, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ჭეშმარიტი პარლამენტარების გვერდით მრავლად არიან პიარლამენტარები და პიარლამენტორები!).

გამოსავალი

მართლა კარგი რაღაცაა დუელი! ნამდვილ პოეტს ვინ მოასვენებს, მტერი მაგას არ დაელება და მოშურნე! მოკლედ, სიცოცხლეს გაუმწარებენ! მან კიდევ მშვენივრად იცის, რომ გამოსავალი ერთია - დუელი! მაინც, რითაა კარგი დუელი, იცით? მაგალითად, ცნობილი დუელიანტები გავიხსენოთ - პუშკინი და დანტესი! ან იგივე ლერმონტოვი და მარტინოვი! რით არის დუელი კარგი-მეთქი! რით და იმით, რომ პუშკინი მოკლავს დანტესს თუ დანტესი პუშკინს, მოკლულიც და დედა-მოტყუნულიც ორივე შემთხვევაში დანტესია! ამ დღემია საცოდავი მარტინოვიც - რომც არ მოეკლა ლერმონტოვი, მაინც არაფერი გამოვიდოდა ამ საქმიდან - დამარცხებული მაინც თვითონ იყო!

ჰოდა, ცუდი იქნება, ახლაც რომ იყოს დუელი დაშვებული? ადგება აგერ ბრიყვი პასკვილანტი, დაჯღაბნის სისულელებს! ვერაფერს გაანყობ, ვერავის ვერაფერს გააგებინებ! შენც გამოიწვევ იდიოტს დუელში და მორჩენილია მისი საქმე - ის მოგკლავს შენ თუ შენ მოკლავ მას, ორივე შემთხვევაში მოკლულიც და დედამოტყუნულიც ის იქნება!

მოკლედ, უნდა ვიჩაღიჩოთ, იქნებ მივალნიოთ და დუელის უფლება დავიბრუნოთ! იდიოტების „დახოცვის“ ეს იდეალური საშუალება რატომ უნდა დაგვარგოთ!

საინტერესოა, რა აზრისა იქნებიან ამაზე მომავალი დუელიანტები!

მე მაინც ვვიჭირობ, რომ შექმნილ სიტუაციაში ეს ერთადერთი გამოსავალია!

წინათქმა მინი-ანთოლოგიისათვის

სიცოცხლე - ერთია, სიკვდილი - რამდენიც გინდა, იმდენი! ამიტომ და ამ ლოგიკით, საეხებით სწორია პოეტის ფრაზა: ...მაგრამ თუ მომკლავს სიკვდილი ერთი,

მეორე - თითსაც ვერ დამაკარებს!

ისე, კაცმა თქვა, პოეზიაში ეს აზრიც კი საკამათოა: ვინ თქვა, რომ სიცოცხლე ერთია, სიკვდილი კი უთვალავი! პოეზიაში ყველაფერი სხვაგვარადაა! უფრო ზუსტად: პოეზიაში ყველაფერი ისეა, როგორც ეს მშვენიერს სურს - აქ სულ სხვა ლოგიკა მართავს მოვლენებს, პიროვნებებს, სიტუაციებს... ამიტომ მომწონს მე პირადად ეს ორი სტრიქონი: ...მაგრამ თუ მომკლავს სიკვდილი ერთი, მეორე - თითსაც ვერ დამაკარებს“, - და ამიტომ ვაპირებ მის შეტანას „მოლექსულური პოეზიის ანთოლოგიაში“, რომლის შედგენასაც დიდი ხანია ვაპირებ და დღემდე ვერ მოვაბი თავი - სანამ გივი გეგეჭკორი ცოცხალი იყო, ასეთი რამეები იოლად გვარდებოდა...

მოლექსულური პოეზიის ანთოლოგია! სწორად დავარქვი? არ ვიცი. ბოლომდე არა ვარ დარწმუნებული მის სისწორეში! იგულისხმება კრებულში შეტანილი ყოველი პოეტის ერთი-ორი სტრიქონი ან, დიდი-დიდი, ერთი სტროფი (ყველაზე

მეტი!), რომელიც არც კომენტარს საჭიროებს და არც განვრცობას, და რომელიც საეხებით საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველმა განიცადოს ის სიხარული, რასაც იგი, ჩვეულებრივ, ლექსისგან ელის! ეს ზოგჯერ აფორისტული ფრაზა იქნება, ზოგჯერ - მიმზიდველი, მოულოდნელი პოეტური სახე, ტროპი, მეტაფორა, ზოგჯერ რა და ზოგჯერ რა - პოეზიის სამყარო ვრცელი, მეტიც - დაუსაბამოა, და აქ ათასნაირად შეიძლება მკითხველის გადაბირება, გაოცება, აღლევება, გახარება, დანადვლიანებაც...

ზემოთ - სიცოცხლე - ერთია, სიკვდილი კი რამდენიც გნებავთ, იმდენი,



ითქვა! არის კი ასე? ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას დააკლებსო, ასე არ ბრძანა თავის დროზე დიდმა პოეტმა? ესე იგი, ორჯერაც შეიძლება თურმე დაბადება! იქნებ - მეტჯერაც! ჰოდა, აღარ გამოცდის ერთი სიცოცხლე, რამდენიმე სიცოცხლე გამოდის...

სწორედ ამიტომ, ჩვენ ფილოსოფიური ჭეშმარიტებების მიხედვით ვერ შევადგენთ მოლექსულური პოეზიის ანთოლოგიას. იგი უნდა მომზობლავი, საინტერესო პოეტური სახეებისა და ბრძნული, მიმზიდველი, ხშირად - აფორისტული პოეტური ფრაზებისაგან შევადგინოთ, ხანაც - მშვენიერი პოეტური პარადოქსებით!

ენახოთ, რა აზრისა იქნება ყველაფერ ამაზე ჭეშმარიტი პოეზიის გურმანი - მისი უდიდებულესობა მკითხველი!

ტრიადა - „მწერალი. ტექსტი. მკითხველი“ - შეუცვლელი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავის, არც ერთ კულტუროლოგს არ დაუყენებია იგი ეჭვქვეშ. ყოველი ნორმალური მწერალი ფიქრობს ქალბატონ რუსუდანზე, აი, იმაზე, ბევრი კარგი მკითხველი რომ გვისურვა მწერლებს. არიან მწერლები, მკითხველის თემა მხოლოდ კულტუროლოგების პრობლემა რომ ჰგონიათ. სხვაგვარად ფიქრობდა მარინა ცვეტაევა! სხვაგვარად ფიქრობენ ნამდვილი მწერლები! ადამიანი, პოეზიის თავსატეხებით, რეზუსებით, ინფანტილური ხასიათის გამოცანებით რომ უპირებს შეცვლას, როგორც ჩანს, მკითხველის გარეშე აპირებს არსებობას! ეს კი დასასრულთან შეგნებული გარიგებაა, არყოფნაზე დათანხმებაა, ხარაკირის მაგარი რაღაცაა! მაგრამ რაკი - აქ კიდევ ერთხელ უნდა ვახსენო სიტყვა ნალდი - ნალდი მწერლები მკითხველისთვის და მკითხველის იმედით ცხოვრობენ, გამოდის, რომ მკითხველის როლი, მისი ფუნქცია იმაზე მაღალია, ვინემ ეს ვინმეზე ჩიტირეკია კალმოსანს ჰგონია!

ჰოდა, მკითხველზე ზრუნვა, თუნდაც მისი გადაბირებისთვის ფიქრი არ გვმართებს? ან იმ გადაბირების ფორმების ძიება არ უნდა იყოს ჩვენი პრობლემა? ნლის საუკეთესო სპორტსმენიო; ყველაზე კარგი მომღერალიო; ვარსკვლავი ამა და ამ რეჟისორსო; ვარსკვლავი მახახიბსო; ცვილის ფიგურა - ამასა და ამასო; ნობელი იმასა და იმასო; ოსკარი ამასაც და იმასაცო; გინესის რეკორდების წიგნში ამა და ამ საქმისთვისო!

მკითხველს - თქვენი უკვადავების გარანტორს, თქვენი წარმატების საბუთს, თქვენი სახელ-დიდების ავტორს არაფერი? გვიფიქრია კი იმაზე, მაინც ვინ არის კარგი მკითხველი! ბევრი კარგი მკითხველი კი არა, ქალბატონმა რუსუდან-

მა რომ გვისურვა იმ დღეს, არამედ ერთი კარგი მკითხველი! ჯერ ერთი კარგი მკითხველი არ არის საინტერესო? ვინაა, როგორია, რაში მდგომარეობს მისი ეს კარგი მკითხველობა, როგორ მიაღწია, რა აკეთა საამისოდ, როგორ ცხოვრობს, რა დრო და ენერგია ეხარჯება ამ საქმის კეთებისას, ან კიდევ კითხვის გარდა აკეთებს თუ არა სხვა რამ საქმეს... მარტო სიხარული მოაქვს მისთვის კითხვას თუ ტანჯვასაც განიცდის; დაუსრულებელი ტელეენერჯის ყურებას გავს მისთვის კითხვა, თუ, ფუტკარივით, მხოლოდ ყვავილიდან ყვავილზე გადადის და გამოტოვებული აქვს ყველა ცუდი მცენარე, და

ლობა!“ სარედაქციო წერილში, რომლის ავტორიც, ჩემი ფიქრით, როსტომ ჩხეიძე უნდა იყოს, სიტყვები - „დაბადების დღე“ და „ოთხმოცი“ ნახსენებია არაა, მაგრამ უამისოდაც ყველაფერი ნათელია და გასაგები! მოკლედ, თავს მოვალედ ვთვლი, გულწრფელი მადლობა მოვახსენო მთელს რედაქციას, სადაც ძირითადად ჩემი ახლობლები მუშაობენ!

როსტომ ძვირფასო!

წავიკითხე შენი „რაც ჩვენზე მაღლა დგას!“ და გამიჩნდა სურვილი, მეც ვთქვა ორი სიტყვა არა მხოლოდ იმაზე, რაც ჩვენზე მაღლა დგას, არამედ იმაზეც, ვინც ჩვენზე დაბლა დგას!

ახლა ერთი ადგილი შენი წერილიდან: „...„100 ლექსის“ კრებულში ემზარ კვიტაიშვილმა საგანგებოდ გამოტოვა მისადმი მიძღვნილი პოეტური ნიმუში, სამაგიეროდ, შეიტანა „მოზი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი“, რომელიც ტარიელ ჭანტურიას ეძღვნება - ჰერმან მელილის ამ საკაცობრიო რომანის - „მოზი დიკი“ - ერთობლივად თარგმნის სახსოვრად.

ეს ის „წვრილმანია“, ის წვეთია, რომელიც ხელშესახებდად აირეკლავს შემდგენლის მორალურ სახეს.

არის რაღაც, რაც ჩვენზე მაღლა დგას!“

მოკლედ, ე. კვიტაიშვილს ზნეობრივი გაკვეთილი ჩაუტარებია ჩემთვის. მე მადლობელი ვარ, როსტომ ძვირფასო, შენი, რომ ჩემს მორალზე საბოლოოდ არა გაქვს ხელი ჩაქნული და თვლი, რომ, თუ მე შევადგენ გივი გეგეჭკორის ლექსების კრებულს, ახლა მე გამოვტოვებ ჩემდამი მიძღვნილ ლექსს და შევიტან კვიტაიშვილისას!

აი, ჩემთვის ჩატარებულ ამ გაკვეთილზე ვთქვა უნდა ახლა ცოტა რამ! კვიტაიშვილმა ეს ჩემგან ისწავლა - სწორედ მე ჩაუჭტარე მას გაკვეთილი ამ თემაზე. ახლავე მოგახსენებ, რა როგორ იყო!

რაკი შენ, ჩემი აზრით, მთელს ქართულ კულტურაში ყველაზე კარგი მკითხველი ხარ, რა თქმა უნდა, ნანახი და ნაკითხული გექნება 1978 წელს გამოცემული ერთი ლექსის ანთოლოგია „ვით მარგალიტი ობოლი“. ამ წიგნის იდეა, სათაური და წინასიტყვა მე მეკუთვნის, მოკლედ, მე ვარ ამ პროექტის ავტორი. შედგენისას მე დავიხმარე ე. კვიტაიშვილი.

როცა საქმე თანამედროვე პოეტებზე მიდგა, მე კატეგორიული წინააღმდეგი წავედი, კრებულში შედგენილებსაც შეგვეტანა ჩვენი ლექსები. ე. კვიტაიშვილს უნდოდა შეტანა, მაგრამ, როგორც გითხარი, ამ წიგნის პროექტის ავტორი მე ვიყავი და ეს საქმე ვერ გამოვიდოდა!

ასე რომ, როსტომ ძვირფასო, რა არ უნდა შეგვეტანა და რა უნდა შეგვეტანა, ამის გაკვეთილი მე მივეცი კვიტაიშვილს, და ახლა მე მისგან გვი ვისწავლი, სად რა როგორ შევიტანო ან არ შევიტანო!

კიდევ ერთი რამ.

კარგია, რომ პოეტების მოძულე პასკვილანტი გივი გეგეჭკორის დიდ პოეტად მოიხსენიებს, მაგრამ ჩემს გასაგონად ამის ხაზგასმა საჭირო არ იყო - მე ვარ პირველი ადამიანი, ვინც გივი გეგეჭკორი მის სიცოცხლეშივე აღიარა არა როგორც დიდი ქართველი პოეტი, არამედ როგორც უ-უ-უდიდესი პოეტი საერთოდ. გივის რამდენიმე კოლეგამ მე მაშინ ეს შეუცხება უადგილო ჰიპერბოლად ჩამითვალა. ბარემ გავიხსენებ იმ სტროფს გივისადმი მიძღვნილი ლექსიდან:

მე მიყვარს შენი კაჟაჟა ფრაზა, კარს სიკვდილისას რომლითაც რაზავ, და რომლის გამოც შენ პოეტების უ-უ-უმაღლესს ეკუთვნი რასას!

„დღეს უცნაურად მეჩვენება, რომ ისეთი პოეტი, როგორც გივი გეგეჭკორი იყო, აღიარების გარეშე წავიდა. რჩეულთა სიცოცხლეშივე დაფასება რომ გვიჭირს, ამას ჯერ კიდევ აკაკი ჩიოდა“. ამას ასე ცნობილი პასკვილანტი წერს.

კი მაგრამ, ელიაზერბინა თვითონ! გივის სიცოცხლეშივე დაეწერა ჩემსავით, რომ გივი არის უ-უ-უდიდესი პოეტი! დაწერა ათჯერ! ასჯერ! რაშია საქმე, მკვდრები უყვარს?

ახლა მთავარი სათქმელია მას შემდეგ, რაც ის სამარცხვინო პასკვილი გამოქვეყნდა „ჩვენს მწერლობაში“, გივი რომ ცოცხალი იყოს, „ასი ლექსის“ წინასიტყვაობას დოიაშვილს დაანერინებდა? ვინ მოიძია დოიაშვილი ამ საქმისთვის, არ ვიცი? კვიტაიშვილმა! ამით მან საბოლოოდ ჩამოიხ-

ადა ნილაბი! დარწმუნებული ვარ, წინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობებზე ჩემი ოპუსიცი გექნება თვალშეველებული, ამიტომ ამაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი.

ცხოვრების მაგალითადა ბრწყინვალე დამისახოდიო, იმის არ იყოს, კვიტიანიშვილის მორალზე მინიმნება ვერ არის, ჩემი აზრით, მთლად ადეკვატური რამ.

რას უნდა გამოეწვია, ჩემო როსტომ, შენში ამგვარი რადიკალური ცვლილება ჩემდამი დამოკიდებულების თვალსაზრისით! რა თქმა უნდა, ჩემს ერთ პანა განმარტებას, ოთარ ჭილაძესთან დაკავშირებით რომ დაიბეჭდა შენს ჟურნალში! მე ერთხელ უბრალოდ და მოკლედ გითხარი ამის თაობაზე, ახლა მეორედ ვცდი...

როცა „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა ოთარ ჭილაძისადმი მიმართული კრიტიკული რეპლიკა, რომლის გამოქვეყნების მომხრეც მე სხვაზე მეტად ვიყავი, მეორედ დღეს დამირეკა ოთარმა, შენუხებულ ამბობდა, რომ არ ახსოვდა და არ იცოდა, როგორ, რანაირად და რატომ მოხდა ჩემი ის სტრიქონები მის რომანში, ამასთან იმასაც აღიარებდა, რომ ის ლექსი კარგად ახსოვდა! კარგა ხანს ვისაუბრეთ, და მე აღარავითარი ეჭვი აღარ შემიტანია მის გულწრფელობაში. სწორედ ამიტომ, მეც გაუგებრობას მივანერე სხენებული ფაქტი, დავბეჭდე ის განმარტება და, ასე ვთქვათ, ვცადე, გამეხსენებინა მერხის ძმაცაცისა და საყვარელი პოეტის გულისტკივილი.

ბატონმა ოთარ ჩხეიძემ თავის ერთ პუბლიკაციაში მწერალად გადმოვიკრა სხენებული განმარტებისთვის! არ იყო ვითომ საკმარისი ის გადმოკერა?

აი, ეს გახდა უპატივებელი რამ. ამას მოყვა პასკვილანტების გაუგონარი ლანძღვა-გინება, კოლექტიური დღიანაშენების შექმნა და ახლა კიდევ ეს მიკიბულ-მოკიბული წერილი შენი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მე თურმე მორალის გაკვეთილები ამორალური ხალხისაგან უნდა მივიღო!

მე რა შემძლია! არც არაფერი! მე მოთამაშე კაცი ვარ და ცუდი თამაშები არ მიკვირს. უბრალოდ, ზოგიერთებისაგან გულს მტკენს, ზოგიერთების - ფეხებზე მკიდია!

შენი ცუდი თამაში გამიკვირდება და მეწყინება!

რაც შეეხება მორალს! თუ ყველაფერი ასე და ამ სტილით გაგრძელდა, გამორიცხული არაა, საგანგებოდ შევეხო ზოგიერთი პერსონის ლუსტრაციის თემას! ამ თვალსაზრისით მურმანსა და მე საინტერესო მასალა მოგვანოდა ან განსვენებულმა დევი სტურუამ! მურმანი გარდაიცვალა, მაგრამ იმ საუბრების მონაწილეები - სხვები არიან ცოცხლები...

ყოველ შემთხვევაში, შენ იმ „ოქრო“ ინფორმაციას ნამდვილად არ დაგიმალავ!

სიყვარულით და სინანულით!

კომ-ტურ-ი ტურ-ნი-რი

ტურაშვილი. ჭანტურია.

მომწონს გვარები, „ტურ“ რომ ურევია! მეტიც: მეტი სიმპატიითა ვარ იმ სიტყვებისადმი, კომპლექსი „ტურ“ რომ ურევიათ! იგივე „ტურ ჰეიერდალი“, იგივე „ტურნირი“, იგივე „ტურბაზა“, იგივე „სატურნი“, იგივე „პულტურა“, „ლიტერატურა“, „ტურფა“... (განსაკუთრებით მაღიზიანებს „მაკულატურა“, „მოღალატური საქმეები“, „სუშტური“...).

აი, კიდევ გამახსენდა რამდენიმე სიტყვა: „ტურინი“, „ტურბო“, „კანტური“...

წესიერად არც კი ვიცნობ ცნობილ თბილისელს, შესანიშნავ პიროვნებას - ტურკეცას, მაგრამ დიდ პატივს ვცემ, არც კი ვიცი, რატომ!

ასე რომ, წინასწარ, იმთავითვე, დავინახე თუ არა ოთხმოციანი წლების ბოლოს დათო ტურაშვილი - ახალგაზრდა, ენერგიული, საინტერესო ყმაწვილი კაცი ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ გამართული მიტინგის ტრიბუნაზე, მაშინვე გამიჩნდა განსაკუთრებული სიმპატიის მის მიმართ. მოგვიანებით, როცა მწერლობაში მოვიდა, ეს ჩემი სიმპატიის კიდევ უფრო გაიზარდა - მე მისი მოყვარულ კაცი და მკითხველი ვავხდი!

დანარჩენი თქვენ იცით - მან სწრაფად აიყარა ტანი მწერლობაში, გახდა თავისი თაობის ერთ-ერთი მენინავე შემოქმედი, საინტერესო მწერალი, მოღვაწე, მოგზაური, მაძიებელი!

თავისი წიგნები მაჩუქა ამასწინათ. გამიკვირდა და გამეხარდა - არც ერთზე წარწერა არ იყო გაკეთებული - აი, ის, ბა-

ნალური კლიშე-წარწერები რომაა - შე ასეთოო, შე ისეთოო, როგორ მიყვარხარო, ვგიჟდები შენს ლექსებზეო! მომეწონა, კი, მაგრამ გონებაში, ეტყობა, მაინც ჩნდება სურვილი იმის გაგების, რა აზრისაა ეს კაი ბიჭი შენზე! ანას აზრი იცი, მუხრანის, მურმანის, ჭაბუა ამირეჯიბის, გივი ალხაზიშვილის, გივი გეგეჭკორის, შენი პასკვილანტების აზრი, მოკლედ, ბევრის აზრი იცი, ამ კაი ბიჭის - არა!

და აი, იმ დღეს, ტელეგადაცემაში, მაინც თქვა დათომ ორი სიტყვა ჩემს ორ წიგნზე, და მერე აიღო უცებ ერთი წიგნი და აკოცა! ჩემს სიცოცხლეში, ამდენი პასკვილისა და ლანძღვა-გინების მომსწრეს, ამხელა სიხარული არ მიგრძენია არანაირი ეგრეთწოდებული დადებითი რეცენზიებისაგან, და, საერთოდაც, ამგვარი შესტი თითქოს, თითქოს კი არა ნამდვილად, პირველად ვნახე!

ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ვუყურებდი იმ დღეს ეკრანს! მეც ავდექი, ავინდ დათო ტურაშვილის ნაჩუქარი წიგნი, ვაკოცე და ისევ დავდე მაგიდაზე! ჩემებს გაეცინათ! წიგნზე რალაცის წარწერას რომ მოახერხებდა, იმ ტელეგადაცემაში დაამტკიცა დათომ - რამდენიმე კეთილი სიტყვა თქვა, არ შემინებია იმის, რომ ჩემი პასკვილანტები შავ სიაში შეიტანენ ამის გამო! უფრო ნათლად რომ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება, ადგა და ისეთი შესტი გააკეთა, იმ მყოფთა აღტაცება გამოიწვია - აიღო პატარა წიგნი და აკოცა - ასე ვთქვათ ავტორის კოცნა გაუგზავნა!

ეს იყო ნიჭიერი კაცის მიერ გაკეთებული შესტი, რომელსაც სიკეთისა და მეგობრობის არ ეშინია!

სისულელეა იქნებ ყველაფერი, რაც ახლა დავწერე, მაგრამ არ შემეძლო, ეს განსაკუთრებული მოვლენა - მეგობარი მწერლისთვის, მოხუცი მწერლისთვის, 80 წლის მწერლისთვის გამოგზავნილი კოცნა უყურადღებოდ დამეტოვებინა!

ვალში ვარ, და თუ გაიმართლა და კარგი ლექსის დაწერა შეძელი, უსათუოდ დათოს მივუძღვნი - ამჯერად იმ ბანალური წარწერით:

ძვირფას დათო ტურაშვილს! სიყვარულით! — ტარიელ ჭანტურიასგან!

ლია წერილი ქალბატონ თამარ ჩიჯავაძეს

ქალბატონო თამარ! წავიკითხე თქვენი ღია წერილი „ლიტერატურულ გაზეთში“. ჩემი აზრით, არაფერი აუცილებელი არ იყო მაგ წერილის, ასე ვთქვათ, გაღება და, თუ მაინც გააღებდით, მაშინ ჯობდა, ბოლომდე გაგელოთ და გეთქვათ ზოგი რამ, რის თქმაც, თქვენი წერილის კონტექსტის მიხედვით, უბრალოდ, აუცილებელი იყო! უპირველეს ყოვლისა ის უნდა ვთქვა, რომ მე ამგვარ წერილს თქვენგან არ ველოდი! მე ასეთ წერილს ველოდი სულ სხვა ქალბატონისგან! იცით თქვენ, ვისაც ვგულისხმობ! მაგრამ, როგორც ჩანს, სიკვდილმა თქვენ და შოთა ნიშნინიძე შეგარიგათ. ეს ძალიან კარგია! ცუდი ისაა მხოლოდ, რომ თქვენი ეს შუაქალობა, თქვენი ეს მომრიგებელ-მოსამართლეობა და მტყუან-მართლის გარჩევის ცდა ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას.

ქალბატონო თამარ! შეუძლებელია, არ გაგეგონოთ შესიტყვება - **ღირებულებათა გადაფასება!** არ ვიცი, ვინ როგორ აფასებს ამ მოვლენას, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მიმდინარეობს **ღირებულებათა გადაფასების** აჩქარებული პროცესი!

როგორ ფიქრობთ, ამ დღეს რომ მოსწრებოდა შოთა ნიშნინიძე, არაფრის შეცვლაზე არ იფიქრებდა? დავიჯერო, ერთხელ მაინც არ გაუჩნდებოდა სინანულის გრძნობა ზოგიერთი რამის გამო? გრძნობა, რომელიც გეტანჯავს ჩვენ ყველას, ვინც, განგების ნებით, ამ დროს და ამ ცვლილებებს, ამ რყევებს და ყოყმანის სიტუაციას ცოცხლები მოვესწარით!

პარლამენტმა ლუსტრაციის შესახებ კანონი მიიღო, და თუმცა ცხოვრებაში მის გატარებას არავინ ჩქარობს, ვირტუალური ლუსტრაცია კარგა ხანია დაწყებულია, და ამ ფაქტის უგულვებელყოფა, მისი დაუნახაობა გულუბრყვილობაა და მეტი არაფერი! ამასთან ისიც სათქმელია, რომ ამ პროცესებზე ცოლებისა და სიდედრების აზრი თუმცა საინტერესოა, ვერდიქტის რწმუნება მას ნაკლებად აქვს...

ჩემს ერთ პასკვილანტს იმონებთ, საიდანაც ირკვევა, რომ ჩემი პასკვილანტების ჯგუფის წევრობა გადაგინყვეტიათ. ახლა ისეთი დროა, ყველა რომელიდაც პარტიამი ერთიანდება. თქვენი არჩევანი თქვენი

ნებაა. გისურვებთ წარმატებას! სხვა დროს ღია წერილით ნულარ მომმართავთ - დარწმუნებული არა ვარ, ისევ ლირიკულ სტილში მოვახერხო პასუხის გაცემა!

აი, მეგონა, დავასრულე პასუხი, მაგრამ მერე გამახსენდა ზოგიერთი ცუდი გამონათქვამი თქვენი, და წერას ვაგრძელებ.

უხერხულია, „ნაკოლიკიდან“ - ტატულ-დან ციტატის დამონება. არც ნაჩუქარ წიგნებზე გაკეთებული ტექსტების ციტირება შეიძლება. არ იცოდით ეს? არც არავინ გითხრა?

შოთა ნიშნინიძესთან მაჯიბრებთ და მაშინებთ. თუ ცოლების აზრზე მიდგა საქმე, ჩემს ცოლს მაგ საკითხზე პრინციპულად განსხვავებული აზრი აქვს, რამდენადაც ვიცი. რა ვქნათ ახლა, რა გადაწყვეტილება მივიღოთ! მე მაინც მგონია, ჯობს, დასკვნა მომავლის საქართველომ გამოიტანოს! რა მოხდა, ქალბატონო თამარ, რატომ ჩქარობთ, რატომ ლელავთ! დამშვიდდით, დაელოდეთ იმ შორეულ მომავალს! ოღონდ ერთი რამ უსათუოდ გასათვალისწინებელია: იქ, იმ შორეულ მომავალში, არა მგონია, ორ პოეტს შორის უკეთესის გამოვლენისას, მხედველობაში იქნას მიღებული მათი პარტიულობა, ორდენების რაოდენობა, პარტიული თუ სხვა თანამდებობები, აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურა! არ გინდათ, ნუ ჩაულრმაველებით ამ თემას, ნურც ლუსტრაციის კანონის ამოქმედების შეგეგმინებათ! მით უმეტეს, რომ იმ დროს, იმ შორეულ მომავალში ჩვენ აღარც ერთი არ ვიქნებით, ასე რომ, თანაბარ პირობებში მოგვიხდება პირველობისთვის ვირტუალური პაექრობა! თქვენი ამჟამინდელი ოპტიმიზმი პირადად მე ნაჩქარევი მგონია, თუმცა მომავალი არც მე მეკითხება ამას და არც თქვენ!

ქალბატონო თამარ! შეუძლებელია, არ გახსოვდეთ სამარცხვინო შემოქმედებითი ანგარიში, რომელიც თქვენმა მეუღლემ „კომუნისტების“ ავტორმა შოთა ნიშნინიძემ კომპარტიის ცეკას ბიუროს ჩააბარა. მე ამ ფაქტზე დავწერე წერილი, მაგრამ დაბეჭდვისაგან თავი შევიკავე - თავშეკავების მიზეზი ერთი უბრალო ადამიანური სისუსტე გახლდათ - შოთას ლექსი, მოძღვნილი ჩემდამი („რატომ არ ვკითხულობ საჯაროდ ლექსებს“).

შოთა ნიშნინიძის გაბუქული სახელი კომპარტიის ცეკას პიარმენეჯერების დამსახურებაა, და მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან! შოთა ნიშნინიძის - გვარიანი **მელექსის** წიგნში **პოეზია** სანთლითაა საძებრარი! ცუდი იქნება, თუ მაინცა და მაინც თქვენი იქნებით ის გამიზიანებელი, რაც მაიძულებს, ის უარტემული წერილი ბოლოს მაინც გამოვაქვეყნო და ვთქვა თქვენს ყოფილ მეუღლეზე სიმართლედ, რასაც ისტორია ცოტა მოგვიანებით უსათუოდ იტყვის!

გამორიცხული არც ისაა, თქვენი ეს ჩანაფიქრი სულაც შურისგება იყოს - სხვებს აღაძვინოთ ადამიანი, რომელმაც საშინლად გატყინათ გული - მიგატოვათ და სხვაში გაცვივალათ... მე ამდენი აღარ ვიცი! მე ის ვიცი მხოლოდ, რომ ამგვარი წერილით არ უნდა ჩვენებოდით საზოგადოებას.

არაუშავს! ვინ არ შემეცდარა! ოღონდ განმეორებებს და განმესამებებს არ გირჩევთ!

აგერ სამასი კაცის მკვლელსაც ყავს ადვოკატი! რა მერე! რა გამოვა აქედან! თქვენც გიმოვიათ, ქალბატონო თამარ, ადვოკატები! ასახელებთ კიდევ ზოგიერთ მათგანს!

ნაგებულ თამაშს თამაშობთ ყველანი! ტოტალიტარული რეჟიმის მეხოტბეების დაცვას აპირებთ! ნამდვილად არ გამხარება, თქვენც იმათ რიგებში რომ დაგინახეთ! რა ვქნა, მებრალებით, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ გისურვებთ!



2011 წლის სექტემბრის „სასავალ-დასავალში“ გურამ პეტრიაშვილი უპიროპირით ლანძღავს და თავისი ჭკუით თავს-ლაფს ასხამს უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, და იმასაც კითხულობს ისე, გაკვრით, ვინ უწოდა მას **ილია მეორე** - ძალიან კარგად იცის, მე რომ ვარ ამ სამართლიანი „ნათლობის“ ავტორი და, თავისი ბინძური ფიქრით, მეც გზადაგზა მისწორებს ანგარიშს... ეს არაა მთავარი! მთავარი ისაა, რომ ჟურნალისტი, რომელიც ამ რეგვენს ესაუბრება, არავითარ კომენტარს არ აკეთებს ამაზე და ამით, სურს მას ეს თუ არა, ეთანხმება ამ ცოდვასა და უნამუსობას...

დიდ-პატარა ოპუსი

ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ წლევიანდელ მეშვიდე ნომერში გურამ გეგეშიძეს ეკა ბაქრაძე ესაუბრება. გაგაცნობთ ბოლო კითხვა-პასუხს:

— ბატონო გურამ, ბევრ ნამდვილ მკითხველს დიდ ქართველ მწერლად მიანჩხარო. თქვენ?

— დიას, მეც ასე მიმჩნია, ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში კალამს ხელს არ მოვიკიდებდი“.

ვზივარ, ვფიქრობ, რა პასუხს გავცემდი ეკა ბაქრაძეს, იგივე რომ ეკითხა ჩემთვისაც!

გამონაკლისი

ბარათაშვილი, გენაცვალე, გამონაკლისი იყო - თებერვალისთვის! ისიც ოცდარვით გავიდაო! გამონაკლისი თუნდაც იმით იყო და არის, რომ — ბარათაშვილი, თუ თქვი, ყველამ იცის, უსათუოდ ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ გულისხმობო. სხვა ბარათაშვილზე რომ საუბრობდე, უსათუოდ სახელსაც იტყოდით... თუნდაც ამიტომაც გამონაკლისიო! დავეთანხმე ნანის, თან გავაფრთხილე, ახლა ამ შენს აზრს როგორც ჩემს, ისე დავბეჭდავ-მეთქი!

მწერალი - მკვლელი!

ზოგიერთი მწერლის პერსონაჟები თავისი დღით კვდებიან! ზოგიერთი მწერალი თავის პერსონაჟებს თვითონ ხოცავს! ზოგიერთის გმირები ცოცხლები შედიან მკითხველის მეხსიერებაში! შემთხვევითი რამ არის ეს ყველაფერი? თუ — ყველაფერი დამოკიდებულია მწერლის პიროვნებაზე, მის ფსიქიკაზე, მის ხასიათზე, მის აღზრდაზე, მის გემოვნებაზე, მის თვალსაწიერზე! შეიძლება თუ არა ამ ნიშნით - **ქლავს - არ კლავს** - მწერლის დახასიათება, მისთვის, როგორც მკვლელისთვის, სასჯელის გამოტანა, ან მისი დაჯილდოება, როგორც სამაგალითო ალტრუისტის, თითოთ საჩვენებელი ჰუმანისტი პიროვნების...

მარკოზ დე სადის საქმე გარკვეულია! ჩვენ უფრო ალბათ ტიპიური მწერლების შეფასება გვევალება! იქნებ კლასიკიდან ჯობდეს დანყება! რა გამოლევს იქ საინტერესო მაგალითებს, საინტერესო ქალსა და კაცს, საინტერესო ინტრიგას...

მწერალი - მკვლელი! — აი, ამ სათაურმა უნდა მიკარნახოს, როგორ განვაგრძო თემა, რა ვთქვა და **როგორ!**

მასხოვს, ირაკლის ვეკითხები ერთხელ: ეს კაი გერმანული რომ იცი, რას შვრები, რაში იყენებ ამ შენს ცოდნას-მეთქი! ვკითხულობო! უკვე წავიკითხე მწერალი ძმებო! მანები, ხომ-მეთქი? ჰო, მანები! სამივეო! სამივე-მეთქი? შესამე რომელია-მეთქი! ჰენრიხ მანი, თომას მანი და გრაფო მანი-იო! უფრო რომელი მოგეწონა-მეთქი! გრაფო, გრაფო მანიო! მაგარიო! ორივეს ჯობსო!

მე გავიციან, მას არ გაუცინია!

ვანო ჩხიკვაძე

ბებერი საღვინე

— მორი დღე დურგალი და დამხმარე მეზობლის ბიჭები მყავდა — სახლს სახურავი მოვაქციეთ.



ნაშუადღევს საქმე მოვათავით, საღვრ-გლო მაგიდაზე ცალ მხარეს მივხვეტეთ ბურბურულა, ფიცრის ნაჭრები. ქალმა რალაცები ამოგვანოდა. მე ჭის წყალში ჩა-გრილებული ხუთლიტრიანი საღვინე ამო-ვიტანე, მოვიდგი გვერდით, შემოვისხი ეს ჩემი მეზობლები და გავტყებთ პური, დავ-ლოცვით ჩვენი ნაშრომ-ნაამაგარი.

თითო-ოროლა თუ გვექნებოდა ნათქ-ვამი, რომ უცებ ისე დაიქუხა, ლამის ყურის ბარაბნები დაგვიხეთქა, სკამებზე მიდგმუ-ლი ვაშლის ყუთებიდან გადმოგვყარა და პირქვე დაგვამხო.

როგორც იქნა ჩანყნარდა გუგუნე, ნა-მოვინე, მალა ავიხედე და ცა დავინახე. ბიჭოს!.. აქ ცას რა უნდა, სახურავი რა იქნა, დარტყმის ძალამ გარეთ, ბაღში ხომ არ გადაგვყარა-მეთქი.

ეე, ჩემო ძმაო, ჩვენ არა და, როგორც ქუდი გააფრიალო, ეგრე გაუსვრია ეს ჩვე-ნი დაღურსმულ-დაჭახრაკებული, შიფ-ერის სახურავი.

რა მექნა, შეჩვეული ვარ, ოთხმოცდა-თორმეტმეც ახალაშენებული სახლი არ დამაქციეს თავზე?

ხომ ყველანი ცოცხლები-ხართ მეთქი, დაუფხვან ბიჭებს.

ვართ, მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლესო, ძლივს წამოიზღაზნენ.

დავხედე მაგიდას და... სასწაული თუ გინდა, ეს არის — ჭიქები ისევე სავესე დგან-ან და გველოდებიან.

ეს ძალიანსივლილები, კიდევ რალაცას იზამენ და მიროსითავე ღვინო ოხრად დაგვრჩება-მეთქი, ავიტაცე ჩემი ჭიქა და დავიძახე:

— მოკვდი, მტერო, ამალღდი, ჭერო!

ჭიქა მოვსვი და გავიგონე, ძირში რალაც გაჩხაკუნდა — ჩავიხედე — საფანტზე უფრო მსხვილი ტყვია აგდია — გაბრაზე-ბული ავდექი და ისიც ჩარჩენილ ღვი-ნოსთან ერთად გადაუფიქვი.

— მერე, არაფერი გიყო?

— რა უნდა ექნა!.. მაგათი ტყვიაც და ეგენიც ერთად უნდა მოვინელო!.. — დაჰ-კრა მუშტი მუხლისთავს და დანანებით დააყოლა, — აი, ჩემი ბებერი საღვინე კი მაგიდის ფეხს მიმსხვრეოდა და თიხის ნა-ტყეში ჩარჩენილი ლომიაური, შავი, მოწყ-ენილი თვალებით ამომყურებდა.

საყვასო

ბაზრის მხრიდან მოვდივარ. ციხისუბ-ანში, ასფალტიან აღმართს ქვიანი, ნადენი წყლებით ჩამოხრამული, ოღროჩოლოო ქუჩა შეენაცვლა.

დილაა, მაგრამ უკვე კეფის ამხდელი სიცხე აჭერს. აღმური თუთქავს გვალვის-აგან თავნამხმარ ბალახს.

მეხორცე აბეს სახლის ჭიშკართან მწე-ანედ გადადებოდა „რაფი“ ირწევა, ქანაობს. ვიფიქრე, ან შორიდან მეჩვენება, ანდა სიცხემ გამაბრუა-მეთქი, მაგრამ რომ მი-ვუახლოვდი, არამარტო ბორგავს, ყან-ყალბებს, გმინავს კიდევ ჩაბურულ-ჩახ-უთული მანქანის სალონი.

ვეცადე, შუშებიდან შიგნით შემეხედა. შუშები შეღებილია და რას დავინახავ, მაგრამ მივხვდი — შიგნით საქონელი იყო

გამომწყვდეული.

მიუყაკუნე და ბორგვა და კუთვა უფრო გაძლიერდა.

ეზოდან ორნი გამოვიდნენ — სახ-ელთაკეცილი, ტყავის წინსაფრინი ყასა-ბი დამხმარე ბიჭთან ერთად.

რაფის კარი ხრჭალით გაცურდა. ოხ-შვიარმა, გარეთ, საქონლის ბაღისა და ნეხვის სუნი გამოიტანა.

ბიჭმა ცალი ფეხი რაფში შედგა, იქიდანვე მისწვდა მოხვერის ყელზე შებ-მულ მოკლე თოკს და საქონელი ძირს გად-მოსაყვანად გამოქაჩა.

მოხვერი გაჯიუტდა. ჩახუთულ რაფში ყოფნას ჰაერზე ურჩევნია, მაგრამ, ალბათ გრძნობს, გარეთ რაც ელოდება.

ერთხანს ეჭიდავა, მაგრამ თუნუქის პრიალა იატაკზე ფეხები გაუსრიალდნენ და ბიჭის მარჯვენას დანებდა, იკადრა გადმობრძანება. გადმოსვლისთანავე, შეღებილი ჭიშკრიდან თვალი ჰკიდა ეზოს სიღრმეში, კაუჭზე დაკიდულ, ნახევრად ჩამოტყავებულ საქონელს და საცოდავად დაიბლაგლა.

ბიჭმა მანქანიდან კიდევ ორი ხბო გად-მოიყვანა.

ისინი უფრო იოლად „დაითანხმა.“

— სულ ეს არის? — იკითხა ყასაბმა.

— რა, არ გეყოფა?

— ბავშვობაში ხორცი მენატრებოდა ხოლმე... ეხლა ყელში მაქ ამოსული, დან-ახვა აღარ მინდა.

— რა ვიცი, ყაურმას კი ყბას მაგრად უქნევ ხოლმე და... — გაელრიჭა ბიჭი.

ჰატარა, ლამაზმა, გაზაფხულის ხბორებმა, ძირს ჩამოხტომისას ფეხები რომ ეკეცებოდათ, მიიხედ-მოიხედეს და, საიმედო რომ ვერავინ დინახეს, გულქვა კაცებისაგან დაშინებულები მოხვერს მიეხ-უტნენ, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, ვითომ დაიძალღნენ, თავები მუცელქვეშ ამოუდეს.

ღმერთო, როგორი საბრალოები იყვნენ, ეგონათ თავისზე გაჭირვებული დაიფარავდათ, არ იცოდნენ, რომ სულ მალე, ყველას გორგოლაჭზე მოსრიალე, ჯაჭვზე გამომბმული კაუჭები აიკონ-ნიალებდათ.

რატომღაც ქალაქის მდიდრები და-მიდგნენ თვალწინ, ცოტა ხანში დაბურულ შუშებიანი „ჯიპები“ რომ მოსრიალდე-ბოდნენ და სისხლიან სასწორზე აწონილ, ამათ თბილსა და ჯერ კიდევ მფეთქავ სხ-ეულის ნაწილებს შინსაკენ გაარბენინებდ-ნენ...

მოხვერმაც მოხედა ხბორებს. თითქოს იმით გასაჭირმა თავისი დაავინყა, უცნ-აური, მშობლიური თანაგრძნობით დაზმუ-ვლა ორივეს და თოკის ნაგლეჯზე ხელჩა-იდებულ ბიჭს აღარ გასძალიანებია, მორ-ჩილად შეუძღვა ბოჩოლებს ეზოში.

ესენიც დანდობილად მიჰყვნენ, ისევე ფერდთან მიკრულები, სუსტი, მოუმაგრე-ბელი ფეხების ხლართვით...

მეხორცე აბე შარშან, შემოდგომაზე, ლოგინად ჩავარდა.

ვიდრე სული ამოხდებოდა, თურმე სულ იხვენებოდა, გამისკდა საფეთქლები, ამ გაუთავებელი ზმუილისაგან დამასვენე-თო.

აკი დაისვენა კიდევ.

მარტო

ზამთარი. უფრო სწორად, ზამთ-რისპირი. შემოეცრიცათ ყვავილჩარიგე-ბულ ღობეებს, სკვერებს, დეკორატიულ ბუჩქებს სიმწვანე.

ბრუნდება ანდრო საავადმყოფოდან. იქ უნევს ცოლი, მესამე სართულზე, თერაპი-ულ განყოფილებაში, ხელმარცხნივ, მეხ-უთე პალატაში. შეხვალ და იქვეა. დანარჩე-ნები — მარჯვნივ და მარცხნივ, ოთახის სიღრმეში — სულ ოთხი საწოლია და ოთხ-ივე დაკავებულია.

ვიღაც კენესით და ვიშვიშით ამობობლ-და სამარმურუტო ტაქსში.

ავადმყოფ ქვეყანას ჩვენ როგორღა ვეყოლებით ჯანმრთელები, ანდროს ზურგსუკან ჩივის ვიღაც.

ყველას თავისი საფიქრალი აქვს. ოღრო-ჩოლო, გუბებში ჩამდგარი წყ-ალივით ზიშნიშებენ დარდები.

— რა ვქნა, აბა, რაფში მილიონერები

არ ამოდიან, ყველა გაღლელი მი დამემგზავრება ხოლმე და ფული აღარავის გამოვართვა? — ჯავრობს გულ-მოსული მძლოლი.

ბაზართან ჩამოვიდა. გაიარა ნუმპეში დახლებამოდგმული ვინრო ქუჩა, აიარა ქვაფენილიანი აღმართი და ძველ უბანში ბელეტაჟის სამსაფეხურიან კიბესთან შედგა.

მოიჩხრიკა ჯიბეში გასაღები.

„შენ რალა ოხრობა დაგემართა!“ — გაუნყრა გაჯიუტებულ კლიტეს.

ოთახში სიცივე და სიცარიელე დახე-და.

სიცივეს უშველის — ლუმელს აანთებს. სიცარიელეს...

სამზარეულოში შეიტანა პარკში ჩანყ-ობილი ჭურჭელი, ქილები... კიდევ, რალაც... ჰო, ქალაღში გადახვეული სახ-ლის ნამცხვარი და ორიც მალაზის ფუნ-თუშა. ცოლმა გამოატანა, რად მინდა, გამ-იფუჭდებო.



„ჩემ „შაქარს“ ხომ სწორედ ნამცხვარი უნდა,“ — ჭურთუქის გაუხდელად სკამზე ჩამოჯდა, შეცივებული ხელები იღლიებში შეინყო, საზურგეს მიაწვა და თვალმოხუ-ჭული გაირინდა.

სასტუმრო ოთახში ძველმა კედლის საათმა ჩამოჰკრა.

უნდა ადგეს, ლუმელს შეუნთოს. ფეხ-საცმელშიც წყალი შეუვიდა — დროა ზამ-თრის „ბათინკები“ მოქებნოს.

ხმელი კვარავით ფიცრის ანათალს ცეცხლი უტებ მოედო და სიცივეც თანდა-თან მოტყდა.

„ბათინკებს“ რომ ექებდა, თახჩაში შენ-ყობილი ცოლის მოკლეყელიანი ჩექმები მოხვდა თვალში.

დასჭირდებო, ისინიც გამოიღო, ჯერ ნოტიო, მერე მშრალი ნაჭრით დანმინდა, დაამშრალა და ლუმელის შორიახლო, და-ბალ სკამზე ჩამოასკუპა.

გაბუტულებივით ცხვირბზეკილები, ძალიან ჰგავდნენ პატრონს.

შემოსასვლელი კარი გაიღო.

— ძია ანდრო, შინა ხარ? — შემოვიდა მეზობლის წვერმოძალბებული, სახედასივე-ბული ბიჭი, — როგორ არის, გამონერაზე ჯერ ხომ არაფერი უთქვამთ?

— ჯერ არა... დაბრძანდი!

— დავბრძანდე კი არა და... — გაეცი-ნა, — ვიფიქრე მოვიკითხავ-მეთქი.

— მარტო მაგიტომ არ შემოხვიდოდ... პახმელიაზე იქნები.

— ჰო, ნუხელის ბევრი მოგვივიდა ბი-ჭებს...

„გალოთდა მთელი უბანი.“

— ხომ იცი, სადაცა დგას.

— აგაშენა ღმერთმა, ისევე შენ თუ მიშ-ველი ხოლმე... — სამზარეულოში კარადის კარი გაჭრილდა, — რა ვქნა, როგორც დავტოვე, ისე იმდენია, ამ ბოთლისთვის არაფერი მოგიკლია?... რა ფული გითმენს... აბა, გაგვიმარჯოს!

— ნახე, მისატანებელი რამე იქნება.

— უჰ, კანფეტით ჩაიარა, მისატანე-ბელი რად უნდა.

— ერთიც დაისხი...

— მეყოფა, მაშინ კიდევ უნდა დავლიო — არაყი კენტი უნდა... აჰა, შენი ხათრით ნახევრად შევაგვებ.

— ჰო, უბნის ბიჭები სულ ჩემი ხათრით დალოთდით...

— რა ვქნათ, უკეთესი ვინ რა შე-მოგვთავაზა...

— შემოგვთავაზათ კი არა, ლანგრით მოგართმევენ... რაცა გაქვთ, ისიც არ წა-

გართვან.

— მაშრას აკეთებენ, არ გვართმევენ?... აბა, სამი სახარება, გახარება...

კარადის კარი ისევე ჭრიალით დაიხ-ურა.

— ძლივს არ ამოვისუნთქე... გაიხსნა გულის ძარღვები! — მხარზე ხელი დაჰ-კრა და ოთახიდან გაბრააცუნდა, ოღონდ, გარეთ გასვლამდე დაუბარა, თუ რამეში დაგჭირდე, შინა ვარო.

ისევე მარტო, ისევე სიცარიელე.

თურმე ეს პატარა ქალი როგორ ავსებ-და აქაურობას. იმის ჩხუბიც მოენატრა და საყვედურებიც.

ანდა ამდენი წლები ანდროს გაძლება არ უნდოდა? რა ძალიან ტკბილი ხასიათი ამას ჰქონდა!

აი, ამ ცხვირბზეკილი, გაბუტულებივ-ით გვერდი-გვერდ მიმსხდარი ჩექმების პატრონი, ახლა საავადმყოფოს მესამე სართულზე, მეხუთე პალატაში, ბალიშზე თავშემალეული შეჰყურებდა მაჯაზე

გამობმულ წვეთოვანს.

ორივე მარტოა, ცალ-ცალკე, როგორც გაჭრილი ვაშლი და, ისევე შეერთდებიან თუ არა, არავინ იცის.

ჩექმების შემხედვარეს გული აურწყდა, რალაც ძალიან ძველი, თბილი, საყვარელი, აუხსნელი, სევდის მომგვრელი მოეძალა, ჩაულბა მკერდი და გულისფიცარი, აუ-დულდა ყელში შვევისმომგვრელი ქვეითი-ნი. თავისდაუნებურად დაიჩოქა სკამის წინ და თავდახრილმა ჩექმები ჩაიხუტა.

მარტოა და შეუძლია ტირილი.

ჰოდა, ტირის!

მწერალი სტუდიაში

— რმცა პატარა ვიყავი...

რაო? თუ შეიძლება თავიდან დავინყ-ოთ?... როგორ? ხელს დამიქნევთ და მერე? კი ბატონო, როგორც მიბრძანებთ, ჩემი რა მიდის!.. ალბათ, „ბაბინის“ ლენტმა ჩაიხ-ვია... რალა დროს ლენტია?... ჰო, ჰო, ინტერ-ვიუ ახლა მოდაშია, ლამის მიცვალე-ბულებისაგანაც აიღონ ხოლმე... გასაგე-ბია, მიკროფონს არ შევეხები, არც მაგ-იდაზე გავახოხებ და არც თავივით შევახრამუნებ... კი, კი, ფეცილში ამოგანგ-ლულ, ამბარის თავს ძალიან გავს... ისე ახლოს ვიცნობდი ასეთ ვაჟბატონებს, ამ მიკროფონით გრძელკუდა აბეზრებს — სოფელში როცა ვცხოვრობდი, ყოველ დილით ვნახულობდი მათ ნავაჟკაცარს, გახვრეტილ სიმინდის ტომრებს, გულგა-მოჭმულ კაკლებს, გაგლეჯილ ჭილოფს, დაღრღნილ ჭერზე გაკრულ შპალერს...

ეს ჯანდასანავები, ყველა და კაკალი გასაგებია, მაგრამ ჭილოფსა და ქალაღს რალა გემოს ატანენო, ჯავრობდა ბუბია-ჩემი და სათაგურში მოხალულ, მისა-ტყუებულ თხილს ამაგრებდა.

ეჰ, ამეების მოყოლა ვილას ჭირდება, „ბაბინელებით“ მოძველდა... ალბათ, მეც მოვძველდი, დროა მამინდელ თავებზე ახლა ვიყარო ჯავრი — მიკროფონი ჩავახრამუნო და სტუდიიდან გავიპარო...

მამ დავინყოთ?

ცოტა კიდევ მოვიცადოთ?

კი ბატონო, ჩემი რა მიდის, სულ არ ვიც-დი? გამიკვირდება თუ რა, რაკი შემომი-ტყუეთ, ამ ხაფანგში...



ჩემს ქალარას არ ენდოთ, ახლა უფრო პატარა ვარ, ვიდრე მაშინ, არხისპირზე, ბალახზე წამოწოლილი რომ ავყურებდი ცას.

ცა ყველაზე დიდი საოცრებაა, შეგიძლია საათობით უყურო, თუნდაც იქ, სულმებერილი ბუმბულივით, ღრუბლის ფთილაც კი არ იძვროდეს ანდა ერთი ბოლოცეცხლაც კი არ გადაიფრენდეს, თამამ-თამამით, წამიერი ვარდნებით, თითქოს სკუმ-სკუმით მიდიოდეს.

ავყურებდი ცას და რომელი ისტორიული, საბრძოლო ბატალიები შეედრებოდა კავკასიონის მხრიდან დაძრული ღრუბლების შეხლა-შემოხლას, თრიალეთიდან წამოშლილ „ლეგიონებთან.“

მისტიური, ცეცხლოვანი ელვის ისრები, თვალწინ ჩანაცრული კუბრივით შავი ხომალდის აფრა, სადღაც, მტკვრის ხეობის თავზე ირეოდნენ მძიმე, საბრძოლო ხომალდები, მიაგორებდნენ გულჩახურულ ტალღებს და შუაგულ ტყეში, მეხდაცემული მუხა ბოლავდა.

ხან მეც რომელიღაც ხომალდზე ვიდექი, მახვილს ვიქნევი დაჩეხილ-დაჭრილი, პომპეუსის მამაცი ცენტურიონით... ხანაც საზღვაო ბინოკლმომარჯვებული ვიძლეოდი ბრძანებებს...

როგორ გალუმპულხარ, თავი ვერაფერს შეაფარე? ჩქარა, გაიხადე, არ გაცივდე! — თავს მიმშრალე ბებიაჩემი.

ორიოდ წუთში, ლოგინში შეგორებული შიშველი „ნელსონი,“ სითბოში გატრუნული კატასავით ვკრუტუნებდი...

მერე დავწერე ჩემი პირველი მოთხრობა, მოთხრობასაც ვერ დავარქმევთ... მას შემდეგ კალამი არ გამიგდია... დრო მაინც გვაქვს და ერთ მათგანს წაგიკითხავთ, იქნებ ინტერვიუში ჩართოთ:

„ბიჭი სკოლისკენ როცა მიდის, სულ ჰგონია, რომ სადღაც, ახლომახლო, სანაგვესთან, გაზონის დეკორატიულ ბუჩქებთან ანდა სულაც ფოთლითა და სიგარეტის კოლოფებით ამოტენილ ქუჩისპირას, გაუქმებულ გამწმენდ არხში, დოლარებით გაძეგილი ბელტივით ხელჩანთა ან საფულე გდია. ჰგონია, მაგრამ იმას კი აღარ ფიქრობს, ერთდროს ღონიერ, ათიათას მუშახელიანი ფაბრიკის გარეშემო მოქუჩებულ, გადატაკებულ უბანში ის გაძეგილი საფულე ვის უნდა დაუფარდეს. რა თქმა უნდა, არავის და — არც ქალაქის პრესტიჟული ნაწილიდან ან უცხოეთიდან მოვა ვინმე, რათა მაინცდამაინც აქ დაკარგოს დიდი ქონების ტოლფასი საფულე, თანაც ისე, უეჭველად ბიჭმა რომ იპოვოს.

ოთხმოცდაათიანის დასაწყისში, ცნობილი მოვლენების დროს, ფაბრიკა ჯერ გაჩერდა, დადუმდა საყვირი, რომლის ხმაც, გამთენიის სიჩუმეში შორეულ სოფლებშიც რომ ისმოდა.

უთენია აყვირებოდა, უხმობოდა, აგროვებდა საამქროებში მთელ ქალაქში გაფანტულ მუშებს. შემდეგ, დრონი იცვალნენ, გაჩერდა ფაბრიკა, ყველაფერი, რასაც კი რკინა ერქვა, საზღვარგარეთ გაიზიდა. ბოლოს შენობებს მისდგნენ და ლამის ღორღიც კი აღარ დატოვეს, მაგრამ ვიდრე ძარცვას შეუდგებოდნენ, ახლადდანიშნულმა გუბერნატორმა, პრეზიდენტს, მთავრობის სხდომაზე ახარა, ფაბრიკა ავაშუშავეთ და მალე ქვეყანას პროდუქციას მივაწვდითო.

ამის დასტურად სართავი საამქროდან, ტელესიუჟეტიც აჩვენეს და ყოფილ მუშებს საყვირით დაძახება რაღად უნდო-

დათ — უთენია, როგორც რამდენიმე წლის წინ, უმალ აფუთფუთდა ქალაქი — იმედმოცემული პროლეტარები დაიძრნენ მშობლიური საწარმოსაკენ.

ბიჭის მამაც, მონინავე ზეინკალი, ადრინად ადგა, ამოიღო ილიაში გადანახული, მაზუთით დალაქავებული, ცელოფანში გადახვეული „სპეცოვკა“ და სამუშაოდ წავიდა.

მამა იმუშავებს, მაშასადამე, ოჯახს ფული გაუწოდებო, გაიხარა ცოლ-შვილმა, მაგრამ ხეირიანად გამოფიზლებულები არც იყვნენ, რომ ბელეტაჟის პარმალდანი, ფეხამოკრული ნაგვის ვედრო ძირს გადაფრინდა.

— კარებში რომ არ დამიდგათ, არ შეიძლება! — მოისმა უკან მობრუნებული მამის გაბრაზებული ხმა.

— ჰო, ჰო, ნაგვის ვედროზე იყარე ჯავრი, ახლა ეგ ვედროც საყიდელი გამიხადე! — დაუტია დედამ, — რა იყო, ორ ცვლაში მოვიტანე მუშაობა?

— არა ვარ, ქალო, შენ ხასიათზე! — შეჭრინა კაცმა და ოთახში უაზროდ დაბორილდა.

— ხო გითხარი, ტყუილი იქნება-მეთქი, არ დამიჯერე და... ეგ დასანავი „სპეცოვკა“ მაინც დააგდე, როდემდე უნდა გქონდეს ილიაში ამოჩრილი.

მაგრამ „სპეცოვკა“ კი არ დააგდო, ძირს დაახეთქა და გინებით ზედ შედგა.

არ ავიწყდება ის გულის ჩანყვეტა ბიჭს. ისიც ახსოვს, მაშინდელ გუბერნატორს, ახლაც პარლამენტში რომ ზის, ტელევიზორში ყოველ გამორჩენაზე, მთელი მუშათა უბანი ლოცვა-კურთხევას რომ უგზავნი.

ადამიანები (კიდევ ერთხელ) მწარედ მოატყუეს! მაგრამ ამ ტყუილის ვის შერცხვება, პრეზიდენტს თუ გუბერნატორს?

ბიჭს დოლარებით სავსე ქისის იმედილა აქვს.

დაფუშვით იპოვა, მერე რა უნდა ქნას, მოხმარებასაც ხომ მართვითი უნდა? იპოვოს და...

არა, მაინც, მაინც?..

ოცნებიდან გამორკვეულს მერხზე დადებული, გამხდარი, შენაოჭებულ ზურგის ხელი მოხვდა თვალში. მზერა ააყოლა და მისკენ დახრილ მასწავლებელს მზერა გაუსწორა.

— არ მისმენდი! — თქვა მასწავლებელმა.

— დიახ, პატივცემულო.

— რაზე ფიქრობდი? — გააღიმა ბიჭის პასუხმა.

— რაზე?.. საფულეზე! — წამოსცდა უნებურად და თავისთავზე გაბრაზდა, ეს რა წამოვროშეო.

კლასი ჯერ გაყურდა, მერე ერთხმად ახარხარდა.

— საფულეზე? — სახე დაუსერიოზულდა ჩაფიქრებულ მასწავლებელს, — ჰოო, ალბათ დიდ, ტყავის, ფულით გატენილ საფულეზე ან ხელჩანთაზე...

— დიახ, პატივცემულო! — დაასხა ჭირის ოფლმა და თვალი მოავლო ამხანაგებს, რომლებიც სიცილისაგან სულს ძლივს ითქვამდნენ. გადახედა და აღმოაჩინა რომ ყველას ერთნაირი ცხვირი, თვალები, ყურებამდე გახეული პირი ჰქონდა და უკვირდა, ასე უცებ ერთმანეთს როგორ დაემგვანნო.

— საფულე სადმე, მიყრუებულ ადგილას უნდა ეგდოს, — თვალში ჩაჰყურებდა და განაგრძობდა მასწავლებელი ბიჭის გულის ნადების ამოკითხვას, — შემთხ-

ვევით უნდა გაიარო, ფეხი წამოჰკრა და მაშინვე იგრძნო ის სასიამოვნო, რბილი სიმძიმე, რაც მხოლოდ ფულით გატენილ ხელჩანთას აქვს, პატრონმა სალაროდან გამოტანილი, ტკაცუნა ასიგნაციებით გულმოდგინედ რომ ამოავსო და საგულდაგულოდ შეკრა... — ასეა, ხომ?

— ასეა, — დაეთანხმა ლულულით და ცხელმა ოფლმა ახლა ხერხემალზე ჩაირბინა.

— შემკრთალი, გულაძვრებული მიიხედ-მოიხედავ, დასტაცებ ხელს და... გააქცუნებ! — აგზნებულ მასწავლებელს თვალები ულაპლაპებდა, — გაჩუმდით, ბავშვებო! — ასნია მერხზე ჩამოდებული ხელი, — რატომ იცინით, განა თქვენ კი არ გიოცნებიათ ფულის პოვნაზე? მაგრამ... მითხარით, ოღონდ გულწრფელად, დამკარგავის მდგომარეობაზე თუ გიფიქრიათ რომელიმეს? ვინმე შენუხებულხართ მისი პატრონის, დამკარგავის შემდგომ ბედზე? იქნებ ვალი მიჰქონდა, ან ოპერაციის გასაკეთებელი ფული ნაცნობ-ახლობლებში მოაგროვა, ანდა პროცენტიანი სესხი აიღო გულის მანკიანი შვილის სამკურნალოდ... მე არ ვამბობ, რომ თქვენ არ გჭირდებათ, ჩვენ ქვეყანას გაჭირვებული ოხრადა ჰყავს... მაგრამ იმან, რა დააშავა, იმის ხარჯზე რატომ... მითხარით, რატომ... ანდა ერთი რომ იპოვნით, დანარჩენები? ნუთუ უნამუსო ხელისუფლებამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ამ სისაძაგლეზე, სხვის უბედურებაზე ხელის მოთბობაზე რომ გაოცნებებთ?.. — მასწავლებელს ხმა წაუვიდა, ამოუშრა, ამოეხახა, სახეზე ხელები აიფარა და კედლისკენ შებრუნებული გაიჩინდა!..“

მგონი უკვე გვანიშნეს! იქნებ აღარც ღირს... სხვა დროისათვის გადავდოთ... რა? ხუთ წუთში პირდაპირ ეთერში ვიქნებით? აკი უნდა ჩავნეროთო... მაინც დაიწყეთ?

რა გაენწყობა, კეთილი:

— პატარა როცა ვიყავი, სულ ვნატრობდი, ერთ მშვენიერ დღეს ფულით გაძეგილი ხელჩანთა მეპოვნა...

ორნი

სოფლის ავტობუსს ამოჰყვა. ჭრილით გაიღო ზამთარგამოვლილი, ანჯამებჩაქანებული კუტიკარი, გაუყვა ბალახგადავლილ ეზოს. ეძალავებოდა, მუხლებზე ეგლისებოდა წვიმიანი გაზაფხულით გალაღებული, გამოუთიბავი სიმინდა ბალახი, ფეხებში ებლანდებოდა ზამბარებივით ჩახვეული ღიჭა. როგორც იქნა, მიაღწია გადაკაფულ თუთამდე. ძირში მიდგმულ პატარა ძელსკამს ძარღვებამოყრილი ხელისგული გადაუსვა, ფიცარს ფრთხილად გადააყოლა და ჩამოისვენა. ზის კაცი. ზის. უბრადა. ხმის ამოუღებლად.



ანდა ვის უნდა დაელაპარაკოს, ვიღაც ხმისგამცემი.

მუხლებშუა ჩადებულ კაუჭა ხელჯოხს უხსენებელივით უქანავებს გალოპრილ-გაპრიალეული თავი.

სულ ეგონა, დროებით დაიჭირა, მალე გადაადგებდა, მაგრამ მერე და მერე, მუხლების სისუსტე რომ მოერია, ხელჯოხი თავად ჩაეჭიდა, მონუსხა, აღარ უშვებდა, როგორც კი მოიცილებდა, სხეულში ჩაღვრილი ძაბუნის, წასაქცევად აბარბაცებდა.

„რა იყო, ბიჭო, დაგიდგა მუხლები?“ — გაეხუმრა ერთხელ, სათოხარში, ახლად ცოლომყვანილს, მამა.

ახლა მართლაც დაუდგა.

ნუთუ ყველაფერი ადამიანზე უფრო გამძლეა?

ლამიან არხისპირზე, როდის აიმ სათონისათვის ალიზი მოზიღეს, ყალიბში ჩასვეს, გამოაშრეს, სათონეს საკუჭნაოც მიაშენეს...

რამდენი დრო გასულა!

ყველა თუ არა, ნაწილი ხომ გადარჩა, არ ჩაიშალა.

ალიზებს ხომ მისი ბავშვური ფეხის-გულეები ახსოვთ...

კაცის ზურგსუკან სახლი დგას — ღია დერეფნიანი, წინ წამოფრდებული...

ჰო, ეს ზის, ის დგას. ვითომ დგას, თორემ სადაცაა ისიც „ჩამოჯდება“ — გადამსკდარ კედელზე ბალახი მიცოცავს. ბალახში პანანკინტელა ყაყაჩოებს თავი ამოუყვიათ. არ არის საკვირველი, ყაყაჩო რალამ ამოიყვანა კედლის ნაბზარებში იმ სიმაღლეზე?

ყაყაჩო სიხარულის ნიშანია! მაგრამ აქ არა, არა...

მიატოვეს და სადაცაა შიგნიდან გატყდება ციხე. გაირღვევა. ჩაიქცევა. თავისთავს დაიტანს...

მზე გადაიხარა — მუხლებზე თუთის ჩრდილი გადააცოცდა როგორც ბებერ, გაფუყულ კაკლის მუხლუხოს, ზანტად, ნაწილ-ნაწილ მიაქვს სხეული.

მერე, ჩრდილი მიწაზე გადაინაცვლებს და, მზე რომ ჩავა, საერთოდ გადაიკარგება.

სახლი და კაცი!

ნეტავ რამდენ ხანს იქნებიან გაბუტულევივით ზურგშექცეულები!

ბალახში კრიალა ნამივით გაიღვევს გაველურებული კატის თვალებმა.

ცერად გაქცეულმა კატამ ბალახის დერეფანი გაიყოლია.

შეარხია ტანი სიმწვანემ, ისევ შეიკრა პირი და გაყურდა.

ლონიერია და ჯიუტი ბალახი. ადამიანი თავის გაჩენის დღიდან ეჭიდავება...

კაცმა ლოყით იგრძნო თუთის დაფშხალული მერქანის ხაო, ჩამავალ მზეს გაუტერინდა და წამწამს ობოლი ცრემლი დაეკიდა.

სახლი კაცის ათრთოლებულ მხრებს უყურებდა.

კრიტიკოსი

ივანე ამირხანაშვილი

ქართულ სალიტერატურო სივრცეში არც ისე ბევრი კრიტიკოსია, რომ მათი სახელები მკითხველისთვის უცხო იყოს. მით უფრო, თუ ამ სფეროში დაინტერესებულ ადამიანებთან გვაქვს საქმე. ვანო ამირხანაშვილი ერთ-ერთი მათგანია. პირველი კრიტიკულ-ლიტერატურული სტატია 1981 წელს აღმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნა. მას შემდეგ არაერთ გამოცემაში დაიბეჭდა. მისი ნერილები და მოსაზრებები თანამედროვე თუ სხვადასხვა პერიოდის ქართული (და არა მხოლოდ) ლიტერატურის შესახებ ყოველთვის იპყრობდა მკითხველის ყურადღებას და ინვევდა ინტერესს. მოგვიანებით ეს ნერილები ნიგნებად აიკინდა.

რამდენიმე კრებულის ავტორია, რომელთაგან პირველი — „თეთრი ჯვრის ხეობა“ გამომცემლობა „ლომისისა“ და მწერალთა კავშირის პრემიებით აღინიშნა, მეორეს — „სტივის დიალექტიკა“ ლიტერატურული პრემია „საგურამო“ მიენიჭა, მესამე — „თავისუფლების პარადოქსები“ ლიტერატურულ კონკურს „საბაზე“ იყო ნომინირებული. ეს უკანასკნელი ავტორის ჩანაწერებს აერთიანებს და მისი პიროვნების უკეთესად გვეხმარება. ვფიქრობთ, ამავე ფუნქციას შეასრულებს ეს ინტერვიუც, რომელშიც ვანო ამირხანაშვილი კრიტიკოსის ბედზე, მის პიროვნულ თუ პროფესიონალურ თვისებებზე, ქართულ მწერლობაში არსებულ ვითარებაზე, თავისუფლების პარადოქსებზე და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრება.

— ორ ათეულ წელზე მეტია, ქართული მწერლობის კრიტიკოსთა ფლანგს „ამაგრებთ.“ ამ დროის განმავლობაში არაერთხელ მოგვევებათ მოგვსმინათ მოსაზრება ქართული კრიტიკული სკოლის კრიზისის შესახებ. საქართველოში კრიტიკოსის ხვედრზე ბევრი თქმულა და დაწერილა. იმას, რომ კრიტიკა უმადური საქმეა, ზოგჯერ კრიტიკოსებიც აღნიშნავენ. თქვენც ასე ფიქრობთ?

— მოდი, ჯერ შევთანხმდეთ, რომ კრიზისი არსებობის ნიშანია. რაც არ არსებობს, ის კრიზისს ვერ განიცდის.

კრიტიკა აზროვნების ისეთი დარგია, რომელიც კრიზისის გარეშე ვერ იარსებებს. ის მუდამ იდეათა განახლებისა და თვითუარყოფის რეჟიმში მუშაობს, გარდატეხის სიტუაციაში ყოფნა მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

კრიტიკა, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივი მოვლენაა და მის ყოფნა-არყოფნას სოციალური გარემოებები განაპირობებს. ქვეყანაში, სადაც საზოგადოების არარსებობაზე ლაპარაკობენ, რა გასაკვირია, კრიტიკის არარსებობაზეც იყოს საუბარი.

კრიტიკა ყოველთვის უმადური საქმე იყო, მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო კრიტიკოსებს სატრაპებად იყენებდა. დაახ, საქართველოში კრიტიკა უმადური საქმეა, მაგრამ კრიტიკოსები უმადურნი არ არიან (ნამდვილ კრიტიკოსებს ვგულისხმობ).

რაც შეეხება კრიტიკოსთა ფლანგის „გამაგრებას“, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამი მგონია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში მეჩვენებოდა, თითქოს მხრებით სიცარიელეს ვამაგრებდი.

— გინდათ თქვათ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა სიცარიელესთან ასოცირდება?

— ღმერთმა დაგვიფაროს. უბრალოდ ვთქვი, მეჩვენებოდა-მეთქი. შეიძლება სიცარიელე ჩემშია და გარეთ სისავსეა.

— მაშ, რატომ ამბობენ, კრიტიკა არ არსებობს?

— იმიტომ, რომ ყველა კრიტიკოსია. დღეს ასეთი ვითარებაა: თითქმის ყველა, ვისაც ხელში კალამი უჭირავს, კმაყოფილია თავისი „შედეგით“ და უკმაყოფილო — სხვისი „ნაჯღაბნით“. კრიტიკა ადამიანური მოვლენაა, ადამიანური ხასიათიდან გამომდინარეობს და ამითაა ძვირფასი, მაგრამ როდესაც საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვება უჭირს, ნარცისისტულ სუბიექტივიზმად ყალიბდება.

— რა არის საზოგადოებრივი სტატუსი და როგორ უნდა მოიპოვოს ის კრიტიკამ?

— ეს არის მდგომარეობა, ხელშეწყობის მდგომარეობა და ორგანიზებულიობა. კრიტიკა ორგანიზებული უნდა იყოს. ადრე სახელმწიფო იყო კრიტიკის დირიჟორი და მეცენატიც და ამან რა შედეგი მოიტანა, ყველამ ვიცით. ახლა სხვა მდგომარეობაა. ორგანიზატორის ფუნქცია გამომცემლობებზე და პერიოდულმა გამოცემებზე უნდა იკისრონ. ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და გამომცემლობების არსებობა კრიტიკის არსებობასაც ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. როდესაც რედაქტორები, გამომცემლები და ლიტერატურული მუშაკები ცდილობთ, იფქვი ღვარძლის-გან გამოარჩიოთ და საუკეთესო პროდუქტია მიანოდოთ მკითხველს, ეს უკვე კრიტიკაა. ფაქტობრივად, თქვენ ხართ ლიტერატურის ინტერპრეტატორები, მოდისა და გემოვნების კანონდებლები. დღეისა

მადლით, საგამომცემლო საქმე გამოსწორდა, საქართველოში ნიგნის ბუზია. პერიოდული გამოცემა ბევრი არ არის, მაგრამ საქმარისა, რათა ხელი შეეწყოს კრიტიკის ორგანიზებას. „ცისკარი“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ლიტერატურული გაზეთი.“ კიდევ არსებობს რაღაც ძალები...



შეიძინა ლიტერატურის ინსტიტუტი გამოცემა აღმანახ „კრიტიკას.“ ირმა რატიანი და მანანა კვაჭანტირაძე ნამდვილ დედობას უწევენ ჩვენი ლიტერატურის „გერს.“ ამ დროს სად არიან კრიტიკის მამები? ბესიკ ხარანაულის არ იყოს, „არ არიან, ქარია,“ მაგრამ უსათუოდ გამოჩნდებიან, როცა საქმე რეალური გახდება. როგორ უნდა მოხდეს კრიტიკული აზროვნების ორგანიზება და საერთოდ, კრიტიკისთვის სოციალური სტატუსის მოპოვება, სისტემური საკითხია და მასზე ჩემზე უკეთ სხვა, ნამდვილი კრიტიკოსები იმსჯელებენ.

— ვის გულისხმობთ ნამდვილ კრიტიკოსებში?

— პროფესიონალ მკითხველს და დროს — ყველაზე დიდ პროფესიონალს. ტექსტი მკითხველის გარეშე არ არსებობს. დრო კი ყველაფერია. დრო იყო საჭირო იმისთვის, რომ ბარათაშვილი აღმოგვეჩინა, გურამიშვილი და ვაჟას ფასი გაგვეგო; დრო არის საჭირო, რათა ყალბი კერპები დაიმსხვრეს და დავინყვებამიეცეს. დრო ყველაფერს სწორად კითხულობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდეალური კრიტიკოსი დროისა და კითხვის ერთობლიობაა.

— და კიდევ ამ თემაზე: სულ მანტერესებდა პასუხი კითხვაზე — კრიტიკოსებად ისევე იზადებიან, როგორც პოეტებად ან პროზაიკოსებად თუ ამის სწავლა შესაძლებელია?

— ყველა ადამიანი კრიტიკოსად იზადება. ახალშობილის პირველივე ბგერა კრიტიკულია — ტირილი ხომ ნუთისოფლის კრიტიკაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მერე და მერე ტირილი და ჯინიანობა აღარ გშველის, აზრი უნდა გამოთქვა, დაასაბუთო. ერთი სიტყვით, შეიძლება კრიტიკოსებად იზადებიან, მაგრამ ლიტერატურის ანალიტიკოსად რომ ჩამოყალიბდეს, საჭიროა ხედავდე საგნებს და შეგეძლოს გაბრაზება.

საერთოდ, ვინც საგნებს ჭვრეტს, პოეტიკა, ვინც ბრაზობს — პროზაიკოსი. კრიტიკოსი ორივე უნარს ფლობს: მჭვრეტელ-იც არის და ბრაზიანიც, მაგრამ არც პოეტიკა და არც პროზაიკოსი. ამიტომ გაჩნდა აზრი, რომ კრიტიკოსი სხვა არაფერია, თუ არა ხელმოცარული მწერალი. ცოლვა

გამხელილი სჯობს, ამას თავადაც გრძნობენ. ყველა მათგანი ფიქრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ადგება და ისეთ რომანს ან პოეტურ ციკლს გამოაცხობს, ქვეყანას გადარევს.

— რამდენად ძლიერია ხელმოცარულობის კომპლექსი?

— კრიტიკოსი შეიძლება იყოს ხელმოცარული პოეტი ან პროზაიკოსი, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, ისევე, როგორც პოეტს ან პროზაიკოსს შეიძლება კრიტიკა არ ემარჯვებოდეს. ამ ინფერნალური ნიშნით კრიტიკოსი და მწერალი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა განსხვავება იმაშია, რომ მწერალი ძირითადად თავის ნაწარმოებებს კითხულობს, კრიტიკოსი — სხვისასაც.

ერთხელ რედაქციიდან რევაზ ჯაფარიძეს დავურეკე, თავი მომქონდა, კრიტიკის განყოფილების გამგე ვიყავი: — ბატონო რეზო, ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“ გამოვიდა და ორ სიტყვას ხომ არ შეგვანვეთ-მეთქი. „მე ეგ რომანი არ ნამიკითხავს და არც ნავიკითხავ!“ — გამიბრაზდა და ყურმილი დადო.

— ისევ ხელმოცარულობის თეორიას მიიხედვით დავუბრუნდეთ. თქვენც ხომ არ გრძნობთ ცთუნებას პროზის ან ლექსის

„ ტექსტი უპირობოდ არ არსებობს “

მიმართ? — რა ვუთხარი ისეთ ჯარისკაცს... ბო-დიში, რა ვუთხარი ისეთ კრიტიკოსს, ერთი კარგი რომანი დაწერაზე რომ არ ოცნებობს. სხვათა შორის, იპოლიტ ტენი ამბობდა, განათლებულმა ადამიანმა სიცოცხლეში ერთი რომანი მაინც უნდა დაწეროსო. როცა მივხვდები, რომ წერა-კითხვა ვისწავლე, ავდგები და... ანდა სულაც, მისტერ ბარტლემივით აღარაფერს დავწერ.

— რა აყალიბებს კალმოსანს კრიტიკოსად, რომელი შინაგანი თვისებები?

— უშუალოდ და პირდაპირობა, სხვა ყველაფერთან ერთად. შემოქმედის ხასიათი უნდა ჰქონდეს. ლუის ბუნუელის მემუარებში ერთი საინტერესო ეპიზოდია: სალვადორ დალი შეიკლავს, ლორკას პიესა უნდა მოეხმინოთო. ნაჰყვება. დასხდებიან სამნი და ლორკა დიდი შთაბრძნებით იწყებს კითხვას. უცებ ბუნუელი მაგიდას მუშტს დაჰკრავს და იყვრება: „გეყოფა, ფედერიკო, ნაგავია!“ ფედერიკოს ზაფრანისფერი ედება, ხელნაწერს ხურავს, დალის უყურებს და ხმადაბლა ამბობს: „ბუნუელი მართალია, ეს ნაგავია!“

აი, რა არის კრიტიკა. სიმართლეს მწარე გემო აქვს, მაგრამ უნდა მიიღო. ეს ღირსების საქმეა. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. სხვაგვარად კრიტიკა მარაზმად იქცევა. იმასაც ვიტყვოდი, რომ თუ კრიტიკოსად დაიბადე, ყველაფერს ისწავლი. ცხოვრება განსწავლის.

— ორივე წლის წინათ დიდი მღელვარება გამოიწვია „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებულმა თქვენმა წერილმა. „პოეტურ მუზას სძინავს. იმდენი ლექსი, დღეს რომ იწერება, არასოდეს დაწერილა, მაგრამ ფაქტია, პოეზიას სძინავს“ — ვკითხულობთ ერთგან. დღესაც ასე ფიქრობთ თუ მას შემდეგ რამე შეიცვალა. ამ გადმოსახედიდან ძალიან მკაცრი ხომ არ იყავით?

— მკაცრი ვიყავი, მაგრამ არა ისეთი, როგორც ბუნუელი. ადრეც ვწერდი და შემოძლია ახლაც გავიგებო: თუ ვინმემ პირად შეურაცხყოფად მიიღო სტატიაში გამოთქმული ზოგადი შეფასებები, შემოძლია ბოდიში მოვუხადო, მაგრამ საქმე ის არის, რომ პირადად არავის შევხებოვარ, „საზოგადო ქორზედა ვწერდი.“ სხვა თუ

არაფერი, ის მაინც ვიცი, რომ იქ, სადაც პირადულზე იწყება ლაპარაკი, ლიტერატურა ქრება.

ახლახან გამომცემლობა „ინტელექტის“ დაკვეთით შევადგინე პოეტური კრებული სერიიდან „100 ლექსი“, სადაც 2012 წელს ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული ლექსები შევიდა. ამ წიგნიდან ჩანს ჩემი დამოკიდებულება პოეზიისა და პოეტებისადმი და დაინტერესებული მკითხველი მიხვდება, რომ ამ დამოკიდებულებაში შესაცვლელი არაფერი იყო, რადგან სიყვარულითაა განმსჭვალული და ნაკარნახევი.

— იმ წერილში ძირითადად პოეზიაზეა საუბარი. რას იტყვით თანამედროვე ქართულ პროზაზე. აქაც მსგავსი ვითარებაა თუ პროზაში უკეთ გვაქვს საქმე?

— შედარება მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგან სხვადასხვა სიბრტყესა და განზომილებაზეა ლაპარაკი. საერთოდ, ამ სფეროში არ შეიძლება ისაუბრო წინ წასვლასა და ჩამორჩენაზე, რადგან ლიტერატურა არც მძლევსოთაა და არც ცხენთა შეჯიბრება.

კარგი პროზა გვაქვს, მაგრამ რაღაც ნაირი ერთფეროვნების წრეში ტრიალებს. ნატურალიზმი, მაგიური რეალიზმი, სლენგი, ირონია და პოსტმოდერნიზმის ქოლგას შეფარებული სტილი — მოძველდა, თავი ამოჭამა, გახუნდა. სხვა გზებია საძიებელი, სხვა სტილი, ხედავ. ამ მხრივაც შეინიშნება ძვრები. ნება მომეცით, ავტორების დასახელებისგან თავი შევიკავო. დავგლოდოთ, ვნახოთ, რა პერსპექტივას გახსნიან.

— როგორც კრიტიკოსი და მკითხველი, ბუნებრივია თვალს ადევნებთ დღეს გამომავალ ლიტერატურულ პერიოდიკას. იყო დრო, როდესაც ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები ამ სფეროში ამინდს ქმნიდნენ და პრიორიტეტსაც განსაზღვრავდნენ. დღეს რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით?

— მართალი ბრძანდებით. იყო დრო, როცა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ ლიტერატურის პედს არ განსაზღვრავდნენ. მაგალითად, ბიველი დემოკრატიული არჩევნები, რომელიც „მრგვალმა მაგიდამ“ მოიგო, გარკვეულწილად გაზეთმა „ლიტერატურულმა“ საქართველომაც გადაწყვიტა. დღეს ტელევიზიაა რუპორი. ის წარმართავს მოვლენებს. პრესა, მათ შორის, ლიტერატურული, მიიჩქმალა, განიდევნა მოვლენათა ეპიცენტრიდან, მაგრამ კიდევ კარგი, ფუნქცია არ დაუკარგავს. ჯერ კიდევ ხმაურობს და ჰყავს მკითხველი.

თქვენი გაზეთი, „ცისკარი“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ცხელი შოკოლადი“ — თუ არ ცვდები, სულ ეს არის დაღვეანდელი ლიტერატურული პერიოდიკა, რომელიც სრულიად გათვითოებულია, დეზორგანიზებულია და ეს შეიძლება კარგიც იყოს.

„ნუ გაერთიანდებით! გაერთიანება — ეს არის სიკვდილი ხელოვნებისა,“ — ასე მიმართა ბორის პასტერნაკმა მწერლებს პარიზში გამართულ ანტიფაშისტურ კონგრესზე, რომელსაც გალაკტიონიც ესწრებოდა.

— „საქართველო აღარ არის მგოსანთა მხარე. საქართველო არის იმედების ფაბრიკა, რომელიც უწყვეტ წარმოებაზე მუშაობს ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში“ — წერთ ესეში „ვესტერნიზაციის ცხადი სიზმრები“, რომელმაც 2012 წელს ჩვენი გაზეთის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსზე „პუბლიცისტიკა, კრიტიკა, ესეისტიკა“ პირველი პრემია დაიმსახურა. უფრო დაწვრილებით ხომ არ აგვისსნით, რას გულისხმობთ ამ ფრაზაში?

— დაწვრილებით რომ აგვისსა, მთელი ესეის მოყვანა დამჭირდება, ამიტომ მოკლედ ვიტყვი: ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავცვივდით. პოეტური განწყობიდან პოლიტიკურ ტალღაზე გადავერთეთ და რეალობის ნაცვლად ხელში შეგვრჩა აბსტრაქცია, მომავლის იმედი, ანუ ლათინურად რომ ვთქვათ, ფუტურო იმედი. ტარიელ ჭანტურიამ თქვა უკეთესად: „იყო საქართველო პოეტიზირებული, გახდა საქართველო პოლიტიზირებული.“

აკითხვები

გოგი ხარაბაძე

საქართველოს სახალხო არტისტი გოგი ხარაბაძე არაერთი ეროვნული პრემიის ლაურეატი. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს დავით კლდიაშვილის, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიები. ცოტა ხნის წინ მას კიდევ ერთი ჯილდო — ლიტერატურული პრემია „საგურამო“ გადაეცა. ამგვარი ჩამონათვალი შესაძლოა სხვა სახელ-გვარის გასწვრივაც გვეხილა და იქნებ გავგვირველებოდა კიდევ, თუმცა ამ შემთხვევაში ჯილდოები ბატონი გოგის მიერ შესრულებულ ოცდაათამდე კინოროლს, სცენაზე შექმნილ სამოცამდე თეატრალურ სახეს, ტელეფილმებში გაცოცხლებულ ლიტერატურულ პერსონაჟებსა და ტელენარმოდგენებში მის ხმაზე ამტყველებულ აკაკის, ვაჟას, ილიას, დავით კლდიაშვილს გვახსენებს. აღარაფერს ვამბობ, ოთხთავზე, რომელიც წლების წინ, ბევრმა პირველად სწორედ ტელეეთერის საშუალებით „ნაიკითხა“.

საზოგადოებრივ გოგი ხარაბაძე, შეიძლება ითქვას, ხელახლა აღმოაჩინა, როცა მისი ახალი „გზავნილები“ — ქართული ლიტერატურისა და რელიგიური ტექსტების აუდიო ჩანაწერების მოსმენა დაიწყო.

ადგილი — „ნიგნის სახლი ბახტრიონზე“ — სადაც ბატონ გოგის შევხვდი, იმ-თავითვე განგაწყობდა ლიტერატურაზე სასაუბროდ. როგორც კი კარი შევალე, ნიგნის მდიდარ სამყაროში აღმოვჩნდი.


— არაერთი სახასიათო, სამახსოვრო თეატრალური და კინოროლის შემდეგ თქვენ სრულიად სხვა სახით წარსდევით მყურებლისა თუ მსმენელის წინაშე — ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, რელიგიური ტექსტები ამტყვევებთ. მომისმენია სხვა მსახიობების ნაკითხული ლექსები, ამონარიდები პროზაული თხზულებებიდან, თუმცა თქვენს ჩანაწერებს „მხატვრულ კითხვას“ ვერ დავარქმევ, ეს უფრო მკითხველის მიერ აღქმული და გააზრებული მხატვრული სიტყვის გადმოცემა, გაზიარებაა. თქვენი დამოკიდებულება ასეთივეა?

— ხშირად მსმენია ფრაზა: „კითხულობს გოგი ხარაბაძე“. ეს არასწორია. ყოველთვის ვამბობ: მე არ ვკითხულობ, მე წარმოგიდგენთ. რაც შეეხება დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი, ამაზე საუბარი, მოდი, გასული თვის გახსენებით დავიწყოთ. რა ნიშნავს ნოემბერი ჩემთვის? მოგეხსენებათ, რვა ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა, თოთხმეტში — მურმან ლებანიძის, ჩვიდმეტში — გალაკტიონისა, იმავე თვეში დაიბადა ჭაბუა ამირეჯიბი, ირაკლი აბაშიძე... გეტყვით, თუ როგორ შევხვდი იმ თარიღებს: საგურამოში გახლდით, საჩუქარი ჩავიტანე — ალბომი „sitkva.ge“, რომელშიც მოთავსებულია ოთხთავის, ფსალმუნების, „ვეფხისტყაოსნის“, ასევე შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის თხზულებათა აუდიოჩანაწერები; მურმან ლებანიძის დაბადების დღეს მივუძღვენი მისი ლექსების კომპაქტდისკი, რომელიც ჩემმა მეგობარმა ნოდარ მამისაშვილმა მუსიკალურად გააფორმა. ჩემს აუდიოჩანაწერებში მუსიკალური კომპოზიციები სწორედ მას ეკუთვნის. ჩვენ-ერე აუდიო-ვიდეო ნიგნი-ალბომი „გალაკტიონი - 120“, მისი დაბადების დღე სწორედ „ნიგნის სახლში“, ალბომის წარდგინებით აღვნიშნეთ. მეორე დღეს „გალაკტიონი - 120“ ჭაბუა ამირეჯიბს გავუგზავნე საჩუქრად. საზოგადოებრივ თავყრილობებზე არ დავდივარ, მაგრამ როგორ შემეძლო 23 ნოემბერს, ირაკლი აბაშიძის დაბადების დღის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე უარი მეთქვა? პოეტის ქალიშვილის, ქალბატონი ირინას მიწვევა მივიღე და სიტყვითაც გამოვედი.

— ნოემბერი მართლაც გამორჩეული თვეა ქართული მწერლობისთვის. ვფიქრობ, ასეთი თარიღების აღნიშვნას მეტი რეზონანსი რომ ჰქონდეს, ახალგაზრდა თაობაც უფრო დაინტერესდებოდა ქართული კლასიკით, მეტად

დაუახლოვდებოდა ნიგნს. გარკვეულწილად, ნიგნის პოპულარიზაციას ემსახურება თქვენი აუდიოჩანაწერებიც. ან იქნებ ვცდები და, ლიტერატურის ასე „წარმოადგენით“ რალაც უფრო მეტის თქმა გასურთ მსმენელისთვის?

— ადამიანი რაც უფრო ადრეულ ასაკში მოინახულებს დიდი მწერლების სახლ-




მუზეუმებს ჩარგალში, ყვარელში, ჭყვიშში, სიმონეთში, ტანძიაში თუ სხვაგან, მით უფრო ადრე გაიღვიძებს მასში პატივისცემა მწერლობისადმი, წარსულისადმი. თუმცა შესაძლებელია, არც არაფერი „წამოიღოს“ იქიდან. ცხადია, „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილი ბავშვი სხვა მენტალიტეტის, სხვა ღირებულებების მატარებელია, ვიდრე — „პარი პოტერზე“ გაზრდილი. ჯოან როულინგის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მან მშვენიერი ნიგნი დაწერა, მაგრამ ლაპარაკია იმაზე, თუ რა „პროდუქტი“ გვინდა მივიღოთ მომავალი თაობის სახით. როცა ყმანელი კითხულობს მოთხრობას „კაცია ადამიანი?“, ის ხედავს, რომ ლუარსაბის ტრაგედია „ტრფიალებს ალმგზნებ“ მის ღაბაბში, „ქონით გატყინილ ბაღნიან“ ხელეხსა და „გაბერილ“, „გადმოგდებულ“ ღიშში კი არ არის, მის ქართველობაში, მის აზროვნებაშია. უზომოდ მიყვარს ეს ნაწარმოები. როცა ვკითხულობ მონაკვეთს, სადაც მწერალი „ზოგიერთ-გან გადაქცეულ“, „ძველი ტყრუშული ღობით“ გარშემორტყმულ თათქარიძის ეზო-კარს გვიხატავს და შემდეგ ნაღვლიანად დასძენს მის პატრონზე, „ეტყობა რომ ქართველიაო“, სულ მგონია, რომ ამ სიტყვების შემდეგ ილია გვეუბნება: „ბო-

დიში“. მისი ამგვარი დამოკიდებულება ჩემთვისაც გადამდებია და შესაბამისად, მეც ასე ვკითხულობ, ასე წარმოვადგენ ამ თხზულებას.

საერთოდ, მუდამ ვცდილობ სულ უფრო მეტად ამოვიცნო ავტორი, ბოლომდე ჩავნვდე მის ნათქვამს, ნააზრევს და გაგიმხილოთ, რა საიდუმლო ამოგხსენია ამა თუ იმ თხზულების კითხვისას. არ მინდა, აუდიო ჩანაწერის მსმენელს ავტორი „დავუკარგო“, ამავდროულად სურვილი მაქვს, ნაწარმოების მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც გავიუზიარო მას. თუკი მე არ „გამოვჩნდები“, თუ „ჩემს“ ილიას, „ჩემს“ ვაჟას ვერ „დაინახავთ“, მაშ, რა აზრი ექნება ჩანაწერის მოსმენას? თხზულებებს უჩემოდაც ხომ მშვენივრად ნაიკითხავდით?

ერთ ქალბატონს უთქვამს ჩემი მეგობრისთვის, გოგის კომპაქტდისკები ვიყიდე, როცა ვუსმენ და ოთახში ვინმე შემოდის, დისკს ვაჩერებო. მაშასადამე არ სურს, ვინმემ ის კავშირი დაურღვიოს, ჩემთან და ავტორთან რომ გააბა. რა ჰქვია იმ კავშირს, როგორ მიიღწევა ის, ძნელი სათქმელია. თუმცა ჩვენ სამს შორის გაბმული საიდუმლო ძაფების დარღვევას რომ არავის ანებებს, ეს დიდი კომპლიმენტია ჩემთვის.

— თქვენს ავტობიოგრაფიულ ნიგნ-



ში „სახლი რუსთაველზე“ ქართველი კალმოსნების შესახებ წერთ: „ზოგს სალმით ვიცნობდი, ზოგთან ძმობა, მეგობრობა მაკავშირებდა, ზოგიც — საუკუნეები რომ მაშორებს — ჩემს განუყურებ თანამგზავრად, ჩემს ნაწილად მიქცევია. როცა ისინი მომენატრებინან, მათ ლექსს მივაკითხავ, ვკითხულობ, ზოგჯერ — ხმამაღლა, სხვის გასაგონად“. რატომ მიმართეთ ავტორებთან თუ მსმენელთან ურთიერთობის „აუდიოგზას“? რა იყო მიზეზი — საყვარელ ავტორებთან მიზრუნვა თუ სურვილი, „ბოლოს და ბოლოს ნიგნმა ფეხი მოიკიდოს „ვეფხისტყაოსნისა და გალაკტიონის სამშობლოში“?

— 1992 წელს წამოვედი რუსთაველის თეატრიდან. რა გავაკეთე მას მერე? დავწერე ცხრა ნიგნი და გამოვეცი ასოცი კომპაქტდისკი, მათ შორის — „ბიბლიის“ სრული აუდიოვერსია, რომელსაც არაერთი წელი მოვანდობდი. ეს ჩემი არჩევანია. სხვათაშორის, 80-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ თეატრში ვმუშაობდი, ოთხი სატელევიზიო გადაცემისთვის — „აკაკის მონოლოგი“, „ვაჟა-ფშაველას ნაანდერძევი“, „დავით კლდიაშვილის ნაამბობი“ და „XXI საუკუნე — ილია“ — რუსთაველის პრემია გადმომიცა. იმ წლებში მწერლებზე გადაცემები ხალხი ჯერ კიდევ ინტერესით ისმენდა. მგონი ერთადერთი მსახიობი ვარ, რომელსაც ყველაზე პრესტიჟული ჯილდო სატელევიზიო პროექტისთვის, მონო სპექტაკლებისთვის მიანიჭეს. მოგვიანდით, აკაკი ბაქრაძემ — ის თეატრის ხელმძღვანელი გახლდათ — დამიძახა და მითხრა, მოდი ტელევიზიისთვის რაიმე მხატვრული კომპოზიცია შეგქმნათ, მე ლექსებს ავირჩევ, შენ კი ნაიკითხო. მისი ხელით გადაწერილი ლექსები ახლაც შენახული მაქვს. ყველაფერი მოვამზადეთ, გადავიღეთ კიდევ, მაგრამ იმის გამო, რომ ვკითხულობდი ნაწყვეტს „დავითიანიდან“ — „ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩინესო“ — გადაცემა ეთერში არ გავიდა.

ჩემს არჩევანზე მოგახსენებდით. წერდებოდა ესაა არჩევანი — „ბიბლია“, „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟას, ილიას, აკაკის შემოქმედება, ჩემი თანამედროვე

და უკვე კლასიკობადაცქეული ავტორების ოთარ ჭილაძის, მურმან ლებანიძის, ანა კალანდაძის, სხვათა გენიალური ტექსტები.

რაც შეეხება საყვარელ, მონატრებულ ავტორებთან მიზრუნვის სურვილსა და მათთან უწყვეტ კავშირს, ამის საფუძველები ჩემს ბავშვობაში უნდა ვეძიოთ.

— მაშინ ბავშვობაზე და მხატვრულ სიტყვასთან თქვენს პირველ შეხვედრებზე მიაბებთ.

— ჩემი ბავშვობა ომის შემდგომ წლებს დაემთხვა. იმ დროს არც სათამაშოების მალაზია იყო, ვერც ზღაპრების წიგნებს იყიდდი, ამიტომ დედა მიკითხავდა ვაჟა-ფშაველას „ხმელ წიფელს“, „შვლის ნუკრის ნაამბობს“, მისგან ვისწავლე უამრავი ლექსიც. რუსთაველზე ვცხოვრობდით. სახლს, ეზოს მხრიდან, გრძელი საერთო აივანი მიუყვებოდა. თუმცა მარტო აივანი კი არა, ცხოვრებაც საერთო გვექონდა. მე-ზობელს სტუმარი რომ მოუვიდოდა, გამომიყვანდნენ ხოლმე აივანზე, შემაყვებდნენ სკამზე და მაკითხებდნენ ვაჟას „არწივს“. დედას ბაბუა მღვდელი იყო, მისგან ჰქონდა ერთი ხატი, რომელსაც დროდადრო ჩამოჰკიდებდა კედელზე და ლოცულობდა. მამაჩემმა, პასუხისმგებელმა მუშაკმა, რომელიც შინ მუდამ გვიან, დაღლილი ბრუნდებოდა ხოლმე, რამდენჯერმე მოჰკრა თვალი ხატს და დედას სთხოვა, ჩამოსენი, დაგვიჭერენო. მაშინ დედამ ხატის ადგილას შოთა რუსთაველისა და აკაკი ნერსეთის სურათები განათავსა, დადგებოდა ხოლმე მათ წინაშე და ინერდა პირფარას. ასე რომ, მწერლობისადმი მოწინება, სიყვარული ოჯახიდან გამომყვა.

ხშირად ვიყავი დეიდაჩემის სახლშიც. ბიძაჩემი ცნობილი ქირურგი იყო, გერმანიაში მიიღო განათლება. მახსოვს, მათთან ლამის მთელი კედელი ეკავა სურათს, რომელზეც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავის სიუჟეტი იყო გამოსახული. ბავშვობაში თერთ ცაიჭზე ამხედრებულ ავთანდილს ყოველ დღე რომ „უყურებ“, მწერლების სურათ-ხატებთან მლოცველ დედას ხომ ხედავ, მისი ხმით ნაკითხული ნაწარმოებები რომ გელექება მესხიერებაში, მენტალიტეტზე შესაბამისი გიყალიბდება. იმ დროიდან მოდის ჩემი კავშირი „ბიბლიასთან“, „ვეფხისტყაოსანთან“, ბავშვობაში ჩამომიყალიბდა დამოკიდებულება ზოგადად მწერლობის მიმართ. და უკვე არ ვიცი, ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო ახლობელია თუ რომელიმე მეგობარი, რომელიც დღეს ჩემ გვერდით დგას.

შემდეგ იყო სტუდენტობის წლები. მახსოვს ჩემი გაოცება, როცა მეტყველების პედაგოგმა ბაბუღია ნიკოლაიშვილმა, მთელ ჯგუფს თვითონ რომ შეურჩია ლექსები, მოულოდნელად მითხრა, შენ რაც გინდა, ის ნაიკითხო. მორის ფოცხიშვილის ლექსი შევარჩიე. ჩემი ჯგუფელების მიერ ნაკითხული შუა საუკუნეების პოეზიის ნიმუშებთან შედარებით ფოცხიშვილის ლექსი გამონვევასავით უღერდა. ეს პირველი ნაბიჯი იყო თავისუფლებისკენ, თავისუფალი აზროვნებისკენ, რაც ასე ძვირფასია ადამიანისთვის.


— ზემოთ „კაცია-ადამიანიზე“, იმ ნაწარმოებისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე ისაუბრეთ. რამდენადაც მახსოვს, რეჟისორ თემურ სუმბათაშვილთან ერთად ფიქრობდით კიდევ ტელესპექტაკლზე, რომელშიც ლუარსაბ თათქარიძე უნდა გეთამაშათ.

— დიას, მინდოდა ლუარსაბი მეთამაშა, ოღონდ არა ქონში მოტივტივე, ბუზების აღმრიცხავი კომიკური პერსონაჟი, არამედ სულიერი სიზარმაცით, ქართველობით დამძიმებული, არცთუ ხნიერი კაცი, რომელიც უმემკვიდრეოდ გადაშენებისთვის არის განწირული. სცენასა და კინოში ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ახლახან ჩავწერე ნაწარმოების აუდიოვერსია, რომლითაც დასრულდა ოცდაათორმეტი დისკისგან შემდგარი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის აუდიოსაგანძორი — „sitkva.ge“. მასში, „კაცია-ადამიანის“ გარდა, ილიას პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა და წერილებია შესული.

— ცოტა ხნის წინ საგურამოს პრემია გადმოგვცათ. ვფიქრობ, ეს მხატვრული სიტყვისადმი თქვენი მსახურების, თქვენი დამოკიდებულების კიდევ ერთი დაფასებაა.

— ამ ჯილდოს „საგურამოს პრემიას“

დასასრული მე-14 გვერდზე



ივანე ამირხანაშვილი: „ტიქსტი უმკითხველოდ არ არსებობს“

დასასრული

— რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელი ბრძანდებით. ამასთან ზოგიერთის ჟიურიშიც გინვედათ ყოფნა. რამდენად საპასუხისმგებლოა სხვა ადამიანის ბედის გადაწყვეტა? რომელი მდგომარეობა უფრო „თქვენია“?

— ჟიურის წევრობა, გარკვეული ანგარიშით, კანონზომიერებაა, პრემიის მიღება — შემთხვევითობა. შემთხვევითობა, როგორც მეტად ადამიანური რამ, ჩემთვის უფრო მისაღებია, ვიდრე დიალექტიკური კანონზომიერება. ხუმრობა იქით იყოს და იოლი მართლაც არ არის ჟიურის წევრობა. სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ პრემიები ძირითადად სუბიექტური კრიტერიუმებით ნაწილდება: „ეს ჩვენიანია, ის — არა“, ან „ამას ვიცნობთ, იმას — არა.“ ტიქსტი, როგორც ასეთი, კონკურსში ნაკლებად მონაწილეობს. თუმცა გამონაკლისებიც არის.

თითქოს მივეჩვიე ჟიურის წევრის როლს, გულისგულში თავი მაინც სატრაპი მგონია. თუმცა დამარცხებულნი უფრო მეტ სიმპათიას იწვევენ ჩემში, ვიდრე გამარჯვებულები. დაჩაგრულების მცველად არ ვვარგვივარ, მაგრამ ჩემთვის მაინც ვიმეორებ ხოლმე: „ბალახი ვიყო სათიბი, არა მნადიან ცელობა.“

— „როგორ უნდა წეროს ქართველმა მწერალმა, რომ ნობელის პრემია მოიპოვოს? ნუთუ ისე, როგორც იაპონელი ნობელიანტები წერენ?! რა თქმა უნდა, არა! მიბაძვის ორიენტირად არც იაპონური, არც დასავლური და საერთოდ, არანაირი ლიტერატურა არ გამოდგება, რადგან მიბაძვა მიბაძვაა და მას სერიოზულ ლიტერატურულ ფაქტად არავინ აღიარებს. მაშ, როგორ ვწერთ? როგორ და ქართულად, ევროპული აზროვნების კონტექსტში.“ — ეს არის ნაწყვეტი თქვენი ერთ-ერთი წერილიდან. გეგულებათ თუ არა თანამედროვე რეალობაში ქართველი ავტორი, რომელიც ამ პრემიას იმსახურებს?

— ამ სიტყვებს ნახევრად ხუმრობით ვწერდი და არ მეგონა, თუ ყურადღების ღირსი გახდებოდა. ნობელის პრემია ლიტერატურისთვის პანაცეა არ არის — აი, გვეყოლება ნობელიანტი და დადგებით ერთად სხვა ერთი შორის. ეს ილუზიაა.

ნობელიანტობა არ არის ხარისხის სინონიმი. მხოლოდ ფული და რეკლამაა. რამდენიმე ქართველი მწერალი მეგულებოდა, რომლებიც, უკაცრავად და, ჯიბეში ჩაისვამენ, მაგალითად, ვიღია ნაიპოლსა და ჯონ კუტუბეს, კიდევ რამდენიმეს.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია მოცემულ პირობებში ეს პრემია თუნდაც ღირსეულმა ქართველმა ავტორებმა მიიღონ?

— ჩემი რეცეპტი ასეთია: თუ გსურთ მიიღოთ ნობელის პრემია, დაწერეთ ანტი-რასისტული რომანი ან დაუპირისპირდით მშობლიურ ხალხს და გახდით დევნილი, დროებით მაინც. წარმატება გარანტირებულია.

ისე, სტოკჰოლმი რომ დაინტერესო, ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პირველ რიგში, საჭიროა ქართული ლიტერატურ-

ის კვალიფიციური თარგმანები ინგლისურ ენაზე.

— ეს ძალზე აუცილებელი და საშური საქმეა, თუმცა, ამ მხრივ საქმე მთლად კარგად არ გვაქვს. ხომ არ გიფიქრიათ, რა არის მიზეზი?

— კეთილი ნების არქონა. რალაციის გაკეთება თუ გინდა, ჯერ უნდა იყოს ნება, შემდეგ ნებელობა და საქმე. სამწუხაროდ, არ არსებობს კულტურული პოლიტიკა, ერთიანი ძალები და მთავარი — ფული, მაგრამ ეს ყველაფერი გამოჩნდება, თუ იქნება ნება, სურვილი, ნადილი, ჟინი და გადაწყვეტილება.

— თქვენი ჩანაწერების წიგნი „თავისუფლების პარადოქსები“, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა, საინტერესო მასალაა მკითხველისთვის. თქვენთვის, როგორც ავტორისთვის, რით არის მნიშვნელოვანი მკითხველთან ამ ფორმით ურთიერთობა?

— ჩვენს ლიტერატურას რალაც ფორმით აკლდა გახსნილობა, უშუალოა, პირდაპირობა, გულანდობლობა. „ჩანაწერებმა“ გარკვეულწილად შეავსო ეს ხარვეზი. მაღლობელი ვარ „ინტელექტის“, რომელმაც ამ უკვე პოპულარული სერიის ღირსად ჩამთვალა.

სიამოვნებით ვკითხულობ ამ წიგნებს. სხვა სამყაროა, სხვა გარემო, სურნელი, საგანთა სხვა რიგი, სხვა განწყობა. როგორ ახლოს მოდის ავტორი, როგორ გეცნობა და გეძვირფასება ის, რასაც შორიდან ხედავდი, და აი, პირდაპირ შენ თვალწინ ცოცხლდება ყოველივე, რაც სამუდამოდ გამქრალი და მივიწყებული გეგონა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი დიდი მასწავლებლების, ოთარ ჩხეიძისა და ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერები, რომლებიც რალაც უცნაური, სიხარულნარევი ნოსტალგიით ნავიკითხე.

— ისევ თქვენს წიგნზე გკითხავთ, უფრო სწორად მის სათაურზე. რამდენად დაც შესაძლებელი იქნება, მოკლედ ჩამოგვიყალიბებთ, რაში მდგომარეობს თავისუფლების პარადოქსები?


— 1988 თუ 1989 წელია. ვერის ხიდიდან მარჯანიშვილის ქუჩაზე მოვდივარ. უცებ ვხედავ, რომელიღაც მაღაზიის წინ ჯგლეფთაა, ოცი-ოცდაათი კაცი, შეგუნდავებულნი, დრტვინავს. არის ერთი ნიოკი და ზედახედა. ერთმანეთს ფეხებში უძვრებიან, თავზემთ გადადიან. ამაზრზენი სანახაობაა. ვკითხე, რა ხდება-მეთქი. „სალამანდრებს“ ყიდიან, ფეხსაცმელებსო.

მაშინ ვთქვი, ვაი, საცოდავი საქართველოს ბრალი, თუ მართლა გავთავისუფლდით-მეთქი.

ცოტა ხანში „სალამანდრას“ რიგმა ეროვნულ მასშტაბებს მიაღწია. რომ გვეგონა თავისუფლება პასუხისმგებლობას მოიტანდა, უპასუხისმგებლობა მოიტანა; რომ უნდა მოეტანა წესრიგი, მოიტანა უწესრიგობა; რომ უნდა მოეტანა მშვიდობა, მოიტანა ომი; რომ უნდა მოეტანა მთლიანობა, მოიტანა რღვევა.

აი, კიდევ პარადოქსი: ისევ ვხედავ „სალამანდრას“ რიგს, რომელიც ჩემს სულში ბორგავს და დრტვინავს.

ესაუბრა ნანა კობახიძე



გოგი ხარაბაძე:

„ეს ჩემი არჩევანია“

დასასრული

არ ვუნდებდი, ჩემთვის ის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიაა. ასე აღვიქვი, ასე მივიღე.

ჯილდოს შეფასების რამდენიმე ერთეული არსებობს. პირველი — ხალხის ხმაა. არ უნდა გაჩნდეს შეკითხვა: „რატომ ამკობენ მავანს დაფნის გვირგვინით, რით დაიმსახურა, ან რა გააკეთა?“ მეორე — ვინაობა და სახელი იმ პიროვნებისა, ვისი სახელობის ჯილდოც რიგდება; მესამე — თავად მიმნიჭებელია. დიდ პატივს ვცემ ჩემი დაჯილდოვების იდეის ავტორებს, სხვაგვარად ჯილდოს არ მივიღებდი, რადგან ერთგული ვარ სულხან-საბასა შეგონებისა: „გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა“.

ბოლო ათი წელი შინაგან ემიგრაციაში ვიყავი, ბიბლიასა და ქართული სიტყვიერების შედეგებს ვწერდი დისკებზე და ილიას შეძახილი — „ანმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“ — მაძლევდა ძალას, მიჩვენებდა გზას.


— თქვენს აუდიოჩანაწერებში მთელი ქართველი მწერლობა წარმოდგენილია, მაგრამ შეუძლებელია, როგორც მკითხველს, თქვენი რჩეული არ გყავდეთ.

— უნდა გითხრათ, რომ არ ვარ ასეთი შეკითხვის მომხრე. როცა ვკითხულობ პუშკინს, არ ვფიქრობ გალაკტიონზე, გალაკტიონის კითხვისას, აკაკი არ მახსენდება. „მთანმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“ ან „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველი წვიმად“ — განა, შესაძლებელია, აკაკის ან ვაჟას სიტყვებზე ვინმე სხვა მაგონდებოდეს? არა მხოლოდ ძველებიდან, ჩემი თანამედროვე ავტორებიდანაც — მურმან ლებანიძე, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი — გამიჭირდება ვინმეს გამოყოფა. რომელი მეტად მიყვარს, ვერ ვიტყვი.

— საინტერესოა თქვენი აზრი თარგმანის ხელოვნებაზე. ვგულისხმობ, როგორც უცხოური ლიტერატურის ქართულზე გადმოღებას, ისე ქართული მწერლების თარგმნას უცხო ენებზე.

— ჩემი შვილიშვილები კარგად ფლობენ უცხო ენებს, თუმცა არ იციან რუსული. მისი შესწავლის დიდი სურვილი აქვთ. წარმომიდგენია რამდენად ნაკლებად იქნებოდა ჩემი ლიტერატურული სამყარო დოსტოევსკის, ჩეხოვის, ტოლსტოის, გოგოლის, ცვეტაევის, ახმატოვის, ბლოკის, პასტერნაკის გარეშე. მთელი მსოფლიო აღიარებს ამ ავტორებს, ჩვენ მათ დედნიდან ვკითხულობდით. რაც შეეხება თარგმანებს, რამდენიმე კარგი ნიმუში ნამიკითხვას, მათ შორის — პასტერნაკისეული „ცისა ფერს“, გერონტი ქიქოძისეული „წითელი და შავი“, ნიკო ყიასაშვილის — „ულისე“.

საქმე ის გახლავთ, რომ მთარგმნელობითი სკოლა, ალბათ იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვა სკოლებზე, საქართველოში ვერ შეიქმნა. ჩვენ ვიცით გენიალური ხელოვნებები, დიდი მეცნიერები, მაგრამ ისინი ნაყიდნენ და მათ ადგილას სიტყვრილი დარჩა. კინოსა და თეატრის მაგალითზე მოგახსენებთ: რაში მდგომარეობს ქართული თეატრის ფენომენი მარჯანიშვილის, ახმეტელის, სტურუას, რამდენიმე დიდი რეჟისორის



გარეშე? ან რა იქნებოდა ქართული კინო ოთარ იოსელიანი, მიხეილ კობახიძე, სხვა გენიალური შემოქმედნი რომ არა? რამაზ ჩხიკვაძე გამობრწყინდა, შექმნა ეპოქა და გაქრა. სამოცი წლისამ დატოვა თეატრი, ოთხმოცდაორისა — გარდაიცვალა, ოცდაორი წლის განმავლობაში არავინ გაიხსენა იგი, ისე გავუშვით ამ ცხოვრებიდან, არაფერი დავიტოვეთ მისგან. იგივეს ვიტყვი სერგო ზაქარაიძეზე, აკაკი ხორავაზე, ეროსი მანჯგალაძეზე, ისინი ინდივიდები იყვნენ, მაგრამ ერთეულები ვერაფერს ცვლიან. ასეთების ნიჭს, შესაძლებლობას, ცოდნას, გამოცდილებას თუ ვერ აითვისებ, მათი შემოქმედების ალს სულს თუ არ შეუბრავ და სხვაზე არ გაავრცელებ, როდესმე ისინი წავლენ, ჩაქრებიან და მათ ნაცვლად სიცარიელე დარჩება. ჩვენ ვსაუბრობდით ქართველი მთარგმნელების ოსტატობაზე, სამწუხაროდ მხოლოდ მათი თარგმანები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ სკოლა შექმნილიყო.

სამწუხაროდ, დრო არ მაქვს, ხშირად ვკითხობ თანამედროვე უცხოელი მწერლების წიგნები. ძალიან მომწონს ჟოზე სარამაგო, ორჰან ფამუქი. მიკვირს, პაოლო კოელი ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად რომ ითვლება, თუმცა თავისი მკითხველი ალბათ მასაც ჰყავს. თვითმფრინავით მგზავრობისას „ალქიმიკოსით“ ერთხელ მეც შევიქციე თავი.

— ახალგაზრდა ქართველ ავტორებს იცნობთ?

— მათ შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი. მე ვიცნობ აკა მორჩილაძის ძალიან კარგ რომანს „გადაფრენა მადათოზე“. სხვა ქართველი ავტორების ნამუშევრებსაც ვეცნობ დროდადრო, მაგრამ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში ღმად ჩახედული არ ვარ და თავს უფლებას ვერ მივცემ, ახალგაზრდა მწერლებზე ვილაპარაკო.


— მომავალში რა აუდიოპროექტებს უნდა ელოდეს თქვენი მსმენელი?

— თითქმის მზადაა პროექტი სავარაუდო სახელწოდებით „ყმანვილებს“. მასში რჩეული უცხოური ზღაპრები შევა, ორი დისკი ქართულ ხალხურ ზღაპრებს დაეთმობა, წარმოდგენილი იქნება ოსკარ უაილდის სამი მოთხრობა, გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, ვაჟა-ფშაველას „ხმელი ნიფელი“, „შვილის ნუკრის ნაამბობი“ — სულ რვა დისკი. ალბომს იალქიანი ნავის ფორმას მივცემთ, კომპაქტდისკები კი „ნავზე“ მაშველი რგოლის ადგილას იქნება განთავსებული. ჩანერა დასრულებულია, მხოლოდ ტექნიკური მხარის მოგვარება დავგრჩა.

მეორე პროექტი ილია ჭავჭავაძის უკავშირდება. რვა ნოემბერს, საგურამოში ყოფნისას, ჩავიფიქრე, მომემზადებინა ისეთივე აუდიოწიგნი, როგორიც სხვადასხვა დროს, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის საიუბილეო თარიღებს მივუძღვენი. როგორც გითხარი, ილიას სამი დისკი უკვე ჩანერილი მაქვს და შესულია ალბომში „sitkva.ge“. ჩანაწერებს მინდა კიდევ რამდენიმე ტექსტი დაემატათ და დასრულებული სახე მივცე.

ასე რომ, მე სიტყვა ავირჩიე, სიტყვითაა გაჯერებული ჩემი ცხოვრება, ცნობიერება.

ესაუბრა თამარ ჟურული



იაპონური პოეზია

რანსაცუ

*
სითბო გზას იკვლევს.
ქლიავის ხეზე
ემატება ყვავილს ყვავილი.

*
ჩრდილოეთისკენ მიმავალი
ბატების მწკრივი
მლოცველთა მწკრივთან
გადახლართულა.

*
ო, როგორ ცივა ამ მდინარეზე:
ნამსვლელ ტალღას ბანს
მომსვლელი ტალღა.

*
წლის პირველი დღე.
რა გატაცებით
საუბრობს მზეზე ორი ბელურა!

ონიცურა

*
ისევ მოვიდა შემოდგომა, მე კი კალთაში
არ მიზის ბავშვი.
მარტოსული, შევცქერი მთვარეს.

*
თუ გაჩუმდები,
რა დარჩება შენგან, ბუღბუღო? —
უბრალო ჩიტი.

*
კაცი, რომელიც
უყვავილო ხემ მიიზიდა,
ჩვეულებრივი სულაც არ არის.

კიკაკუ

*
გზად — მათხოვარი.
მისი სამოსი ზაფხულობით
ცაა და მიწა.

*
განთიადისას მომაკითხა
სიზმარში დედამ.
რატომ დამიფრთხე ის ძახილით შენით,
გუგულო!

*
მოდით, ჩამქოლეთ!
მოვტეხე რადგან
აყვავებული ალუბლის ტოტი.



*
ცივი ზამთარი.
შიშველ ველზე საფრთხობელები
ყვავებისთვის ქანდარად იქცნენ.

სიკო

*
ოი, ბუღბუღო!
რა ერთნაირად
უმღერ ტირიფსაც, უბრალო ბუჩქსაც.

*
თუ ვინმე იტყვის:
"მომაბეზრეს ბავშვებმა თავი!"
მისთვის არ ხარობს ყვავილები
ამ ქვეყანაზე.

*
მორცხვად ღრუბლებში დაიმაღლა
უმალვე მთვარე,
ისე ლამაზად გაიფურჩქნა
დაბლა ყვავილი!

ბუსონი

*
ბორცვს მივუყვები სევდიანი
და, საოცრებავ,
უდარდელად ყვავის ასკილი!

*
(ყვავილების მოყვარულს)

*
შენ შეუმჩნევლად
ქრიზანთემის
მონად იქეცი.

*
ყვავილობს შალგი.
დასავლეთით მზე იმალება,
აღმოსავლეთით ამოდის მთვარე.

*
ბოლოსკენ მიდის გაზაფხული,
გვიან ალუბლებს
თითქოს ჯერაც
ვერ გაუბედავთ აყვავილება.

*
თავსხმა წვიმა გაზაფხულის.
თვით უსახელო, შეუმჩნეველი ნაკადული
გახდა საშიში.

*
დღე მიზოზინებს.
ხიდზე ჯდება
ჭრელი ხობობი.

*
მხოლოდ მწვერვალი ფუძის მთისა
გადარჩენიათ
გაფოთილ ხეებს დაუმარხავი.

*
სამწუხაროა,
რომ ამ ტაძარს გვერდი ვუქციე —
იქ ხომ ყვავიან ქრიზანთემები.

*
გვერდით რახრახით რომ ჩაუვლის
მძიმე ფორანი,
შეშინებული ცახცახებენ ქრიზანთემები.

*
გაზაფხულია. წვიმს.
გზად ერთმანეთს
ესაუბრება ქოლგა და მიწა.

*
მაკრატელიც კი
ყოყმანობს წამით
ქრიზანთემების ბალის წინაშე.

ტანაკა

გაზაფხული

*
როგორ შევნატრი ჩამოცვენილ
ალუბლის ყვავილს. ნეტავ შემძლოს,
მეც დავმთავრდე ასე ლამაზად.

ზაფხული

*
მოჩანს პლასტმასის მანეკენი
შვილის ოთახში,
შვილი კი არ ჩანს — დაბრუნება დააგვიანა.

*
სულ ერთი ყლუპი კონიაკი
და მომაგონდა
წვიმიანი, ცივი სეზონი.

შემოდგომა

*
უკანასკნელმა ჩაიარა მატარებელმა.
კვლავ გულს აწვრილებს
ჭრიჭინას "ჭრი-ჭრი".

ზამთარი

*
სვიტერს დავწვდი და...
ოდნავ გაკრთა სუნამოს სუნი,
მას რომ უყვარდა.

*
ავტომანქანის ფანჯრის მიღმა
უცნაურ ცეკვას
მთელი არსებით მისცემიან
თოვლის ფიფქები.

*
ეს შეიძლება?!
კვლავ გიზგიზებს
ზამთრის დაისი.

თარგმანი ლელა მატრეველი



ზაურ კალანდია

სტუმრად ნოდართან

დასასრული

ანვალა, აბზრიალა, არ დალია, — ეს
გაკვეთილი იყოს შენთვის!..
— კარგი რა, ნოდარ... შენებური ახ-
ირებები გაქვს...

რძალი სამზარეულოში გავიდა.
ყელში გამეჩხირა რალაც... რალაც უსუ-
სური გავხდი, შევვინდი და ცრემლი რომ
არ წამსკდომოდა, თავი უფრო დავხარე.

ნოდარი გადმოიხარა, თავზე მაკოცა
და წამოდა — შევრიგდეთო, ხელი გამო-
მიწოდა.

მეც წამოვდექი. თვალი ვერ გავუს-
ნორე, ისე გავუნოდე ხელი.
შევრიგდით.
სამნი დავერჩით.

— ხომ არ დაგველია კიდევ თითო ჭიქა,
ძმებს?
გრაფინს ვსტაცე ხელი.
მარჯვენათი უნდა დაასხა ღვინოო,
შემისწოდა.

— ეგ ხომ ცაციაა, — გაიცინა გიგამ.
— ვა, არ მახსოვდაო, — ისიც აპყვა
გიგას სიცლის, — გრაფინი მაინც მარჯვე-
ნათი აიღე.

— წინა კვირას სოხუმში ვიყავი, — უკვე
მოკიდებოდა ღვინო, ალტკინებული ჩანდა,
— რა ხანია სანადირო თოფს ვეძებ, ძლივს
ვიშოვე, ვინ არ შევანუხე... სამი დღის სირ-
ბილი დამჭირდა გადაფორმებაში... კარა-
და გასაღებით გახსნა და ორლულიანი ახ-
ალთახალი თოფი გამოიტანა; გადახსნა,
სული შეუბერა, გახედა, ისევ ჩაკეტა, გადა-
აპრიალა სახელოთი და შეინახა, — სამ

ძმას აქ გაგვიმარჯოს, მეოთხეს — სოხუმ-
ში! — დალია, ცარიელი ჭიქა მოგვიჭახუ-
ნა, — ის კვირა ნათლიისაა, გრძელდება...
გენოს კარგ პიჯაკს შევპირდი და ვნახე,
უნდა ჩავუტანო... — სანოლ ოთახში გავი-
და, იქიდან პიჯაკი კარგად გამოვიდა.

ბუკლეტს წვრილზოლებიანი ქსოვილისა
იყო, უხდებოდა, — უკანასკნელი მოდაა...
— კარგია, მაგრამ საშემოდგომოა...
რძალი შემოსულიყო.

— შემოდგომაც მოვა...
შევატყვე, რალაც ეწყინა, მოიწყინა...
იმ ღამეს გვიან დავნექით.

შაბათი დილა გათენდა.
საღდგომო სამზადისი დაიწყო.
საითაც არ უნდა გაიხედო, ქუჩაში თუ
მეზობლის ეზოში, სასიამოვნო და საქმი-
ანი ფუსფუსია.

კვერცხები წინა დღეს შეიღება.
ამ დილას თიკანი მოიყვანა ბაზრიდან
ნოდარმა — გოჭთან ერთად უნდა დავ-
კლაო...

ჩვენი გოჭი დიდი კალათის ქვეშ არის
შეყუთული, არ ჭყივის, არც ინძრევა,
გაფიქრებინებს, განაჩენს არის შეგუებუ-
ლიო. ყოველ შემთხვევისთვის, მძიმე სალუ-
სი ქვა ადევს კალათს, რომ არ გაძვრეს...

თიკანი ლაფაროს უკან, ტყემლის ხეს
აბია, ძმისშვილები ნეკერს სათითაოდ ურ-
ჩევენ და აჭმევენ...
ნელი სახაჭაპურე ცომს ზელს.
თბილი ამინდია.

გაზაფხული იკრებს ძალას.
კონდარზე აქა-იქ წითელ-ყვითელი
ყვავილები ღვივს...
მე ძაღლის ლეკვით ვერთობი.

საყვარელი ლეკვია, ყურებპარტყუნა,
შავი ხალეებით.
— მონადირეა, კარგი ჯიშის...
ნოდარმა ჩამიარა.

აღდგომამ პირველებმა ძმისშვილებმა
მოგვილოცეს.
ლოგინში ჩავვიგორდნენ ბიძებს და იქ
ვამტვრიეთ კვერცხები.

მომისპეთ ლოგინო, იცინოდა რძალი.
ავდექით.
სუფრა გაშლილი იყო.

ცოტა ხანში ის აწონილი მოჩხუბარი
გვესტუმრა. გიგასთან მივიდა, კვერცხი
დავურტყათო. კარგა ხანს ჭიდაობდნენ.
ციცრის კვერცხი მაქვს შენთვისო, გიგამ
არ გამოართვა, არ მინდაო. ნეტა მე მეტყ-
ოდეს-მეთქი, სული გამძვრა... ნოდარმა
ჭიქა მიანოდა. აღდგომა მოგვილოცა, დაი-
ლოცა — ნოდარი ძია, თქვენი ოჯახი
ძალიან მიყვარს, პირველი აქ შემოვედიო.

ცოტა ხანს ჩემს გვერდით დავჯდა, კიდე
დალია. არ ვიცი, მიხვდა თუ რა იყო, შენი
იყოსო — მუჭში ჩამიდო ციცრის კვერ-
ცხი...

სხვა ბევრი საჩუქარიც მივიღე, მე ხომ
პირველად ვიყავი სტუმრად უფროს ძმას-
თან.

ზუგდიდში ისევ ორნი, მე და გიგა
მივბრუნდებით.

შემოდგომამ დადგა...
იმ შემოდგომას ცუდი ამბავი მოვიდა
სამურზაყანოდან.

ის მაღალი, მოჩხუბარი ბიჭი მოულოდ-
ნელად დაიღუპა...

მთელი ოჯახი ნავედით სამძიმარზე
ზუგდიდიდან...
ციცრის კვერცხი რომ მაჩუქა, ის გამ-
ახსენდა, გული ამომიჯდა და ვიტყვი...
გიგას თვალშიც ცრემლები შევნიშნე.

როგორც გავიგეთ, ნანვიმარზე შუქი
ჩამქრალიყო, ელექტრო ბოძზე ასულა შე-
საკეთებლად და დენმა დაარტყაო.

სული მიწამდე არ დაჰყოლია თურმე
სანყალს.

სამი წლის შემდეგ, შემოდგომაზე, სე-
ქტემბრის თვეში, თავად ჩვენს ოჯახს და-
ტყდა დიდი უბედურება.

ჩვენი უფროსი ძმა ნოდარი მწყერზე
ნადირობისას საკუთარმა ტყვიამ იმსხვერ-
პლა...

ამ ტრაგედიაზე წერას ვუფრთხი...
ალბათ ვერც შევძლებ...
და...
აქ დავსვამ ნერტილს.



ახლა შენ ყველაფერი იცი

პატო, არ ვიცი, რა გითხრა. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მატარებელმა წუთით გამასწრო და თან ძალიან ძვირფასი რამ გაიყოლა.

ჩვენი უკანასკნელი საუბარი ჩავინერე, როგორც ნიშნული იშვიათი იუმორისა და ადამიანური ერთგულებისა.

გელა კანდელაკთან ტელეფონით ვსაუბრობდი. მეორე ტელეფონთან ვატორო.

მომიკითხე-მეთქი, ვთხოვე.
— არ ვლტობლობ მაგ მოკითხვას და საერთოდ ახლა ისეთ ასაკში ვარ, უნდა გავარკვიო, ვისთან ვიმეგობრო და ვისთან არა. ა-ზე უკვე გავარკვიე და ბ-ზე გადავიდეო?

— არა!!! ძალიან მიყვარს და მენატრება!
— რაზე ეტყობაო?
— ახლა ისეთ ასაკში არა ვარ რამე მეტყობოდეს-თქო.
— იცინის...

— როდის ჩამოხვალ ჩემთან-თქო?
— ეგ შეიძლებაო...
გადავჩიო!

მეჩვენებოდა, რომ შენ ალტაცების გარეშე ცხოვრება არ შეგეძლო. ან ვილაცხვით იყავი ალტაცებული ან რალაცით (ალტაცია, ასე ცდილობდი, თავი აგერიდეინა ყველაფრისათვის, რაც გულს გტკენდა).

მახსოვს, საბურთალოს ქუჩაზე ჩემი სახლის სადარბაზოდან გამოვედი და შენ დაგინახე. უცნობ ფოტოგრაფთან იდექი და ანა კალანდაძის აივანზე ტოტემბიბჯენილ თუთას აპყურებდი.

წლების განმავლობაში გავდიოდი და გამოვდიოდი ამ თუთის ქვეშ და ერთხელაც არ მიფიქრია, თავისით ამოსული, შავი

თუთა მისტიკასთან დამეკავშირებინა.

შეუმჩნევლად ჩავიარე. შენი სიხარულის გაზიარების ძალა სად მქონდა. თუმცა კარგა ხანს ლიმიტარევი სიმწრით ვფიქრობდი: შენ იყავი მართალი, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივს რომ ხედავდი თუ მე, წლების განმავლობაში თავისით ამოსულ შავი თუთით მოფენილ ბილიკზე ფრთხილად რომ გადავდიოდი. ალბათ — შენ. მე ეს სასჯელი ბევრად ადრე მოვიხადე.

ამას წინ ჩემს სოფელში ვიყავი, სადაც შენც ბევრჯერ ყოფილხარ. ჩემმა ბავშვობის მეგობარმა ქაშანურის ფილა გადმოიღო — მტვრიანი არ გეგონოს, სუ ხმარებაშიაო და მიცვალებულის შესან-

დობარი დალია: წელიწადში ერთხელ კი არა, რამდენჯერმე უნდა აკურთხო მშობლების საფლავი. უნდა მიხვიდე და დაელაპარაკო. მე მივედივარ ხოლმე მამა-ჩემის საფლავზე. ქალები უყვარდა ძალიან და ვეკითხები ხოლმე — როგორა ხარ მიტო, როგორ არის ქალების საქმე-მეთქი...

ფსალმუნით მანუგემა ჩემი მეგობრის სიტყვამ. მინდოდა შენთვის მომეყოლა. ძალიან მიყვარდა შენი ირიბი ლიმილი, როცა რალაცას გიყვებოდი. იცოდე, თუ რამე კარგი გადამზდა, პირველად ისევ შენ მოგიყვები და „საერთოდ ახლა ისეთ ასაკში ვარ“, დაბეჯითებით ვიცი, სიცოცხლე ადამიანობისკენ სწრაფვაა მხოლოდ. სხვა ყველაფერი დაცემაც და წამოდგომაც, წასვლაც და დარჩენაც ამ სწრაფვისკენ სწრაფვაა — არა, ვატო?

თუმცა ახლა შენ ჩემზე შეუდარებლად მეტი იცი.

ლილა გაროშვილი

1 დეკემბრის მზიან დღეს სიონის ტაძარში შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება ეთხოვებოდა ვახტანგ როდონაიას — ადამიანს, რომლის ნახევარ-საუკუნოვანმა მსახურებამ თავისი კვალი დაამჩნია ქართული სიტყვიერებას, ხოლო ინტელექტუალურ და რაინდულ თვისებათა იშვიათმა ნაზავმა — მთელ მის იერს, შინაგანსა თუ გარეგნულს; იმ იერს, რომლის გაუნელებელი ხიბლიც პატარა დღესასწაულად აქცევდა მის გაცნობას, ხოლო — ინტელექტუალურ ბედნიერებად — მასთან მეგობრობას...

ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას, თანაკურსელთათვის „ვატა“ როდონაია იყო პირუთენელი მსაჯული მათი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებისა. რა მკაცრიც უნდა ყოფილიყო მისი განსჯა, არცერთი განხილული ახალბედა არ ეურჩებოდა მის „განაჩენს“. უთუოდ გრძობდა, როგორი აბსოლუტური ლიტერატურული სმენა, როგორი უმურველობა, როგორი პასუხისმგებლობა და ზნეობრივი მუხტი ასაზრდოებდა ამგვარ გულწრფელობას. ეს საშური თვისებები ვატას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და მრავალი თანამოაზრე და მაღლიერი თაყვანისმცემელი შესძინა; აქა-იქ, შესაძლოა, მტერიც. მაგრამ, მისდა საქებრად, ვატა არასდროს ეძებდა საყოველთაო აღიარებას — იგი განასახიერებდა იმ იშვიათ ტიპს ადამიანისა, რომელიც შეგნებულად გარუბის გაჩირადლებულ ავანსცენას და განანაბრების მყუდრო ჩრდილქვეშ, წლივით, თავმოდრეკითა და რუდუნებით აკეთებს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს...

დღევანდელი გადასახედიდან ეს „მთავარი საქმე“ განმანათლებლობა იყო. ოღონდ ამ სიტყვის უფრო ძველბერძნული გაგებით: როდესაც უნივერსალურად განსწავლული ადამიანისთვის მისი ცოდნის, ეთიკური თუ ესთეტიკური მსოფლადქმის გაზიარება ერთგულ შევირდთა (სტუდენტთა) აუდიტორიისათვის თუ შემთხვევით მსმენელთათვის იმდენად ღირებულა, ისეთ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ამ უკიდევანო ერუდიციისა და სიღრმისეულ წვდომათა ქაღალდზე გადატანისათვის ზოგჯერ აღარც დრო რჩება და აღარც ძალა... ამით აიხსნება ვახტანგის ესეისტური მემკვიდრეობის მოკრძალებული მოცულობა თუ იმ „თვითუკმაკრის სენით“, რომლითაც ზოგჯერ „ავადდებიან“ სრულყოფილების იდეალით შეპყრობილი შემოქმედნი, ძნელი სათქმელია...

ვახტანგს „რაოდენობის ხარისხში გადასვლისა“ არ სჯეროდა და უმკაცრესი რედაქტორის თვალთ გარანდა ის ლიტერატურულ-ისტორიული წერილები, რომლებიც ღირსად ჩათვალა ქართულ



გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან

პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად. თუკი ეს პუბლიკაციები ნიგნად მოიყრის თავს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მკითხველი XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის ქართული ესეისტიკის დახვეწილ ნიმუშებს იხილავს. ამ, მომავალი კრებულის ერთგვარ „ღერძად“ აღიქმება სტატია — „თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა“, რომელიც დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც პირველი გამოქვეყნებისას ჟურნალ „XX საუკუნეში“. განსაკუთრებით ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებდა ვახტანგს ჟურნალთან „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1988 წლიდან — „ბაღავერი“, რომლის რედაქტორის — თამაზ კვაჭანტირაძის მოადგილეც ვახტანგია). აქ გამოქვეყნდა მისი უნატიფესი ისტორიულ-ლიტერატურული ესეები: „იკორთა“; „ნიონინინდა“ (ტაძრისა და ლეონიძისეული ლექსის „პარალელური ბიოგრაფიებით“); „ბეთანია“; „რკონი“; 1988 წლით დათარიღებული „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა“, რომელშიც მკითხველს გამაფრებულ ეროვნულ სატკივართა ფონზე ახლებურად წააქითხა იოანე საბანისძის უკვდავი ნაწარმოები.

ვახტანგი, ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, განურჩეველი ვერ დარჩებოდა მის თვალწინ დატრიალებულ საზოგადოებრივ ვნებათაღვლეებისადმი, მაგრამ მის მეგობრებს კარგად ახსოვთ, როგორ ანონასწორებდა მისი ფილოსოფიური სიღრმე — ერთთა მალემრწმუნობას, ხოლო

ირონია — მეორეთა პოლიტიკურ ამბიციებსა და კატეგორიულობას (თავად ვატა „მარადიული უპარტიო“ იყო). ასეთივე განონასწორებელი ჩანდა ვატა ოჯახურ წრეში, სადაც ცხოვრების ერთგული თანამგზავრი — მანანა და სამი უსათნოესი ქალიშვილი უმშვენიერდნენ გვერდს და სადაც სულიერი თანაზიარობისა და ურთიერთპატივისცემის სული სუფევდა.

გადიოდა წლები, ვახტანგის აუდიტორია კვლავინდებურად მისი განსწავლულობით, იუმორითა და ზეპირი ნოველებით მოხიბლული მსმენელებისაგან შედგებოდა. ოღონდ, თანშეზრდილ მეგობრებს მათი შვილები ენაცვლებოდნენ, მონაფეებს კი — სტუდენტები. თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ვახტანგი გელა კანდელაკისა და კოტე ჯანდიერის თხოვნით მიიწვიეს, დღემდე ახსოვთ მისი განუმეორებელი ლექციები... გელა კანდელაკთან მეგობრობას, როგორც ჩანს, თავიდანვე ძლიერი შემოქმედებითი მუხტი ასაზრდოებდა და შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რეჟისორმა თავისი მომავალი კინემატოგრაფიული შედეგის — „სოფლის“ სცენარის თანაავტორობა სწორედ ვახტანგს შესთავაზა (მათი ერთობლივი სცენარითაა გადაღებული კანდელაკისავე ფილმი „ფიქრი“).

ასეთივე სულგანაბული მსმენელები დახვდნენ ვახტანგს ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც იგი

ქართული მრავალხმიანობის ამაგდარმა — ანზორ ერქომაიშვილმა მიიწვია. სახელოვანი ლოტბარი ამ დროისათვის საშვილიშვილო საქმეს ახორციელებდა: მსოფლიოში გაბნეულ ქართული ხალხური სიმღერების უცნობ ფონოჩანაწერებს აგროვებდა. ერთობლივი თანამშრომლობა აქაც შედგა — უნიკალური ფონოჩანაწერების ალბომს თანდართული ტექსტის შედგენისას. ნებისმიერი მსმენელისა და მკითხველისათვის ეს ძვირფასი გამოცემა ქართული სასიმღერო გენიის უტყუარი დასტურია. მაგრამ, ვინც კი შესწრებია ანზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას თავდადებული მუშაობის პროცესს, ყველაფერთან ერთად, ამ ალბომს მათი ღირსეული ქართველობისა და მეგობრობის სიმბოლოდაც აღიქვამს.

გასული საუკუნის დასასრულიდან, ვახტანგის კიდევ ერთ ტალანტს მიეცა ასპარეზი. ეს ტალანტი, ისევე და ისევე, „განმანათლებლობის“ სფეროდან იყო, ოღონდ, ამჯერად უკვე ამ სიტყვის უფრო საგნობრივი მნიშვნელობით: მან უხელმძღვანელა პროფესიონალ ფილოლოგთა ჯგუფს, რომელთაც ფასდაუფლებელი სამსახური გაუწიეს ქართული სკოლას — შექმნეს თვისობრივად ახალი, საბჭოური კლიშეებისაგან თავისუფალი, მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივ ინტერესებზე გათვლილი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ეს ნიგნები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვახტანგის მეგობრები ახლა უკვე ხუმრობდნენ: „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ვატა!“ და აღარავის აკვირვებდა წიგნის მალაზიაში გაგონილი: „ორი როდონაია მომანოდეთ!“

თავად „როდონაია“ — ერთადერთი და უცვლელად მიმზიდველი, დადიოდა იერშეცვლილ ქალაქში, სადაც ქუჩაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდნენ ძველი ნაცნობ-მეგობრები; ის მონაფეები კი, სასკოლო ზურგჩანთები სწორედ „როდონაიას წიგნებით“ რომ ჰქონდათ დამძიმებული, სახეზე ვერ ცნობდნენ თავიანთ დამკვლიანებელს და უკანმოუხედავად ჩაურბენდნენ ეშმაკურად მომღიმარ უცნობს...

ვახტანგი კვლავინდებურად ერიდებოდა ხალხმრავალ დარბაზებს, ტელევიზიის კამერებს, მისკენ მომართულ ფოტობიექტივებს და, საფიქრებელია, რომ მისი მიზეზით შეკრებილი ერთადერთი ხალხმრავლობა, სადაც იგი მშვიდად განისვენებდა, სიონის ტაძარში მასთან უკანასკნელი გამოთხოვება იყო...

ზაზა აპხინიძე

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**
რედაქტორის მოადგილე **ურა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტიკები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com